

ლიტერატურული გაზეთი

№20 (300) 29 ოქტომბერი - 11 ნოემბერი 2021

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით


ფასი 80 თეთრი

ნინო სადღობელაშვილი

ONLINE

ლეპტოპის ეკრანი გვეფხვს:
ციფრული სანიშნე ფურცლებში.
ხანდახან ეკრანის თვალი იხუჭება
ან იბინდება საძილე ბურანით,
ამ დროს ვამბობთ, რომ
სიტყვებმა დაკარგეს სხეული და
სიზმრებში ჩაიღვარნენ,
ჩვენც მივყვებით,
ერთმანეთს ხელისგულებით
ვეჭიდებით და
ვირტუალურ ქვამარილს ვლოკავთ
გზადაგზა.
ჩემი თოვლი მის
ბალებს ებჯინება,
ვიღაცამ ოქროსფერი ნაფეხურით გადაიარა,
ეკრანის სანიშნე
გზებს მისრესავით ანესრიგებს,
ყველა ამბავს აქვს დასაწყისი,
განვითარება და ფინალი,
ჩვენ ფინალის შემდეგ
ვინცებთ სიყვარულს.
ხანდახან ეკრანი სარკვედება
და მეჩვენება, რომ
მეორე ნაპირზეც მე ვდგავარ
იარაღით ხელში და
სიბნელეს ვუმიზნებ.
თავს ვანონებ ჩემს თავს,
ხელს ვუქნევ,
როგორც გზაზე დამდგარ მეომარს
ცოლი,
მუცელში კი ტკივილის
ყვავილი ამომდის...
შეთანხმება გვაქვს:
ეკრანი პირველმა გათიშოს,
ჩვენი სახეები ნამით იყინება
მარცხნივ და მარჯვნივ,
თითქოს ვინმე გვიმახსოვრებდეს,
თითქოს ვინმე ამოჭრის მათ
შუქის მაკრატლით და
გადაისვრის სამყაროში
მარადისობის კენჭებად...

IV-V



პაატა შამუგია

რას იზამები

აი რას იზამ თქვი რას იზამ
ადამიანები რომ გაგეცალონ
და სიმარტოვის ხალხმრავალ უდაბნოში
აღმოჩნდე
თქვი რას იზამ
სისხლძარღვები რომ მელნით გაგვესოს
მაგრამ სათქმელად ვერა და ვერ რომ ვერ იქცევი
კარგი ნაცნობი გზად რომ შემოგხვდეს
და გაკვრით ილაპარაკოთ
მათ შორის დაუნერულ პოეზიაზეც
და ცხადია საჭმელზეც
და ერთმანეთს თავი ისე მოაჩვენოთ
ვითომც ცხოვრება მშვენიერი იყოს
ცხოვრება კი სულაც არ იყოს მშვენიერი
აი რას იზამ
სიყვარული რომ მორჩეს რას იზამ
თქვი რას იზამ სიყვარული რომ
ვთქვათ სიყვარული თქვი რას იზამ
ვთქვათ რომ მორჩეს
სიყვარული
ისე როგორც მორჩა ილია და
მორჩა ელიადე მორჩა
და როგორც ყველა ცნობილი თუ უცნობი
მკვდარი მორჩა
თქვი რას იზამ აი რას იზამ
ერთ დღესაც
შფოთიანი სიზმრების შემდეგ
რომ გაგელვიძოს
და აღმოგეჩინოს რომ
იუმორის გრძნობა დაგიკარგავს თქვი რას იზამ
აი რას იზამ იუმორის გარეშე ხომ
და ვერც დაცემულის თანაგრძნობას იზამ
ლექსს ვერ იზამ
ანუ რას იზამ
კატა რომ მოგიკვდეს თქვი რას იზამ
ძალი? რას იზამ
თქვი რას იზამ მაგალითად შვილმა რომ უარგყოს
დედამ რას იზამ და მამამაც აი რას იზამ
რომ უარგყოს
და სამომავლო
პერსპექტივები სულ მამობრივი
მზრუნველობით დაგინგრიოს აი რას იზამ
თქვი რას იზამ
ერთ დღესაც რომ ბედნიერი გახდეს და გახდეს
ვთქვათ გამველეების კეთილი ღიმილის მიზეზი
აი რას იზამ ასეთ უხერხულ ვითარებაში
სადაც სრულიად დაუცველი ხარ
ნებისმიერი შემხვედრის კეთილგანწყობისგან

V-VI



გიორგი ბალახაშვილი

მკვდარი პეპლები


მეც იშვიათად გამოვძებნი თავის მოსაფხან
დროს, უფრო სწორად,
გამოვნახავ ძალიან მცირე
მონაკვეთს, როცა მეზობელი გაფენს მოსასხამს,
როცა სხვის თვალში წამწამს ვხედავ,
ჩემში კი — დირეც
არ შემიძლია დავინახო, თითქოს ვიბრმავებ
თვალებს, რომელშიც რა ხანია, ღამე ჩამიღდა
და გამუდმებით ვიმეორებ ერთს და იმავეს,
ხანდახან გემო მენატრება ყურძნის ჩამიჩთა.
სიტყვების გამოც არასოდეს მიყვარს ჩაყოფა
ჯიბეში — ხელის, სხვის ჯიბეში,
რადგან საკუთარ
ჯიბეში მხოლოდ — პეპლებია, მე მძულს ლაყაფი.
მკვდარი პეპლები. უსიცოცხლო.
ღამეც — საკუთრივ.

VIII

ხათუნა როგავა

დიდ ქალაქში დიდი მდინარე მიედინება.
დიდ მდინარეზე დიდი ხიდია გადებული.
ხიდის მარცხნივ დიდი ჰოსპიტალი დგას
დიდი კარ-ფანჯრით,
დიდი და პატარა ადამიანებით,
დიდი იმედებითა და უიმედობით.
მეოთხე სართულის ერთ-ერთ,
ჩემთვის უცნობ პალატაში,
ყველაზე ახლობელი ადამიანი ნევს.
მას მუცლადყოფნის დროიდან ვიცნობ.
დიდი ხანია, ერთმანეთს მოვწყვდით,
უფრო — მოგვწყვდით
და ეს მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით —
გარედან სხვანაირად ჩანს.
ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.
ახლა მთავარი ისაა,
ახლანდელი სტატუსიდან —
კოვიდპაციენტობიდან
ჩამოყოფილ კოვიდპაციენტდეს.
ეს უნდა შეძლოს.
უნდა მოუხდეს.
შეაძლებინე!

IX



ვილაცამ ისე ძალიან შემანჯღრია, სულ გამაყრევინა ჩემი ტკბილი მოგონებები და თვალი რო ავახილე, კარისკაცი მედგა თავზე. აი ის, გუშინაც თეთრი ხელთათმანები რო ეკეთა და მილიმოდა. გამიხარდა. ძალიან მჭირდებოდა ადამიანი, ვინც უბრალოდ გამილიმებდა. აქამდე ასეთი რალაც არასდროს მინატრია, არასდროს.

— გამარჯობა, — ვუთხარი და ისე გავუღიმე, როგორც ნიკოს გავუღიმებდი. — ნახვამდის! — დამიყვირა გამწარებული, — აქ რა ჯანდაბას აკეთებ? შინაგანანესი არავინ აგისხნა?! ბალახებში ძილი — შენს სოფელში. აქ მეორედაც წამონვები და დირექტორთან შეხვალ, გაიგე, პატარა ბიჭი?!

არ შეეხებია, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს პანლური ამომარტყეს. ავდექი, შარვალი დავიფერთხე და პანსიონატისკენ გავიქეცი. ისე ძალიან გავიქეცი, თითქოს ჩემი ძველი სკოლიდან სოფლისკენ გზაზე ბიჭები სირბილში ვეჯიბრებით და ძალიან მინდა მოგება.

ჩემს ოთახში შევედი თუ არა, სანოლზე ავხტი და თავზე ბალიში დავიფარე. არ შემიძლია აქ გაჩერება, აღარ შემიძლია!

— თავიდან ძნელია, — ის შავი ბიჭი, ჯიმი დამადგა თავზე, — მერე შეეჩვევი. მეც ეგრე ვიყავი, ვერავინ დამაჯერებდა, რომ ამას როდესმე შევეჩვეოდი, მაგრამ აჰა.

არაფერი მითქვამს, არც გავნძრეულვარ. ფეხის ნაბიჯების ხმით მივხვდი, რომ ჯიმი სამზარეულოში გავიდა, მერე — თავის ოთახში. ცოტა ხანში ისევ დამადგა და დამიძახა:

— მოდი, ჩაიდავლიოთ, ლეო, ადუღდა. მე რო ამ სკოლაში ვადმოვედი, ოთახში მარტო ვიყავი და რას არ მივცემდი, რო როცა თავზე ბალიში მეფარა და ვტიროდი, ვინმე მოსულიყო და ეთქვა: „მოდი, ჩაიდავლიოთ, ჯიმი“.

უცებ ვიგრძენი, რომ ამხელა ქალაქში ჩემი ერთადერთი ახლობელი ადამიანი ეს ჯიმი და რო ამ იმედს უნდა მოვეჭიდო — მარტო არა ვარ. ხმამალა ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ რალაც ხომ უნდა მეთქვა, ხმა ამომელო.

— როგორი ჩაიდანია? — ბოლოს ეს ვკითხე ბალიშს ქვემოდან.

— შენს სოფელში როგორიცაა, ეგეთი ჯღანი არაა — ელექტრო!

გაცივინა, მეც გამეცინა. ბალიშიდან თავი გამოვყავი და ისევ გამეცინა, იმასაც. ბოლოს ორივემ გულიანად ვიცინეთ ეგრე — არაფერზე. არაფერზე გულიანი სიცხილი კიდევ მარტო მეგობართან შეგიძლია ადამიანს.

ყვავილის ფოთლი დედაჩემისთვის

ჯიმიმ ნუხელ თავის სოფელზე მომიყვა, მეც ჩემსაზე მოვუყვი და დღეს ცოტა უკეთეს ხასიათზე ვარ. სკოლას ორი შესასვლელი აქვს, პანსიონატის მხარე უკანა შესასვლელთანაა ახლოს, მაგრამ გადავწყვიტე, მთავარი შემოსასვლელიდან შევიდე. თითქოს, ასე უფრო დავუმტკიცებ ჩემს თავს, რომ მაგარი ვარ და გავუძლებ, არსადაც არ გავიქეცი! თან იქნებ ნიუსაც შევხვდე-მეთქი, მაგრამ არ გამიმართლა. ორმაგად არ გამიმართლა: 1. ნიუ ვერ ვნახე; 2. კარისკაცს შევეჩვენე პირისპირ. ეს კარისკაცი პირველ დღეს ხომ ძალიან თბილად მომიქცა, მეორე დღეს — საშინლად და ახლა, მესამე დღეს, ისე გამომხედა, თითქოს ადამიანი კი არა, ჰაერი ვარ და არ ვჩანვარ. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ვხედავ, გაღიმებული ნიუ ვილაც ბავშვს და იმის მშობლებს მიაცილებს.

— ნიუ! — დავუძახე, მაგრამ ისე გაბრაზებულმა შემომხედა, ხმა ჩამიწყდა. მივხვდი, რომ უბრალოდ მაგის საქმე ასეთია, მხოლოდ ახალმოსულებს უნდა გაუღიმოს, სანყენი კია, მაგრამ რას ვიზამ.

დერეფანს დავუყვი და გამახსენდა, აქ დედასთან და მამასთან ერთად რო მივდიოდი და ისე მომიხდა დროის უკან დაბრუნება, ეგრე ძალიან, მგონი, არასდროს არაფერი მომდომებია. მაშინ სულ სხვანაირად ჩანდა ყველაფერი, ახლა კიდე, იმავე გზის გავლისას, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სკოლაში კი არა, საყინულეში შემოვედი და დიდი ხნის გაყინული, მაგრამ მოძრავი ხალხი დამხვდა. ოღონდ საერთოდ არ ცივა, ეგ არაფერ შუაშია.

უცებ ერთი აზრი მომივიდა და გული ამიჩქარდა. ფანჯარასთან დავდექი, დაველოდე, მუსიკა როდის გაჩერდებოდა, რო დერეფანში არავინ დარჩენილიყო. მუსიკა გამორთო თუ არა, დერეფანი დაცარიელდა. ჩამოვუარე და დერეფნის რაფებზე ჩამწკრივებულ ყვავილებს თითო ქოთნიდან თითო ფოთოლი წავატყე, დედაჩემისთვის.

არავის დავუხანჯვარ. ჩავინყე ჯიბეებში და გზა გავაგრძელე, მაგრამ დერეფანი უცებ ნითელი შუქით განათდა და ხმამ გამოაცხადა:

— შინაგანანესი დაირღვა. დარჩით ადგილზე. შინაგანანესი დაირღვა. დარჩით ადგილზე.

ეგრევე გავშეშდი. არ ვიცი, ჩემზე თქვეს თუ არა, იქნებ ვინმემ სხვამ დაამავა რამე, მაგრამ ნაბიჯი ვეღარ გადავდგი.

კარისკაცი ორ ფორმიანთან ერთად მომიახლოვდა, ერთი ქალი იყო, მეორე — კაცი.

— დირექტორთან, — მითხრეს ერთდროულად და ნერწყვი გამიშრა.

კარისკაცს ისეთი საწყალი სახით შევხედე, რა ვიცი, მე რო ვინმემ ეგრე ხვეწნით შემომხედოს, ველად გავიჭრები, ფულუროდან ჩემი და ნიკოს ყველა ხმაღს მოვიტან, გავლესავ, ყირაზეც გადავალ, კარატესაც ჩავატარებ და რა ვიცი, ყველაფერს ვიზამ, რომ ამ ადამიანს დავეხმარო, მაგრამ ეს — არაა! დგას არხინდა. მერე, ეტყობა, მინც შევეცოდე და ფორმიანებს უთხრა, ერთი ნაბიჯი რალაცას ვეიტყვი. გავდექით ორი ნაბიჯი გვერდზე და მუშუნება:

— აქ სოფელი არაა, ოე! მიხვდი, რა შია შენი პრობლემა?

სულ ეს იყო. გავჯიშული გაბრუნდა და ნავიდა დიდის ამბით, გეგონება, მართლა რამედი დამეხმარა.

— დირექტორთან! — ქალი მეუბნება.

— მოიცა, დირექტორი წელან არ გავიდა სკოლიდან? — ჰკითხა კაცმა და სიხარულისგან ლამის მივედი, გადავხვიე.

— მაშინ დირექტორის მოადგილესთან! — თქვა ქალმა.

მოადგილის კაბინეტის კარი ღია დავხვებოდა. ფორმიანი კაცი მარჯვნივ ამომიდგა, ქალი — მარცხნივ.

— რა მოხდა?

მაგიდასთან მჯდარმა ქალმა ისეთი მშვიდი, დაბალი ხმით იკითხა, იმედი მომეცა.

— შინაგანანესის დაბრუნება, — მოახსენა ფორმიანმა ქალმა.

— უფრო ზუსტად?

— სკოლის დერეფანში არსებული ფანჯრის რაფებზე განლაგებული ქოთნებიდან ყვავილებისთვის ფოთლების თვითნებური ჩამოწყვეტის ფაქტი განხორციელდა. ჩამოწყვეტილი ფოთლები როდენობის განმსაზღვრელი ზუსტი ციფრი გაურკვეველია.

რაო?! ისე ჩამოარაკრავა, თითქოს გაკვეთილს ყვება, ან ვინმე ცნობილი მძარცველი დააკავა. დირექტორის მოადგილემ უკმაყოფილოდ გადაატრიალა თვალები. მზერა ავარიდე, ჯერ მარჯვნივ გავიხედე, მერე მარცხნივ და ბოლოს — ძირს დავიხედე. სოფელში რო გეკითხა, რა ფერის ფეხსაცმელი მეცვა, ალბათ ამასაც ვერ გავიხსენებდი დაფიქრების გარეშე. აქ კიდევ იმდენჯერ მიწვეს ფეხსაცმელზე დაშტერება, სად რა ნერტილი აქვს, უკვე ზეპირად ვიცი.

— აქ მოდი, — წყნარად თქვა მოადგილემ.

დაველოდე, იქნებ მე კი არა, ამათ უთხრა-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ფეხი არ გაუტყდრევათ. რა უნდა მექნა, მივედი ეგრე თავჩალუნული.

— ამოიღე.

ერთი ჯიბიდან ფოთლები ამოვალაგე და მაგიდაზე დავანყე. თუ რამეა, მეორე ვითომ დაბნეულობისგან არ გამახსენდა. — კამერის მიერ დაფიქსირდა, ორივე ჯიბის შევსება, — საქმიანად თქვა ფორმიანმა ქალმა.

— ა, უი! — ვთქვი და რა მექნა, მეორედანაც ამოვყარე.

მეტირება. ვიკავებ.

— მგონი, სიზმარში ვართ! — მოულოდნელად ხმამალა დაიყვირა მოადგილემ, — რეალობაა თუ ავი ზმანება?! წარმოუდგენელია, სკოლის მოსწავლემ, რომლის მიზანიცაა, გახდეს წარმატებული ადამიანი — ფოთლები მოიპაროს! რატომ?!

— დედაჩემისთვის, — ვთქვი და დავინახე, ფეხსაცმელზე როგორ დაეცა ჯერ

ერთი წვეთი ცრემლი, მერე — მეორე. მესამეს აღარ დაველოდე, გამოვვარდი და პანსიონატისკენ მთელი ძალით გავიქეცი.

ჩვენი ოთახის კარი შიგნიდან დამხვდა ჩაკეტილი და მუშტები დავუშინე. ჯიმიმ გამოილო და შეშინებული სახით შემომყვა ოთახში.

— რა მოხდა?

— აქედან უნდა გავიქეცი.

— დაწყნარდი. რომც გაიქეცი, ფეხით აპირებ შენს სოფლამდე ჩასვლას? მომიყვი, რა მოხდა.

— თავი დამანებე.

— კარგი. ჩაიდანს დავდგამ, ჩაი დაველით და მერე თუ სურვილი გექნება, მომიყვი. დღეს გვიან გაკვეთილები მენწყება.

არავის არ ვუყვარვარ. აქ არავის არ ვუყვარვარ. მარტო ჯიმის არ ვჭულვარ. ჯიმი, ჯიმი. ბევრჯერ უნდა ვთქვა, რომ იმედი მომეცეს. ჯიმი, ჯიმი, ჯიმი.

ჯიმიმ ჩაი დაასხა და გამომძახა. გავედი. ვინმეს თუ არ დაველაპარაკე და მოვუყვი, გავგიჟდები.

შაქარი უკვე ჩაყრილი იყო, მაგრამ რალაც ხომ უნდა გამეკეთებინა, ჯანდაბას, იყოს, ზედმეტად ტკბილი. საშაქრეს თავსახური ავხადე და სანამ ერთ კოვზ შაქარს ამოვიღებდი და ფინჯანში ჩავიყრიდი, ვითომ სხვათა შორის ვთქვი:

— ისეთი არაფერი, უბრალოდ აქ არავის ვუყვარვარ.

— მოდი, ამ ამბავს ასე შევხედოთ, — ჯიმიმ ჩაი მოსვა, — შენ თვითონ გიყვარს ისინი? არა, ხომ? აბა, რა გინდა? ითხოვ სიყვარულს იმათგან, ვინც თვითონაც არ გიყვარს. აბა, მითხარი, სად ჩანს აქ, რომ მინცდამაინც შენ ხარ დაჩაგრული?

ჯიმი, ჯიმი, შენ ხარ ჯადოქარი. რა ბედნიერებაა, აქ რო დამხვდი. საქმის ასე შემოტრიალებას ვერავინ შეძლებდა, ვერავინ — ამეებს გულში ვფიქრობ, თქმით არაფერი, მარტო ვიღიმები და მე რო ახლა გაღიმება შეეძელი, ამ წუთას ამაზე დიდი სასწაული რა უნდა მომხდარიყო?

— კარისკაცსაც ვჭულვარ, ჯიმი. მე მეგონა, კარგად ადამიანი. ის კიდევ საშინელი ტიპი აღმოჩნდა. ბალახზე წამოწოლისთვის ისე დამამცირა, თითქოს ნეხვს დავსუნე, ან რამე ეგეთი საშინელება ჩავივინე. არადა, უბრალოდ ბალახზე ვინექი და ჩამეძინა.

— ლეო, დამიჯერე, ზოგჯერ საკმარისია, უბრალოდ სხვა კუთხიდან შესვდო ადამიანებსაც და ამბუხსაც. უბრალოდ შემოატრიალო, მეორე მხრიდან შეხედო და ეგრევე დამშვიდდები. შენ ერთი მხრიდან უყურებ ყველას და ყველაფერს, ამიტომაც გეჩვენება ყველაფერი ისე, როგორც გეჩვენება. გინდაც კარისკაცი აიღ...

— რა-ა?! ანუ კარისკაცის დაცვას აპირებ? მეგონა, ჩემი მეგობარი იყავი, — უცებ ძალიან გავბრაზდი ჯიმიზე, მამაჩემივით დავახეთქე კოვზი მაგიდაზე.

ჯიმიმ ჩაი მოსვა, ფანჯრისკენ გაიხედა და ეგრე ფანჯრისკენ მიტრიალებულმა მითხრა:

— გინდა, ღამე შევიპაროთ სკოლის ეზოში და ბალახზე წამოვწვით? რამდენ ხანსაც გინდა.

მინდა. რა თქმა უნდა, მინდა!

შელაგება რო დაიწყო, პანსიონატიდან ჩუმად გამოვიპარეთ.

— ქუდი დატოვე, საერთოდაც ზედმეტ კომპლექსს ნუ აიკიდებ. არც ისე ცუდად გაქვს შეჭრილი. მოვიხადე და გამოვედი. სკოლის ეზოს უკანა მხრიდან მოვუარეთ და იქ გასაძრომი ადგილი სცოდნია ჯიმის, გადავძვრეთ. გული ისე მიცემს, მგონი, მთელ ქუჩაზე ისმის: დუგ-დუგ-დუგ-დუგ!

— აბა, გვემინია, რაინდო? — ჯიმიმ გამიცინა და ამისმა დიდ-დიდმა თეთრმა კბილებმა გაანათეს იქაურობა.

— საერთოდ არა, — ვთქვი, რაც შემეძლო, მშვიდად.

— თუ მეგობრობაა, მეგობრობა იყოს, — მითხრა ჯიმიმ, — ერთმანეთთან თუ გულწრფელები ვიქნებით, თავს ორივენი უფრო კარგად ვიგრძნობთ. მე, მაგალითად, აქ პირველად რო გადმოვიპარე, ისე შემეშინდა, შარვალი დავასველე. თან მე მარტო ვიყავი და უფრო ბნელოდა.

— და რახან შენ შეგეშინდა, მეც უნდა მეშინოდეს? — ჩავიცინე.

აი, მე მოვკვდე, თუ ვიცოდე, რა ჯანდაბად ვიფხორები, თავისით გამოდის ეგრე.

— სხვა შეკითხვა თუ არ გაქვს, მე ისევ პანსიონატიმ დავებრუნდები, — ჯიმის

ამკარად ეწყინა, აბა, რა იქნებოდა?

— შენ წარმოიდგინე, სხვა შეკითხვაც მაქვს, — ისევ ეგრე გაბლენძილი ვეუბნები.

ცოტა ხანს პაუზა და მერე ვკითხები:

— აქ რო პირველად გადმოძვერი, იმ დამით, ჩაფსმული შარვალი რო გაირეცხე, დილისთვის გაშრა? მაინტერესებს, ხომ უნდა ვიცოდე, მეც მომეხსენება გამრობა ხვალისთვის, თუ მომიხვეს ეგრე სველით სიარული.

ჯერ უცებ ვერ მიხვდა, ჩემს თავს რო დავცინე და მერე იმხელა ხმაზე გადაიხარხარა, პირზე ხელი ავაფარე. ორივემ ისე გემრიელად ვიცინეთ, კინაღამ მართლა გაგვეპარა სიცილისგან.

— შიშის აღიარება სირცხვილი არაა, — მითხრა ბოლოს ჯიმიმ ღიმილით, — მით უმეტეს — მეგობართან. კარგი ბიჭი ხარ, ლეო.

— შენ უფრო! — ვუთხარი.

ჯიმიმ მუშტი გამომიწოდა, მუშტზე მუშტი მივარტყი და წამოვედი ეზოს შუაგულისკენ.

სკოლის გარშემო ლამპიონები ენთო. ეზოში კაციმევილი არ იყო და უცებ თავისით შემობრუნდა ყველაფერი, მეორე მხრიდან შევხედე, როგორც ჯიმიმ მასწავლა და ამ მხრიდან დანახული აქაურობა სულაც აღარ იყო საშინელება, პირიქით. მთელი ცხოვრება ხო რალაცებს წარმოვიდგენ ხოლმე, რალაცებს ვიგონებ, ხან ვითომ ჩაინიკი მელაპარაკება, ხან დირექტორს ვითომ კული ამოუვინდა... და, აი, ეს შემოტრიალება კიდევ აზრად არასდროს მომხვლია.

უცებ სკოლის დერეფანში შუქი აინთო. მეც და და ჯიმიც მინაზე გავწვეთით მუცლით. თვალები დავჭყიტე და დურბინდის ლინზებივით დავქაჩე, რო დამენახა, შიგნით რა ხდებოდა. წარმოვიდგინე, რო დირექტორმა გაიარა დერეფანი, გამოვიდა უკანა გასასვლელიდან და აქ წავგასწო.

ჩემი გულის დუგ-დუგ-დუგ ხმა უკვე, მგონი, ჩემს სოფლამდეც ისმის.

ჯიმიმ მხარი გამკრა და გამოვფხიზლდი. გავხედე, განათებულ დერეფანში კარისკაცი დარბის. ჯიმიმ მანიშნა, ავდექი და სკოლისკენ გავიქეცი, კედლის კუთხეს ამოვეფარეთ. აქედან უკვე ისმოდა, რო კარისკაცი მღეროდა, ხელში პულტი ეჭირა და დარბოდა წინ და უკან, ვითომ მიკროფონია. ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა, გული ამიჩუყდა. საერთოდ არ ჰგავდა იმ ბიჭს, ეზოში წამოწოლის თვალზე რო დამყვიროდა. ყველაზე გასაკვირი კიდე ის იყო — ისეთ სიმღერას მღეროდა, ქალაქელები, წესით, ცხვირს რო უნდა უბზუებდნენ, ამისნაირი თეთრხელთათმანიანი ქალაქელები — მით უმეტეს. ეს სიმღერა ჩვენია, სოფელების. ჩემი და ნიკოს სიმღერაა, ფულუროში ვმღეროდით ხოლმე:

*„ხეპრე ხარ თუ ხისთავა,
ხარი ხარ თუ კამეჩი,
შენ თუ კაი კაცი ხარ —
რას-მერ-ჩიი!“*

ჯიმიმ მანიშნა და ისევ ეზოსკენ გამოვიქეცი, ლამპიონებს გავცდი და ბალახში გულაღმა გავწვეთი.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ამწამს ძალიან ბედნიერი ვარ.

— გაგაკვრდა? — ჯიმიმ მეკითხება.

— მაგრა. კაცი იფიქრებს, ბუზს არ ისვამს თავზე და უცებ „ხარი ხარ თუ კამეჩის“ მღერის! რა ეტაკა?

— „ბუზს არ ისვამს“, — გამომაჯავრა ჯიმიმ და გაცივინა, — ეგ ბიჭი ჩემი სოფლიდანაა, რაინდო ლეო.

— რაა?! — გაკვირვებისგან წამოვხტი.

— დანექი, ნახე როგორი ცაა, რამდენი ვარსკვლავი. აქ მარტო ცის ყურებით შეგიძლია, შენი სოფლის სახლის სუნი იგრძნო.

დავნიქი. ხელები თავვემ ამოვიდე, ჰაერი შევისუნთქე და თითქოს რალაც ბედნიერების მტკვრით შევაყლო. აქ, სადღაც ქალაქის შუაგულში, სულ სხვანაირი სკოლის ეზოს შუაგულში, ორიოდ დღის გაცნობილ, მსოფლიოში ყველაზე მაგარ ძმაცთან ერთად მინაზე ვწევარ, ჩვენს უკან შენობაში, მე რო ქალაქელი, განებივრებული დამამალი კაცი მეგონა, ის ბიჭი დარბის და ბედნიერი მღერის ჩემი და ნიკოს საყვარელ სიმღერას. არ ვიცი, ვიგონებ თუ მართლა — სადღაც აქვე ჭრიჭინაც ჭრაჭუნებს თავის მოტივებზე და მეტი რა უნდა იყოს ბედნიერება?!

ნინო სადღობელაშვილი



 კოცნაც არა — შეხება იყო
 მხრით — მხარზე,
 გაშლილ თმაზე — ხელის მტევანით.
 დასხდნენ მზისგულზე შორიახლოს,
 მდოგვისფერ ჰაერს აენებნენ,
 ფიქრით სიტყვებს გამოეკიდნენ,
 პირველ სიტყვებს, რითაც
 ერთადყოფნა უნდა დაეწყოს.
 სიტყვებმა დიდხანს არბენინეს,
 კარგად დაქანცეს და
 როგორც იქნა, ერთმა კუდში წაავლო ხელი,
 „საგიჟეთი“ — ყვიროდა სიტყვა,
 ვერმისული იმის გულამდე,
 ვის გამოც ამას თავის დროზე
 ყველა სიტყვა გარდაეცვალა.
 ისევ ამინდზე ლაპარაკი,
 სეზონებზე, მფრინავ თევზზე,
 ვილაცის დარდზე, ვინმეს
 დიად წამონწყებაზე,
 ისევ სხვათა სისულელე,
 ვიდრე თავისი, ერთმანეთის
 — ასე სჯობდა, რიგრიგობით დააფარეს
 პირზე ხელი აყვირებულ
 მწვანე სიგიჟეს.
 მზე ხალავდა მათ გარშემო
 დროის ბატბუტს
 სუსტი სევდის თავშესაქცევად.
 ისხდნენ ჩუმად,
 როგორც ორი შეკეტილი კარი,
 ერთმანეთის სამეზობლოდ განწირული
 და არ იცოდნენ, რომ ერთმანეთი
 მკვდარი სიტყვების საფასურად
 გადაარჩინეს.

 არ დაიჯერო,
 რომ მკვდრები არ ლაპარაკობენ.
 სიცოცხლის კართან
 თოფებით ააყუდეს
 ბოლო სიტყვები.
 ყველა ომს მათი სიტყვებით
 ვინცებო.

ციფრული პარადი

უკუნ ლამეში,
 სიჩუმეში
 ინთება გარდაცვლილი მეგობრის ფეისბუქ-ოთახი
 — ისევ მოსულა დედამისი
 მის ვირტუალურ კართან,
 ციფრულ ვარდებს ანყოფს
 კიდეში,
 აკაკუნებს, ჯერ ფრთხილად,
 მერე ოდნავ ხმაურით,
 აკაკუნებს გაუჩერებლად,
 თითქოს სჯერა — სულ ცოტაც და,
 ეს კარი მართლა გაიღება,
 მართლა შეყვება ონლაინ-ნიაფს,
 მოცისფროს და მანათობელს,
 რომელიც ყოველ შეხებაზე
 ზეცას უცვლის სისხლის
 აივნებს,
 შევა შვილის ციფრულ ოთახში.
 ბიჭი სკამიდან წამოდგება
 ან მძინარეს თუ შეუსწრებს,

ფაქიზად მიაფარებს ხმოვან ტალღებს,
 ელექტრონულ კალენდულებს
 წყალს გამოუცვლის...
 ჩვენ კი ყველაფერს დავინახავთ,
 ვისაც გვღვიძავს,
 ვინც ამ ღამით
 ამ კაკუნში ვერ დაიძინა,
 გავხსნით ჩვენი ოთახების
 ვირტუალურ ჭურჭრუტანებს
 და დედა-შვილის უცხო კინოს
 ცალი თვალთ მივებჯინებით.
 მერე სხვასაც მოუნდება,
 თავის მკვდარ ქმარს მიუკაკუნოს
 ან ძმას, ან დედას
 ან მეზობელს,
 ვინც დატოვა მასთან ბევრი
 ქოთნის ყვავილი...
 ერთი ღამე ვერ დაიტევს
 გაღებული ფანჯრების ციმციმს,
 არ ეყოფა აღარც ერთი მღვიძარება,
 ჩამოდგება მარადი ბნელი,
 რათა სულელებმა უკეთესად გამოაჭყიტონ,
 საღამური პერანგებით,
 ფოსფორის ბოტებით
 ჩვენც ბოლთას დავცემთ,
 ვივლით სამყაროს ხვეულებში
 და ნეონის ვარსკვლავებით
 მოვიკლავთ შიმშილს,
 ყველა კარი იქნება ღია,
 და ჩვენს მკვდრებს ისე ვესტუმრებით,
 როგორც ოდესღაც,
 ვუსაყვედურებთ, რომ
 მხოლოდ ჩვენ გვანტერესებს
 მათი ამბავი.
 ისინი ჩუმად იქნებიან,
 ჩვენს ხეტილს არ შეერევიან,
 ისე მოიქცევიან,
 თითქოს რამეს გვიმალავდნენ,
 თითქოს ნუხდნენ,
 რომ გამოგვრჩა რაღაც მთავარი,
 რომ ციფრულ ვარდებში დავიკარგეთ
 და არადროს აღარ მოვკვდებით...

 ერთი თამაში მოვიგონე:
 სადაც წავალ, ყველა ქალაქში
 მამაჩემს ვეძებ.
 არც რუკა მაქვს,
 არც საძიებო ნიშნები ვიცი,
 სიზმარშიც კი არ მინახავს
 არაფერი დანამდვილებით,
 უნესებო თამაშია —
 ველური და მხიარული,
 როგორც ზაფხულში ჩარჩენილი
 ბავშვის
 შარიანი თავგადასავალი.
 აი, ამ ზღურბლზე,
 ახლა რომ დავაბიჯე,
 შეიძლება მამაჩემიც იდგა,
 წამით გალაგნის კედელს გახედა,
 რაღაც გაახსენდა და
 კაფეში შესვლა გადაიფიქრა.
 ან ბალი, სადაც ისე შემასწრო,
 კვალი ვეღარსად ვიპოვე,
 ან ეს ავტობუსი,
 რომელშიც მხოლოდ იმიტომ ვზივარ
 რომ იქნებ მამაჩემის ქუჩაზე გადაუხვიოს?..

ხანდახან მაინცდება რას ვთამაშობ,
 მხრებში მოხრილ მგზავრს ვაჩერებ და
 ვეკითხები,
 კიდევ ბევრი დარჩა გათენებამდე?
 მერე ამასაც ვივინყებ,
 ყველა ქალაქი თავის ხმაურიან მუცელში მითრევს,
 მოგზაურობა უცხო აბების ყლაპვას ემსგავსება —
 არ იცი, როგორ ხარ, რა გჭირს,
 რა გიშველის,
 გათიშვამდე ღამაზია გაუგებრობა,
 რომელშიც ხარ,
 რომელშიც, ახლა კი არა,
 დაბადების წუთიდან აღმოჩნდი!..
 სანამ ისევ არ იპოვი
 ნაცნობ ნაფხურს,
 ჩადგამ ფეხს — დაატოლებ,
 ისევ მოგინდება ძველი თამაში,
 არც რუკა გაქვს
 არც საძიებო ნიშნები,
 მაგრამ ბავშვის სიჯიუტით იცი —
 ის შენამდე აქ უკვე იყო,
 ეს ადგილი შენთვის მონიშნა,
 მუჭით ცეცხლიც დაგიტოვა —
 სხვა გზებამდე გასათბობად,
 გასანათებლად.

 სულ შენ მოდიხარ
 და ინგრევა თეთრი ქალაღი.
 სიცარიელე ნაბიჯების ხმაზე გუგუნებს.
 სულ შენ მოდიხარ,
 ვთენდები თუ როცა ვალამებ
 და მზე სტკვივა დედა-უკუნეთს,
 მე არ ვიძვრი. სულ შენ მოდიხარ.

სულ შენშია
 ჩემი სული, ჩემი საბადო.
 ვემორჩილები ფოთოლცვენას და გაზაფხულებს,
 რამდენჯერ გულის კლდეებიდან ცეცხლი ავარდა,
 კრთოდა სამყარო მოლოდინით გადაზაფრული,
 სულ შენშია
 ჩემი ცეცხლი,
 რასაც ვუყურებ.

სულ შენ მოდიხარ,
 მე კი ისევ მინაში ვწევარ.
 მოჰყვები ხეებს ნამის რუდ და
 ფარდებს — ნიაფად,
 ეს სინანული ამისრულე — სიცოცხლის ჩვევა:
 მკვდარიც რომ ვიყო,
 მაინც მოდი,
 აქ ვარ. ღია ვარ.
 ადამიანი დგას, არ იძვრის.
 სულ შენ მოდიხარ.

უაპროპო იანვანა

უჟამო ძილიდან
 რამდენიმე დღით გამოაღვიძეს.
 კაპილარებით ხეთა ვარჯებზე
 შეაერთეს,
 ახალნაქსოვი ბადესავით გაკიდეს
 პლანეტებს შორის
 მისი ნერვები,
 სისხლში სიგიჟე წამოუნთეს,
 სპექტაკლისწინა მოლოდინით ჩააბნელეს,
 ყელიდან ენა ამოუყვანეს,
 როგორც ჩვილი, ღმერთის ნაყოფი,
 გაიზმორა და ანმყოუნახავი თვალი
 ენებით გამოახილა,
 ყველა სიტყვა ამოიძახა,
 სიყვარულის ყველა სიტყვა,
 ყველა სიზმარი მოყვა
 უთავბოლოდ, უმისამართოდ,
 ყველა სიმღერა გაიბრძოლა,
 ყველა ბგერა გაისროლა,
 ყველა სარკეში
 საღათასძილში დაგროვილი კვერცხები
 დადო,
 ჰაერზე მალლა შეისრულა
 თავისმავე ლურჯმა სიფხიზლემ,
 დროის ბავშვმა სუნით იგრძნო —
 დედა დაბრუნდა!
 ჩაეხვივნენ კიდევ ერთმანეთს,
 ჩრდილებმა მათი ჟრუანტელი
 ნაიბორძიკეს,
 აივსო დროის ბავშვი
 დედის ცრემლებით,
 ყლაპა და ყლაპა
 მისი წყლები, მისი ხორცები,
 მისი ღვიძილის მოელვარე საგალობლები,
 დაეწაფა დედის
 შავ თმებს და
 მოიჭრა სხვა გზები,
 გაზაფხულის ტყეების გარდა,
 ამ სიყვარულს ვინ გაუძლებდა,

ვინ იყო მისი დამმახსოვრები,
 გარდა ისევ ლეთარგიისა,
 უკუნეთი ტკბილი ძილისა,
 საიდანაც დაკარგულის შიშით
 და სინაზით
 იავნანა ისმის,
 იავნანა — სიცოცხლის მეორე ნაპირიდან,
 შეუძლებლის ღიმილიდან,
 სიყვარულის ბზარებიდან
 უავტოროდ შემოღწეული...

ქარონი ვარ

ქარონი ვარ —
 სტიქის ნაკადებს მიაგეღვებს ჩემი ნიჩბები.
 ხაფი ხმით ვყვივ, როცა ტალღას ცეცხლი მონყდება
 და მომეხლება თვალისჩინის ამოსანვავად,
 ლურჯია ჩემი ხალათის ბოლო,
 ამ ბოლოზე გაოცებით მეჭიდებიან
 და შევლას მთხოვენ,
 როცა ძილიდან სიფხიზლეში ვინმე გადამყავს.
 მშობრები ჩემი მგზავრები,
 ჰგონიათ, რომ სილამაზე იქ მოიტოვეს,
 ნინა ნაპირთან,
 სიყვარულიც იქ მოიტოვეს, ეჭვიც,
 იმედიც,
 ჰგონიათ, რომ ყველაფერი რაც კი ჰქონდათ,
 მათ უკან დარჩა
 და ჩემს კალთას ატატებულნი,
 ფერგაცილილი თვალის კაკლებით
 მოძვრებიან ჩემი სულის ნაპრალებში
 თავშესაფრად.
 ვუყვირი: ჰეი, გაახილეთ ფართოდ თვალები,
 ეს გზა უნდა დაინახოთ, დაიმახსოვროთ,
 ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც ათასი გზაა,
 მხოლოდ ეს გზა — ჩემი ნიჩბით გადაგლესილი —
 არასოდეს აღარსად არ განმეორდება,
 ეს თქვენი გზაა უპირატესი,
 თვალი უნდა გაუსწოროთ ამ მორევებს,
 ამ უფსკრულებს,
 წყალს თავი მისცეთ
 — კლდის ხანჯლებით გადაგაროთ,
 ლელქაშის ყოლი დაიკვირეთ,
 როგორც ჩვილის ნელსაცხებელი,
 ჰეი, ძილი უკვე იყო,
 მალე ნაპირს მივადგებით
 გამოღვიძების!..
 ტიტვლებია ჩემი მგზავრები,
 ამ გზის შიშით ნიფხავსაც არ აიფარებენ,
 რამემ რომ არ დაამძიმოთ ნავის ფსკერზე,
 ხორცი რომ არ დაიფარონ
 იმ ნაპირის ძონძით, ფლასებით,
 ამოდიან ცახცახით და
 ჩემი კალთის ქვეშ მიძვრებიან,
 ვურტყამ ნიჩბებს ტალღის ფერდებს და
 შავ ჩქერებს მივაჭენებ,
 სიყვარულის მათრახია ჩემი ნიჩბები...
 უტყვებია ეს მგზავრები,
 ერთს არავინ ამომანვადის ხმას,
 სიტყვის პურს არ წამიტყვავს,
 ტყვიისფერი ყორნების ხმა მოისმის მხოლოდ
 და ბუფბუფი სტიქის სტომასის,
 იმ ნაპირზე დატოვეს სიტყვა,
 ახალ ენაზე გაიღვიძებს მათი სიჩუმე.
 მე ის ენაც კარგად ვიცი და ეს სიჩუმეც,
 მაგრამ არცერთი არა მჭირდება,
 რადგან ქარონი ვარ
 და მხოლოდ ნავის მართვა მევალება აქ,
 რადგან ამ ვალს ერთხელაც თუ გადავუხვევ
 და სიკვდილის და სიცოცხლის საიდუმლოს გავცემ,
 პირს შეიკრავს ორივე ნაპირი და
 მგზავრები უგზოუკვლოდ გაქრებიან,
 მე კი არ მეყოფა სიყვარული
 ახალ გზათა აღმოსაჩენად.

მრავალქარღვა

მინდვრებო, მაჩუქეთ მრავალქარღვა
 დედაჩემის თაიგულისთვის.


დღეები სინანულს ინველიან,
 თავჩახრით ცოხნიან ულურჯეს ბილიკებს
 სიზმრების ბაგაში,
 შიში საოჯახო სიძველეა,
 ღია საგულესთან შავი მზის არილით
 თამაშობს.

მინდვრებო, მომანოდეთ მრავალქარღვა,
 დედაჩემის კარგადყოფნის სანიშნეები.

სარკიდან მოჟონავს გარინდება,
 სიმნიფის სადაფი ეღვრება ტუჩიდან
 მშობლიურ სარძევებს,
 ვცადე და ეს ზეცა არ ინთება,
 ვერც სისხლის წყაროში ახალ სიყვარულად
 გავგრძელებდი.

მინდვრებო, გაშალეთ მრავალქარღვა,
 დედაჩემის უკვდავების საჩრდილობელი.


ერთად დავიბადეთ.
 ჩემო ცისფერო ჭუპრო,
 ჩემ სამოში ჩაკიდებულ
 სიჩუმის გიდელო,
 გზარდე ისეთი ალიაქოთით
 თითქოს ერთადერთი დედა ვყოფილიყავი,
 ერთადერთი და უკანასკნელი
 და როცა შუქის მტვერი
 გააფრქვია შენმა სიჩუმემ,
 დავიძარი შიშის აღმართისაკენ.
 მარტოს უნდა გამეჩინე,
 განა ერთხელ — ასიათასჯერ,
 რამდენჯერაც სუნთქვას მტაცებდი
 ან ძარღვები უნდა დამეცალა
 გაუჩენელი დარდისაგან,
 მოურჩენელი სიხარულისაგან,
 ან ძღვენივით მიმერთმე
 სიყვარულისთვის,
 ან ფარით ამეფარე სიკვდილის თვალნი...
 შენც მორჩილად, ჩუმად ჩნდებოდი
 და მაშინვე აგყავდი ხელში,
 ჩემი სიმძიმით პანანინა ზურგი
 გეყვლიფებოდა.
 სად აღარ მატარე!..
 სამი მზე და ოთხი მთვარე მოვიარე
 შენი ფეხისგულებით,
 ლელქაშის ზღვები ვიხილე
 შენი თვალებით,
 ცის სადაფი ვლოკე
 შენი ვარდის ენით,
 შენი თითებით მოვსრისე
 სამოთხის ბალახი...
 შენ კი თრთოდი
 ისე ჩუმად, უხმაუროდ,
 თითქოს არც ყოფილხარ,
 თითქოს ავადმყოფი ახირებით გამოგიგონე.
 მძულდა შენი მორჩილება,
 შენი ქრობისპირა სისპეტაკე.
 ხორცი დავიგლიჯე და
 თიხასავით კედლებად აგანებე,
 იქნებ ჩემგან ბრაზიც გადმოგდებოდა!
 შენ არაფერი გინდოდა ჩემგან
 გარდა მოლოდინისა,
 უსასრულო და ღონიერი მოლოდინისა,
 მე კი რაც შევძელი,
 შენს სამუდამოდ მოსაპოვებლად,
 ესლა იყო:
 საფლავად ვიქეცი,
 ძვლებამდე გავჭერი და
 გაგიშვებდი პანია ბორცვი,
 ერთადერთი ყვავილით და
 უსიტყვო წარწერით,
 იცურე, ჩემო ცისფერო ჭუპრო
 და ქრობამდე შეაშრი სამყაროებს,
 იდინე, ცრემლისხელა სასნაულო,
 შენმა ჩრდილმა ვარსკვლავებს გადაუაროს!..
 და თუ ოდესმე მოგწყინდეს ხეტიალი,
 თუ მოგინდეს ლამაზი ძილი,
 ორი სიზმარი და ღილინი ძილში,
 გელოდება შენი სანოლი,
 ვარდისფერი ბორცვი ყვავილით,
 გელოდება შენს საფლავად ქცეული
 დედა.



მარტივი ბინარულობანი

ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკის,
 თუმცა, ვინც ქარიშხალს მოიმკის,
 მისთვისაც იქნება რამე მეტეოროლოგიური მოვლენა,
 უფრო მძაფრი და ინტენსიური,
 რადგან უფალი მონყალეა.
 ვინც პოეზიას შეაკვდება,
 ცხოვრების პროზა მოკლავს.
 ვინც მოკვდება, აღდგება,
 ან სულაც აღსდგება
 (გააჩნია, რომელი ლექსიკონით სარგებლობს).
 ვინც ჩიტებს ესვრის,
 სიბნელეში ჩაძაღვდება,
 მაგრამ გაიგებს უცნაურ ყვირის
 კედლის მიღმიდან
 და ეს არ იქნება ჩიტების ყვირილი.
 ვინც გაფრინდება,
 ვერ მოფრინდება,
 თუმცა, დავიწყოთ იქიდან, რომ
 ვერ გაფრინდება,
 რაც ძალიან სამწუხაროა,
 მაგრამ ასეთია ცხოვრების დიალექტიკა
 და მისი შეცვლის არც სურვილი,
 არც ხალისი ჯერ არა ჩანს.
 ვინც ბოლოს იცინის,
 ის მასწავლებელია,
 ხოლო დრო — სემესტრის ბოლოა,
 თუმცა ეს დიქტომია ზოგჯერ უხერხულად ირღვევა
 და ბოლოში განათლების სისტემა იცინის.
 ვინც ომისთვის გაჩნდა,
 ომში არ მოკვდება,
 რაც უცნაურია,
 მაგრამ ვერაფერს გაანწყობ.
 ვინც ორიგინალურად წერს,
 არაორიგინალურად ცხოვრობს,
 და პირიქითაც,
 ეს ერთგვარი მობოდიშებაა, ერთისა — მეორის წინაშე
 და, შესაბამისად, პირიქითაც.
 ვინც ფილოსოფიურ ქვას ეძებს,
 სწორედ ამ ქვით გაუჭეჭყავენ თავს,
 რაც კიდევ უფრო ლოგიკური იქნებოდა,
 პრომეთე რომ ცეცხლში მოესროლათ,
 ხოლო ბრუნო — კავკასიის ქედზე,
 მაგრამ მოგვინებს ვიცხოვროთ
 დაუმტკიცებელი სიმართლეების ტვირთქვეშ,
 რაკი ასე მოიტანა ცხოვრებამ.
 ვინც დამარცხების შიშით ცხოვრობს,
 ერთხელაც გაიმარჯვებს,
 და მიხვდება, რომ დიდად არაფერი შეიცვლება,
 თუ არ ჩავთვლით მტრების მოყვრად გადაქცევის
 სახელდახელო ჯადოსნურ პროცესს
 და რამდენიმე ასეულ ნათესავს,
 რომელთაც, ღმერთო, როგორ ჰყვარებიხარ,
 აი, როგორ.
 ვინც სამართლიანობას ითხოვს,
 მას მიიღებს,
 ვინც სიკეთეს და სოციალურ თანასწორობას ითხოვს,
 მიიღებს,
 და მშვიდობას ვინც ითხოვს,
 ისიც მიიღებს —
 რადგან კარგი ლექსი კარგად უნდა დასრულდეს.





პაატა შამუგია

შემთხვევითი ფრაგმენტები ცხოვრებიდან

*
 რაც დარჩა ცხოვრებისგან
 იმას ვცხოვრობ
 რაც დარჩა ჩემი თანამოქალაქეების მიერ შესრულებული
 ეკონომიკური რესურსებისგან
 იმას ვცხოვრობ
 რაც შემორჩა მეხსიერების ნებოვან კედელს
 იმას ვცხოვრობ
 რაც ნაიშალა ჩემი ცხოვრების ფართო სურათში
 იმას ვცხოვრობ
 რაც დარჩა ჩემი ოცნებებისგან
 რომლებიც სხვებმა აიხდინეს
 იმას ვცხოვრობ
 რაც დარჩა ჩემგან
 მას შემდეგ რაც არაფერი დარჩა ჩემგან
 იმას ვცხოვრობ

*
 ხანდახან მინდება საკუთარ თავს
 გამოუფგონო რამე უბედურება
 რომელსაც დავიჯერებ
 და რომელზეც ლექსებს დაწერ
 მნამს რომ ლექსები
 სწორედ ასე იწერება

*
 ფანჯრიდან შემოდის ვასაკების ბენდის ხმაური
 ხეები ფოთლებში გამოეწყვენ
 ბუნება რაღაცისთვის ემზადება
 მხოლოდ მე არ ვემზადები არაფრისთვის
 ლექსი დაწერილია
 სანოლი გაშლილია
 აქა ვწევარ და სხვაგვარად არ ძალმიძს

*
 რაც მეხსიერების ფსკერზე დაილექა
 იმას ვცხოვრობ
 რაც წამერთვა და არ დამიბრუნდა
 იმას ვცხოვრობ
 კამილო ხოსე სელას ვცხოვრობ
 რაც ჩემზე დაწერილა — კარგიც და ცუდიც —
 იმას ვცხოვრობ
 რაც არ დაწერილა მაგრამ დაინერება
 იმასაც ვცხოვრობ
 ბანკის კრედიტებს ვცხოვრობ
 დილით ყავას და სიგარეტს
 შუადღისას ხახვიან კვერცხს და აჯიკას ვცხოვრობ
 საღამოთი არ ვცხოვრობ
 ვწერ

*
 მაინც ვერაფერი გავუგე ცხოვრებას
 ეს არაა მოდური შეკითხვა
 ოშოზე გაზრდილი თინიჯერები რომ გააზიარებენ
 და გულის სმაილს დაურთავენ
 ეს სიმართლეა
 თუმცა არ ვარ დარწმუნებული რომ ვინმეს სჭირდება

*
 ვერაფერი გავუგე ჩემს მტრებს
 იქნებ მათი მიზანია
 სწორედ ისეთი იდიოტები იყვნენ
 როგორაც გამოიყურებიან

*
 ვერაფერი გავუგე პოეზიას
 მხოლოდ მაშინ მწერება როცა არ ვარ ბედნიერი
 ბედნიერი როცა ვარ მაშინაც ვწერ მაგრამ ცუდად
 და სათქმელი მექცევა მკვდარ წარმონაქმნად
 რომელსაც სულს ვერ შთაგვბერავ
 ფეხს ვერ ავადგმევიანებ
 სივრცეში ვერ ავაცეკვებ წვიმასავით

*
 ლექსი რომ დანერო წვიმაზე და კარგი გამოვიდეს
 აუცილებელია მასზე ისე დანერო
 თითქოს წვიმა სამყაროში
 აქამდე არასოდეს არსებულა
 და მას ამწუთას შენ იგონებ

*
 რაც გადაურჩა ლექსებს
 იმას ვცხოვრობ
 ანუამბემანს ლიტოტესს და ჰიპერბოლას ვცხოვრობ
 რაც სიზმრებმა გამოიჩინა თვალის გუბებში
 იმას ვცხოვრობ
 მეეზოვის ნათქვამ „რავა ხარ ჯიგარო“-ს ვცხოვრობ
 რაც მეგობრებმა მიმტრეს
 და მტრებმა ხომ მიმტრეს და მიმტრეს
 იმას ვცხოვრობ
 რაც გადაურჩა ცხოვრებას
 მაგრამ ვერ გადაურჩა სიყვარულს
 იმას ვცხოვრობ
 რაც მასწავლა პოეზიამ და პროგრამირებამ
 იმას ვცხოვრობ
 <? echo Hello world! ?>

*
 უკვე აუტანელია სურვილი —
 ყოველი სიტყვა დავასაქმო
 ადამიანთა გულების მომნადირებლის პოზიციაზე
 ზოგჯერ გამოდის ზოგჯერ არა
 აი ახლა ვფიქრობ
 როგორ აღვნიშნო შენი სახელი
 ფანტაზიების ჩემს რუკაზე

*
 ყველა კარგი ლექსი ერთმანეთს ჰგავს,
 ყველა ცუდი ლექსი კი თავისებურად ცუდია.
 რას იტყოდა რუსი თავადი?

*
 რაც დარჩა ცხოვრებისგან
 იმას ვცხოვრობ
 რაც დარჩა ჩემი თანამოქალაქეების მიერ შესრულებული
 ეკონომიკური რესურსებისგან
 იმას ვცხოვრობ
 რაც შემორჩა მეხსიერების ნებოვან კედელს
 იმას ვცხოვრობ
 რაც ნაიშალა ჩემი ცხოვრების დიდ სურათში
 იმას ვცხოვრობ
 რაც დარჩა ჩემი ოცნებებისგან
 რომლებიც სხვებმა აიხდინეს
 იმას ვცხოვრობ
 რაც დარჩა ჩემგან
 მას შემდეგ რაც არაფერი დარჩა ჩემგან
 იმას ვცხოვრობ

*
 თვითნაწილი:

ეს ლექსი საგვსა პროტესტით (ეს დღეს ვის უკვირს),
 სასონარკვეთით (ეს კი ბევრს გაუკვირდება)
 და სინაზით (ვინ წარმოიდგენდა?!).

არაორიგინალურობის ქება

მე მინდა, ვიყო არაორიგინალური,
 ანტიორიგინალური,
 იმდენად, რომ
 ვგავდე ყველა ადამიანს
 და ზოგიერთ არაადამიანსაც კი.

მინდა, ვგავდე ყველა უძრავ და მოძრავ საგანს,
 ფრინველებსა და ცხოველებს,
 დაშლილ ატომს
 და გაშლილ ყვავილს,
 მზის გულზე მოყვლყვლავს,
 რომ ვერაფერ შეძლოს ჩემი გამორჩევა
 რამე ნიშნით ან უნიშნობით.

მინდა, ყველა ჩემი ლექსი ჰგავდეს
 მსოფლიოში არსებული ყველა პოეტის ყველა ლექსს;
 მინდა, მუდმივად ვეშლებოდეთ
 ჩემს სხვადასხვა კოლეგაში,

მათ მაგივრად არ მახდევინებდნენ ტაქსიში ფულს
 და მათ მაგივრად მლანდღავდნენ კრიტიკოსები.

მინდა, ჩემი თითის ანაბეჭდი არ იყოს განუმეორებელი
 და ემთხვეოდეს ნებისმიერი იდიოტის
 თითის ანაბეჭდს.

მინდა, ალტკინებული მასის უფერული ემბრიონიდან
 ვერაფერ შეძლოს ჩემი გამოცალკეება,
 რათა შევერიო ყველას და ყველაფერს,
 რაც საეჭვოდ ჰგავს ყველას და ყველაფერს.

როცა ბუდაპეშტის ქუჩაში დავიკარგე

ბუდაპეშტი ისე ლამაზია,
 მზად ვარ, ამერიოს ჩემს სამშობლოში
 და შეცდომით ლექსიც მივუძღვნა.

სასიყვარულო წერილი

როცა ქუჩაში ხეტიალისას,
 ბოლოს და ბოლოს, მენვება
 კარგი პოეტური აზრი,
 ტრადიციისამებრ, ავტომატურად
 გულისჯიბეში გამიბრბის ხელი,
 სადაც წესიერ პოეტს კალამი უნდა ეგდოს.

მაგრამ მერე მინეც
 შარვლის ჯიბისკენ მივმართო ხელი
 და მობილური ამოვაცოცო.
 სწრაფად ვკრეფ სტრიქონებს,
 აზრი რომ არ დამეფანტოს,
 კლავიატურის ლილაკსა და ლილაკს შორის
 რომ არ გამეჭედოს ნაწვალეები მეტაფორები,
 და საკუთარი ელფოსტიდან
 ვაგზავნი ისევ საკუთარ ელფოსტაზე.

მერე სახლში მისული
 გულის ფანცქალით ვხსნი ამ წერილს,
 თითქოს შეყვარებულისგან ველოდებოდე გზავნილს

და აჰა, ისიც მოსულიყოს.

მადუზა გო(რ)გონა

ლეთეს მდინარეში ვიყურები
 და შუბლზე ჩამოშლილ გველებს ლამაზად ვინწავ —
 აუცილებელია, იყო თანამედროვე,
 თუნდაც ანტიკური მითოლოგიის ნისლი გფარავდეს
 და დავინწყების შავ ხვრელში ცვიოდნენ
 შენი სახის ფრაგმენტები.
 ვინ არიან ისინი,
 გაფართოებული თვალეებით რომ მიყურებენ
 და ძეგლებად იქცევიან?
 მე ჯერ კიდევ არაფერი ვიცი
 კასტრაციის შიშის შესახებ,
 მითოლოგიას კი პასუხი არ აქვს
 და ჩემს და სხვების შიშებს მე თვითონ ვნომრავ.

შიში N21

ნუმერაცია პირობითია,
 როგორც სხვა ყველაფერი.
 მინდა, ჩემი მზერაც პირობითი იყოს,
 სიმბოლოების ღღობად ჯაჭვზე დაკიდებული,
 თბილი შემოხედვის ტალღა წყვეტდეს
 გაშეშებულ წამს,

მოდიოდეს მავანი
 და ყურებზე ჩამოყრილ გველის წინილებში
 ხელებს მიცურებდეს.

და მიხაროდეს
 და მიყვარდეს
 და არ ქვავდებოდეს.

შიში N3

მოჭრილი თავი უხეიროდ ფიქრობს
 (ასე მიაჩნია პოეტს),
 ის ხელში უჭირავს ახოვან გმირს და ხელში ათამაშებს,
 თავად გმირს კი ბედისწერა ათამაშებს,
 როლები მკაცრად განსაზღვრულია.
 დუბლიორები დაიხოცნენ,
 ახლა სასიკვდილო ტრიუკები
 ჩვენ თვითონ უნდა შევასრულოთ.

შიში N3.14

აუცილებელია, იყო ლამაზი,
 თუნდაც უკვე მკვდარი იყო
 და შენი მოჭრილი თავი ცალკე შედიოდეს ისტორიაში,
 როგორც ოჯახისგან განდგომილი შვილი.
 ზღურბლზე ფეხის დადგამდე
 არეული ჩრდილი შეითვალეიერე:
 აუცილებელია, იყო ლამაზი,
 მით უმეტეს, თუ მკვდარი ხარ.

დასასრული

თანასწორობის გაკვეთილი

„ხეპრე ხარ თუ ხისთავაააა, ხარი ხარ თუ კამეჩიიი“ — მძინარეს ჩამყვირის ჯიმში. მაგარ ხასიათზე ჩანს. თვალი გავახილე.

— როგორი ხმა მაქვს? — მეკითხება. ლამე გვიან მოვბრუნდით ოთახში, მერე კიდევ ვილაპარაკეთ და ლამის დაგვათენდა. გათიშულს მეძინა და უცებ გამოფხიზლება მიჭირს.

— ხეივანზე ხხხხხარ თუ ხხხისთავაა... ჰა, როგორი ხმა მაქვს?

— საშინელი, — ვუბნები და მეცინება.

— და სმენა?

— უარესი.

— სამაგიეროდ, შენ გაკვეთილზე აგვიანებ, მე კიდევ, ხმის და სმენის გარდა, პირველი გაკვეთილიც არ მაქვს.

ნამოვხტი. ჩქარ-ჩქარა ჩავიცვი, ტანსაცმლიდან ნუხელ ეზოში აკრული წკირ-წკურის ჩამოვიბერტყე და ჯიბეებიც რომ ამოვბერტყე, ერთი ფოთოლიც ამოყვა. მოადგილესთან რომ ამოვყარე, ეს ერთი ჩარჩენილა.

— ჯიმში, ჭიქაში ნყალი ჩაასხი და ეს ფოთოლი შიგ ჩადე, რაა, გთხოვ.

— რას გადაიხდი?

— არ ვიცი.

— რა გაკვეთილი გაქვს?

— არ ვიცი.

მაცივრიდან ეკრანი ჩამოვგლიჯე და გარეთ გამოვვარდი.

გზაში ეკრანზე ცხრილს ჩავეხე. თანასწორობის გაკვეთილი მქონია, რა მაგარია! ამ საგანში, ამკარად, დანარჩენზე უკეთესად ვერკვევი. დღეს შენი დღეა, ლეო, ჩემო თავო, უნდა მასახელო!

სკოლის უკანა შესასვლელის კარი იმედინად შევალე. საყინულეში მოხვედრილ ცოცხალ ადამიანს რისი იმედი უნდა გქონდეს, მაგრამ თანასწორობის გაკვეთილი და იმედი მაქვს, ამ ერთ საგანში მაინც ვივარგებ. ჩემს სკოლაში სოფის ყოველთვის მოსწონდა ჩემი მსჯელობა თანასწორობაზე. სოფი, სოფი, ნეტა აქ იყო და ამ გაკვეთილს ესწრებოდე, უნდა გასახელო!

კლასში შესვლამდე მუცელში რაღაცამ მომიჭირა. კბილის ექიმთან მისვლისას მემართებოდა ხოლმე ეგრე. შევედი და მერხთან ისევ თავჩახრილი დავჯექი, მგონი, უკვე ჩვევად მექცა.

ეს კლასიკური მუსიკა კიდევ პირდაპირ ტვინში მირტყამს. არადა, წესით, ზარი უფრო არ უნდა გირტყამდეს? სად „ზრრრ-რრრრრ!!!“ და სად ეს რაღაც ცნობილი მუსიკა? ანუ ისევ უკუღმა მხრიდან ვუყურებ კი არა, ვუსმენ. ჯიმის ნასწავლი „მეტრიკა“ და მეორე მხრიდან შეხედვა მაგარი რამეა, ხმებზეც თუ გამოვა, არ ვიცი, უნდა ვცადო.

ამასობაში მუსიკა გამორთეს. გამორთულზე კიდევ უკვე რაღას შეატრიალებ?

კლასში ლამაზი ქალი შემოვიდა. ნიუსავით ლამაზი ვერა, მაგრამ მაინც. დიდი საყურეები და დიდი ბეჭედი უკეთია. შეიძლება იმიტომ, რომ ყურადღება ამის საყურეებზე და სამკაულებზე გადაიტანო და ვერ შეამჩნიო, რომ მთლად ნიუსავით ლამაზიც ვერაა.

— ახლო მოსწავლე, გამარჯობა, მე თანასწორობას გასწავლით. ბავშვებო, მოგესალმებით.

ვერ ვიტყვი, რომ როგორც თანასწორს, ისე მომესალმა, მგონი, ამისგან სხვა მასწავლებლებზე მეტად ვიგრძენი ქედმაღლობა, მაგრამ შეიძლება, ვცდები. ძალიან მინდა, ვცდებოდე. მგონი, არასდროს მდომებია, რომ ვცდებოდე. ახლა — მინდა.

— ახლო მოსწავლე... ლეო, ხომ?

— დიახ.

— ლეო, აბა, რას გასწავლიდნენ იმ სკოლაში ადამიანების თანასწორობის შესახებ? შეგიძლია, გავიზიარო?

— დიახ, რა თქმა უნდა, ახლავ.

მე თვითონვე გამიკვირდა, რომ არ დავიბენი. ამ საგანში საუკეთესო მოსწავლე ვიქნები, გადამწყვეტილია. ძალიან გადამწყვეტილი. სოფი, ნეტა აქ იჯდე, მხედავდე და მისმენდე.

— ყველა ადამიანი თანასწორია, მიუხედავად კანის ფერისა, რელიგიური მრწამსისა და სქესისა.

ისე გამოთქმით და თავდაჯერებულად

ვეუბასუხე, ლამის თვითონვე დავაყოლო — „ყოჩაღ, ლეო, ყოჩაღ, დაჯექი, უმაღლესი ქულა!“

მანამდე ცოტა ხმაური ხომ იყო, შრიალი, ჩურჩული, რაღაცები და ჩემი პასუხის მერე უცებ გაცივებისგან ყველა გაჩუმდა. ამით ეგონათ, რომ მხოლოდ რწყევა გამომდის კარგად, მარტო ეგ მეხერხება და სხვა არაფერი. ჯერ სად ხართ?!

— კი არ უნდა დავცინოთ, უბრალოდ, უნდა ავუხსნათ. მამ ასე, რა უნდა ვუთხრაო ისეთ ადამიანს, ვინც იმ ორ განსხვავებულ ქალზე ფიქრობს, რომ თანასწორები არიან?

— მას-მას-მას! — მგონი, ყველას ერთი სული აქვს, უპასუხო.

— აბა... ჯოი.

ეს ჯოი ყველა მასწავლებელს გამორჩეულად უყვარს და მე კიდევ ყველაზე მე-

მდიდარი და მდიდარი, უმუშევარი და უმუშევარი, ხეივარი და ხეივარი, ლამაზი და ლამაზი, უშნო და უშნო, წარმატებული და წარმატებული. გასაგებია?

არაფერი არ იყო გასაგები, მაგრამ რაღაცნაირად მოვდუნდი და ჩემს ძველ თავს დავუბრუნდი. ახალი ჩემი თავი ვერ შევინარჩუნე. თავი დავხარე და ჩემდა სამარცხვინოდ ვთქვი:



ნათია როსტიაშვილი

სხვა სკოლა

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

— მოდი, დავაკონკრეტოთ, — ჩამეძია მასწავლებელი, — წარმატებული და უიღბლოც თანასწორები არიან?

— დიახ, თანასწორები.

— ჯანმრთელი და ავადმყოფიც?

— დიახ, ადამიანი ადამიანია!

ყველა გასუსული მისმენს. ამ საგანში ამკარად კლასის ლიდერი ვარ. თითქოს სიმალეშიც კი მოვიმატე. როგორ უცებ შემოტრიალდა ყველაფერი, არადა გუშინ მეგონა, რომ ჩემი საქმე ნასულია, აქ ვერაფერში ვივარგებ.

მასწავლებელი ღიმილით მომიახლოვდა. წინასწარ ვგრძობ იმის ლამაზბეჭდებთან თითების გადასმას ჩემს დასავარცხნ თმაზე. მშვენიერი ქალია. მარტო მოსალმებით არ უნდა შეაფასო ადამიანი, ქედმაღალი და ეგეთი სისულელეები არ უნდა ეძახო, ლეო, ჩემო თავო.

— ბავშვებო, ყურადღება.

ყველას მოგვმართავს, მაგრამ ყურებით მარტო მე მიყურებს, შეიძლება ითქვას, თვალს ვერ მაცილებს. სოფი, შენ თუ ვერა, ნეტა ჯიმში მაინც იყო აქ და ხედავდეს, რა ამბები დავატრიალე.

— აბა, ყველაწ წარმოიდგინეთ, მსუქანი, უიღბლო, წარუმატებელი, მოუვლელი ქალი და ტანწერნეტა, ლამაზი, მოვლილი, წარმატებული ქალი.

მასწავლებელი ისევ მე მიყურებს, მაგრამ ახლა უკვე თითქოს რაღაც აღარ მომწონს ამის გამოხედვაში.

— წარმოიდგინეთ? ახლა კი წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ ეს ორი ქალი ერთმანეთის თანასწორია.

უცებ მითელმა კლასმა ისეთი ხარხარი ატეხა, კინაღამ გული გამისკდა.

— სიწყნარე. ასეთ დროს სიცილი მხოლოდ ადეკვატური რეაქციების გამონათობის მასწავლებელი თუ დაგინერტ უმაღლეს ქულას, თანასწორობის მასწავლებელი ასეთ რეაქციას ვერ მოგიწონებთ.

არადა, ამკარად, ძალიანაც მოეწონა ამათი სიცილი, მგონი, თვითონაც ერთი სული აქვს გადაიხარხაროს.

ტად მძულს, იმიტომ, რომ ყოველთვის რაღაც საშინელებას ამბობს.

— ასეთ ადამიანს სასწორი უნდა მივუტანოთ, მას. აწონოს ორივე და თუ ისევ იტყვის, რომ მათ შორის განსხვავებას ვერ ხედავს, შემდეგ გაკვეთილზეც მაგრად დავცინოთ.

— ჯოიიი!.. ვითომ შენიშვნასავით ეუბნება ამ განელებულ „ჯოიიიი!“-ს, მაგრამ ამკარად თვითონაც ვერ იკავებს სიცილს.

ჩემ გვერდით რომ პუტკუნა გოგო ზის, ზიზი, მაგას გავხედე, იმანაც შემომხედა და ერთმანეთი შეგვეცოდა.

— ბავშვებო, ჩვენ ხომ ღირსეული ადამიანები ვართ, ჩვენ არ დავცინით, ჩვენ მხოლოდ ვიცინით.

უკვე ყველანი ერთად იცინიან და მიკვირს, რომ არ მეტირება. თითქოს რაღაც მოხდა ჩემს შიგნით. არც მეტირება, არაფერი. თითქოს საერთოდ აღარც მაინტერესებს ესენი ჩემზე რას ფიქრობენ. თითქოს ესენი ჯიმისავით ნამდვილები არ არიან. ნეტა სულ ასე ვიყო. ასეთი ჩემი თავი უნდა შევინარჩუნო და ყველაფერი, ყველაფერი კარგად იქნება.

— ახლო მოსწავლე, მხოლოდ ის, რომ ადამიანები ვართ, საკმარისი რომ იყოს, მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა წარმატების მიღწევა? რეალიზება? თავის მოვლა? ჩვენ ყველანი უნდა ვცდილობდეთ, ახალ საფეხურზე ავიდეთ, უნდა ვისწრაფოდეთ იმისკენ, რომ უფრო და უფრო უკეთეს ადამიანებს გავუთანაბრდეთ და გავუთანასწორდეთ. გასაგებია?

არაფერი არ იყო გასაგები. ან იქნებ იყო, მაგრამ ამწუთას არაფრის გააზრება არ შემეძლო ამის გარდა: იმ ერთადერთ საგანშიც ჩავფლავდი, რაშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ კლასში ყველას ვაჯობებდი.

— ახლო მოსწავლე... ლეო, ხომ?

არაფერიც აღარ ვუპასუხე, ვითომ არ მესმის. უუჰ! ასეთი ჩემი თავი უნდა შევინარჩუნო!

— ლეო, დამახსოვრე: თანასწორია

— დიახ, გასაგებია.

ჩემს ოთახში რომ დავბრუნდი, ჯიმში ვერ არ იყო სკოლიდან მოსული და მარტომ უცებ ისე ცუდად ვიგრძენი თავი, თითქოს დედამიანიდან ამომსვეს და უცხოზღაბუნელების ქვეყანაში ჩამსვეს. არც ენა ვიცი იმათი, არაფერი. ყველას სამი თვალი და ოთხი ხელი აქვს და მარტო მე ვარ იმათ თვალში მახინჯი.

ჯიმში სალამოსკენ მოვიდა, ჯიმში ლეო ხომ არაა, არა? იმას აქ სხვა მეგობრებიც ჰყავს და ყველაფერი. ჩემ გამო რა ვალდებულა, გაკვეთილებიდან ეგრევე სახლში გამოიქცეს?

მაგრამ მაინც მენწყინა.

ნაწყენი ვიყავი და თავი მოვიმძინარე.

— გძინავს?... წერილი მოგივიდა დირექციიდან, მეილზე. ლეო!

მხარზე ხელი დამადო და ცოტა შემანჯღრია, მაგრამ მე ვითომ მეძინა, არ შევიმჩინე.

ადრე რომ დავნექი, ადრეც გამეღვიძა. ჯიმის ჯერ სძინავს. ლეპტობტი ჩემს საწოლთან რომ ტუმბოა, იქ დაუტოვებია. გულმა ცუდი მიგრძნო. წერილი გავხსენი:

„მოსწავლე ლეო, გატყობინებთ, რომ თქვენი მშობლები დაბარებული არიან დირექტორთან, უახლოეს დღეებში თქვენი ქცევის/ქცევების გამო. პატივისცემით, სკოლის ადმინისტრაცია.“

გულზე რაღაცამ მომიჭირა. საწოლზე დავჯექი და ვხედავ, ლეპტოპის გვერდით ჭიქა დგას, ჯიმის დედაჩემისთვის მოწყვეტილი ფოთოლი წყლიან ჭიქაში ჩაუდია. ვუყურებ ამ ჭიქას და ფოთოლს თვალმოუცილებლად. ვუყურებ და თითქოს ბენჯე მომიხსნო. თითქოს მაშინ, როცა აღარაფრის იმედი აღარაა და წყალს გადასაჩრხად მიყავხარ, უცებ ვიღაცამ ერთფოთლიანი ტოტი გამოგინოდა. ხელს კიდევ ამ ტოტს და თან იცი, რომ თავის შესამაგრებლად ძალიან სუსტია, თან იმასაც გრძნობ, რომ გიძლებს. ჯერჯერობით გიძლებს და არსადაც არ გადაიჩხებია...

გიორგი ბალახაშვილი

13 ივლისი. მატრო

და თუ ეს ოდნავ შეამსუბუქებს ყოფას, მე გეტყვი, უნინ მიყვარდი, ახლა კი მძულხარ, როგორც კავნი. ოთხი ამპულა — ნოვოკაინი — დევს მაგიდაზე, როგორც ვივალდის ოთხი სეზონი. კმევა გუნდრუკის — არა მაქვს წესად. მე ვარ მეზვერე და იშვიათად — ფარისეველიც, რაც მთავარია, არ ვარ პიტალო. გუშინ ვილოცე მამა ვიტალის საფლავზე ერთხანს, შემდეგ ნეველში შენ, ჩემო თავო, როგორც მოზვერი, ისე იდექი ჯვარცმის ფრესკასთან. სამყაროს ცოდვა გედო კისერზე. თან ეს სამყარო ფეხზე გეკიდა. გახსოვს, სანთელიც რომ ვერ იყიდე. უგზისფულობა მოიმიზეზე. ხოლო ფული კი, როგორც მეყასზე, სხეულს ვინ ჩივის, სულსაც ყიდულობს, სულს ვინ დაეძებს, რწმენასაც იძენს. ქუჩაში, იქვე, იყიდეა ფრი და ზიგ-მაკი. ცხოვრება არის უსასრულოდ მცირე მირაკლი. მაკდონალდსიდან რომ გაუყვე — ტაბიძის ხიდზე. ცარიელ ხიდზე. უხალხოო. უკირითხურო.

14 ივლისი. ქუჩა

მე შემოძლია, ყველა ლექსი ერთად დავხიო, მე შემოძლია, ყველა ლექსი მზესავით დავწვა, ახია-მეთქი, ყველაფერი, ჩემზე, ახია, მე შემოძლია, შენს ფეხებთან ძალღივით დავწვე. და შენს თვალეში ამოვიცნო ადამიანი და შენს ხელეში — დამალული ნაჭერი ძეხვის, შენ შეგიძლია, ავტობუსზე დაავიანო, შენ შეგიძლია, ჩაეხუტო ტოტდაჭრილ ვერცხებს. მე შემოძლია, ეგ თითები ძალღივით ვლოკო, მე შემოძლია, მოგიშვირო სახე და კეფა და შეგაშინო ლურჯთვალე პატარა გოგო, არადა, ამ დროს, სიყვარულით „მადლობას“ ვყეფდე.

15 ივლისი. პინა

ამ ბიჭში მრავალი მარიუსი ზის. მარცხენა ხელის დაჩხვლეტილ თითებს — ჯიბეში მალავს. სიყვარულს ითმენს. გარეთ ნოემბრის არიოზოა. ყვითელი ფერი და ფოთლების ხმა, ვით პურის ყუა — ძველი. ხრაშუნა. ცაცხვიდან — ცაცხვზე ქარის ტყლაშუნი. ცაცხვიდან — ცაცხვზე ქარის შერისხვა. ცაცხვიდან — ცაცხვზე ქარის „ოსური“. თეთროხოხოსანთა დგება რიგები. გვაქვს გვირგვინები და შერიგება. ოდნავ მსგავსი და მეტად უმსგავსო.

18 აგვისტო. პინა

ოთახი. სანოლი. ტორშერი. კომოდთან ხის ძველი ტუმბოა. უჯრაში ნაგანის ნითელი კაბურა. ფანჯრები დაბურე. დარწმუნდი, არ გიცქერს მეზობელთაგანი, რადგან თვითმკვლელობას უხდება კომფორტი. დალიე ვისკი და მონიე სიგარა. დატკბი ნათურასთან ქინქლების ფარფატი. გთხოვ, არ შეშინდე. ნახე გერშეინის „ცისფერი რაფსოდის“ შავი ფირფიტა, დადე და უსმინე და მერე მიქარე!..

რესტავრაცია

სალამი, სამყაროვ, სანამ შენ გეძინა, გუბეში ნასროლი კენჭივით დამკარგე, მახსოვს, რა კარგი იყო ფეხმძიმე დედის მუცელში ყოფნა, რა კარგი, დედა მღეროდა დილა-სალამოს, მამა მუცელზე დედას კოცნიდა ანუ ჩემს შუბლზე, მაშინ სამყარო ფეხზე მეკიდა, რადგან მყოფნიდა მამის კოცნა და დედის სიმღერა, მაგრამ სექტემბრის ბოლოსკენ ვიშვი, დედისგან დამყვა ყველა სიკეთე, მამისგან — წასვლის ბავშვური შიში, მაგრამ როდესაც მამა წავიდა, კოცნა და შიში ღმერთთან წაილო, ის მარტო იდგა, მახსოვს ვაგზლიდან — პლენხანოვამდე სამუსაიფოდ, ჩვენ დავდიოდით ყოველდღე ფეხით,

ხშირად ვსტუმრობდი დუმბადის მოზარდ მასწავლებელთა თეატრს და ვერხვებს, ქარი ხან შოპენს, ბიზეს და მოცარტს, აკვრევივინებდა ხანდახან ვაგნერს, მიყვარდა ქარში ბახის მიგნებაც, მე უშენობას წლებია, ვანგრევე, მაგრამ ვხვდები, რომ თავად ვინგრევი, ვხვდები, რომ ძვლებში მამტვრევს, მაციებს, აღარც ქარია. აღარც ხეები. ნეტავ შემეძლოს რესტავრაცია — ჩემივე თავის ან იმ დღეების...

კელნი-თბილისი

ივლისი. კელნი. კათედრა. ფოტოზე საოცრად ილიმი. მე ისევ დამეებს ვათეთრე. სიზმრებით და ღილინ-ღილინით. უწყინარ ამბორსაც გიგზავნი. აჩუქე ლოყას ან შავ თვალეებს. ძალა თუ ეყოფა, ნიავს რომ შენამდე იქროლოს, ჩათვალე, გატეხილ დამეთა ყულაბა, რომელსაც სიზმარი ვურწნიე და შენი ტურებიც — გულაბი მსხალივით მნიფე და უმწეო, ბავშვივით მომინდა, მოვკრიფო, ვიცი, რომ ჩამოვა კირხემდე — გიგზავნი კოცნას და აპოკრიფს, იკითხე. იკითხე. იკითხე. შენ — ჩემი სიზმრების ტურისტი. შენ — ჩემი სიზმრების თილისმა. კელნიდან ესტუმრე დუსიბურგს. მე გელი. მე გელი. თბილისი.

დედის ლოგინი

გამთენიისას დავბრუნდი სახლში, ნასვამი. არყის და სიგარეტის სუნად ვყარდი. დედას ჩემს ლოგინზე ეძინა. აღარ გავალვიძე. მის ლოგინთან მივედი და საბანი გადავხადე. თითქოს მეც დედის ლოგინში დავიძინე. აივანზე გავედი. ცოტა ხანი ვიჯექი და ვერც გავიგე, როგორ ჩამთვლიმა სკამზე. ცოტა ხანში გამეღვიძა. დედა უკვე ყავას ადულებდა. ლოგინის გასწორება ვერ გასწავლე — მითხრა და გამიღიმა. მეც გამეღიმა გულში. განა დედის სურნელი გაჯერებულ ლოგინს არყისა და სიგარეტის სუნით ნავბილწავდი...

აზია

შენ გააჩნია, რას უჯერებ — თვალსა თუ ყურებს, იქნებ მოგესმა და ვერ ნახე, ანდა — პირიქით. საოცარია — აგვისტოში სპარსეთის ყურე. საოცარია — სექტემბერში რუმის ლირიკა. შენ ეს პალმები გაყოლებენ მზერას, შრიალსაც. ნახე, ქოქოსი შენს ნახვავზე როგორ მწიფდება. საოცარია — ოქტომბერში მთელი შრი-ლანკა, მწვანე კუნძულის მენამული მარჯნის რიფები. შენ ეს აზია გადაწერე ფერად სიზმრებად, შენი ღამეა, დამიჯერე, ათასმეორე... შენ შეგიძლია, შეისწავლო თუნდაც სიქიზმი, შენ შეგიძლია, მიაწვდინო ხმა — მეტეორებს. საოცარია — აგვისტოში სპარსეთის ყურე. საოცარია — სექტემბერში რუმის ლირიკა. შენ გააჩნია, რას უჯერებ — თვალსა თუ ყურებს, იქნებ მოგესმა და ვერ ნახე, ანდა — პირიქით.

ახეილი

არაყიშვილის ასახვევთან ატელიეა. წლებია, აქ ვარ. უსახელო მეგარდერობე. რა ვქნათ, რომ ყოფა ავირჩიე მერკანტილური. ყოფას ვინ ჩივის. დამეებიც გატეხილია, როცა შვილისკენ ჩამწაცვლებს ქურთი ახმედი. ახმედი უკვე წლებია, რაც არის დარაჯი — ატელიესი. დამეების. ვამბობ გადაჭრით, ახმედი მხოლოდ დამეების თევით დაბერდა. წასვლამდე დავლევთ თითო ფინჯან ჩაის და ყავას. მე უძილობას ვემტერები. ის — ძილთან ბრძოლობს. მოვწევთ სიგარეტს, გავუღიმებ და ვეტყვი ბოლოს: გატეხე ძილი. მე სიზმრების იმედად წავალ...

ზორბა

მე ვაგვიანებ, ბატონებო, სხვები ჩქარობენ. ყველა მოჩქარეს ერთხელ უნდა მოუგვიანდეს. სანამ გვირილა დარჩენილა უგირლიანდოდ. სანამ გამშრალან თებერვალის სველი ქარები. არასდროს ვომობ, ბატონებო, სხვები იბრძვიან. მე შემოძლია, ჩემი ლუკმა ძალღივით გავიყო. მე საბურავი არასდროს მაქვს სათადარიგო. ფეხით დავდივარ. თავის მართვა დიდი სიბრძნეა. მანქანებს ვაზღვევ, თუმცა ბევრი მონმობას — მართვის ტყუილად იღებს, სულ ტყუილად, რადგანაც საქვს ვერ იმორჩილებს, შუქნიშანი ყვითელს რომ აჩენს, ასეთ დროს უნდა გამოიბა თვალეები — მართვის. ასეთ დროს უნდა გამოიბა თვალი — შევარდნის. ასეთ დროს უნდა გეშინოდეს ხალხში შევარდნის. ასეთ დროს უნდა გაგიმართლოს და იყო ზორბა. მე ვაგვიანებ, ბატონებო, სხვები ჩქარობენ. ყველა მოჩქარეს ერთხელ უნდა მოუგვიანდეს.

ქვიშა

სალამი, ზღვებო. მე სილა ვარ. სილა მშვიდობისა, არხებო. ათასი ტალღა მეცილება. ათასი კენჭი დავმარხე. წყალნი წავლენო და წამოვლიან. წყალნი. მე ისევ დავრჩები. ჩემი კოშკებია — აგონია. ჩემში ეფლობიან ბავშვები. ჩემით იცლებიან საათები. ჩემით საათები ივსებიან. ნისლმა დაიჩემა აზღვავება. ზღვაზე უცნაური ნისლებია. ჩემზე ერთი ნუთით ნუ იჯავრებ. თითით მომანერე სახელები. მოდი — უნილბოდ და უნიჩაბოდ. ზღვებმა დაივიწყონ გახელება. განა ეს ტალღები მომერევა, განა მომერევა ეს ტალღები? ვიშვი უხსოვარი მორევიდან. სხვებსაც მორევისკენ ვეტანები. ქარმა გადადენოს ეს ღრუბლები. ვდარდობ. უცაბედად გამიწვიმდეს. ახლა, ისე მიჭირს შეგუება, რომ ვარ ჩამოშლილი ლაბირინთი. სალამი, ზღვებო. მე სილა ვარ. სილა მშვიდობისა, არხებო. ათასი ტალღა მეცილება. ათასი კენჭი დავმარხე.


DANCE ME

დღეს ერთ მეგობარს ჩავუარე, როგორც ბავშვობას, ოდესღაც ასე ვთამაშობდი დამალობანას და იმ დღეების ხსოვნაშივე ჩამოსახრობად, არ მივესალმე. მეგობარიც არ მომესალმა. მე შევისწორე ვარცხნილობა და მზის სათვალე, გუშინ დელისზე შევიძინე შავი კარტიე... შემძულდა ჩვენი ბავშვობა და ფუჭად ჩავთვალე, ფრედ მორჩენილი, საჭადრაკო ყველა პარტიია. მსაყვედურობენ მეგობრები, წლებია, მესმის... კაცს არასოდეს მოკითხავო კარგსა და ავსო... ყურსასმენებში წაიშლერებს კონი — Dance me to the end... და სიჩუმეს დროულად ავსებს.

სანამ

სანამ ბოლომდე გადავიწვი, როგორც უწყლოო ჰიდროსტატი, როგორც უცეცხლო ჰეროსტრატე, მინდა, მკლავებზე გადამიწვე, როგორც ქმნილება — დიდოსტატის. სანამ დამეები აივსება მუნჯი სიზმრებით და უტიტრებოდ, იქნებ, გავიხსენოთ უტიფრობა, უენძელებო და უტიტებო, უცისფერო და ალისფერი. სანამ წყალს მოგიტან უდაბნომდე, სანამ რიგებია ქარავანთა, ტიტი — კაკასთან და ფარავანთან, სადაც ფრთები არის ფარავანთა, შელახული და უდაფნო. სანამ სიკვდილთან პაემანზე პატარძალივით ვავიანებ, შენახული და ნაღვლიანი, მინდა, სიცოცხლე ვაღიარო ტატიტეზე და კაიმანთან. სანამ ბოლომდე გადავიწვი. მინდა, მკლავებზე გადამიწვე.





ხათუნა როგავა

ჩავეჯექი სავარძელში
და გადამავეინყდა ყველაფერი, რაც მანუხებდა.
ჩავეჯექი სავარძელში და მივხვდი,
რომ სიღარიბედ დაფერთხილი მხუთავი მტვერი
შვენოდა კიდეც სივრცეს.
შვენოდა მასას — დაკობილსა და დამშუულს.
ყველა ანფასი პროფილს ჰგავდა,
ხანაც — პირიქით
და უფორმობას რექვიემად სდიოდა ზინთი.
ჩემი სავარძელი კი ბზინავდა
და მისგან ასხლეტილი სხივების ციმციმი
ზღაპრულ სამყაროში მიწევდა გილობას.
ბზინავდა ჩემი სავარძელი და ვხვდებოდი, რომ ყველას,
ყველაფერს ჩემ გარშემო უნდა ებუქნა.
ეფორთხა.
ეპირფერა.
რბილი იყო ჩემი სავარძელი.
თბილი იყო ჩემი სავარძელი.
თვლემისმომგვრელი იყო ჩემი სავარძელი
და ყველა სიმყიფე,
სიცივე,
უძილობა, რაც კი მტანჯავდა და მხრავდა დღემდე,
სავარძლის მადლმა ჩამომაცილა.

განჯინაში ქილით მიდგას
დედის მიერ მოდულებული მანდარინის მურაბა.
შემოდგომის მერე ხელუხლებლად თვლემს
როდინის გვერდით.
შევანჯღრე ხოლმე, შიგადაშიგ —
ხომ არ ამჟავდა, ან პირიქით,
დაშაქრება ხომ არ დაიწყო.
მეთილისმება.
ბავშვობას და დედას მახსენებს.
აქვე მყავს თითქოს.
წარმოვიდგენ, ძალადაკარგული მარჯვენით,
მეორე, სალი ხელის მიშველიებით,
როგორ რეცხავს ოქროსფერ „ბურთებს“,
როგორც იცოდა —
სათითაოდ,
გადაქერცვლამდე,
როგორ აწყობს მომინანქრებულ დიდრონ ჯამში,
აყრის „პესოკს“ და
წერილი ჭავლით წყალსაც მიუშვებს
(აკი, ზედმეტი მოუვიდა).
ყვითელ სიბლანტეს ნებოვანი დარდი ამძიმებს.
მანდარინები არასტანდარტულ ფიგურებს ჰგვანან,
სკოლის ბიოლოგიის ლაბორატორიაში
სპირტში შენახულ (თუ არ ვცდები) ზვიგენის ქვირითს.
მახსოვს, მიკვირდა ბავშვობაში —
რად გამოფატრეს,
რას ერჩოდნენ,
რატომ დაშალეს ნაწილ-ნაწილ,
რად შეინახეს...
ზამთრის დღეებში,
პირბადიან,
ცანაბდიან ყომრალ დღეებში
მზეებით ლუოდნენ ქილას
შეხიზნული ციტრუსები.
მათობდნენ თითქოს.
თან სუნთქვაში მავარჯიშებდნენ.
ყველაზე მეტად რომ მჭირდებოდა,
სწორედ მაშინ,
ვირუსსახდენილს.
დედის ტელეფონს მერამდენედ დაელო ტაბუ.
წყვეტილ-წყვეტილი სიგნალები
ხვევენ დღეებს და
ღამეების ფსევდო სიმშვიდეს.

დღეს კიდეც ერთხელ შევამონმე
სიროფის სისქე და ელდა მეცა —
პლასტმასის ხუფქვეშ განოლილმა
რუსმა ხავერდმა შემომცინა
და შემამცინა.
გულმონურულმა ვიმეორე უნით,
ცრემლებით,
ბრაზით,
ათასგზის,
რომ არ შეეძლო და მაინც სცადა.
ბოლო გრამ შაქარს შეელია,
გაზის ქვითარსაც არ დახედა,
სახელდახელოდ შეფუთა და
გამომიგზავნა ცრემლზე მლაშე,
დარდზე მძიმე,
ნალველივით მწარე ჩაროზი —
მანდარინებად მოტივტივე,
ლიმჩაკლული დღე-ღამეები,
თვალისჩინივით რომ ვუვლიდი
და სხვისთვის არ მემეტებოდა.
ჭიამაია მოაწყდა სარკემელს.
შემოვუშვი.
ხელისგულზე მოვასვენე
და როცა ფრთები ფრთხილად დაკეცა,
ჩუმად,
ჩურჩულით გაუშვილიე, რომ
მეც მასავით დავეძებ დედას.
ვთხოვე, წამომყვეს და
მაპოვნინოს.
წამომყვეს მხოლოდ და მაპოვნინოს.
ამ ერთხელ სცადოს და მაპოვნინოს...
თუ არ დამთანხმდა,
რა თავში ვიხლი მის ნაკარნახევ
ფერად ამინდებს?!

რალას წაგართმევს წყალი ისეთს,
რაც არ გაჩუქა?!
სცადე, დარწმუნდე,
დასაბამიდან დაუყვიე კაცობრიობის მატინანეს,
როგორც ყველაზე წყალმარჩ სივრცეს
მლაშე ცხოვრების ოკეანისას,
რომ არაფერი გამოგეპაროს:
არც სიცოცხლეთა წამიერი გაელვებები,
არც მიღმიერი ოაზისები —
სულთა ტბებით თუ საზვერეთა ყრუ კბოდეებით.
არც არაფერი,
რაც ეული სიტყვით შეიქმნა.
მაგრამ გაფრთხილდი,
მეტისმეტსაც ნუ მოინდომებ,
ვაითუ დალილ-დაბნეულმა თავიც დაკარგო,
სათქმელიცა და დუმილის სიბრძნეც...
ფიქრი კი ასე სჯობს, დაიწყო:
სული, წყლის თავზე მოფარფატე,
ხორცად შეიკრა,
ჩასახვამდე რომ სცნო უფალმა
ხატად და მსგავსად.
იშვა წყლიდან და
იგნო წყლითავე...
წყალსვე ანდობდა სიზმარეთის არგასამხელელს.
ბევრჯერ სისხლსაც კი იწყალებდა
პეშვასავსე,
გულ და უბესავსე —
თვალთა ციმციმა სადაფებიდან
აისბერგებად გამოჩრილი უსასოობით.
წყლით იოკებდა ყველა წყურვილს,
ყველა იარას მისით რეცხდა გათეთრებამდე
და სიყვარულსაც ნაწყალობე წყურვილად თვლიდა.
შენ კი, მდინარეს დაუზავდი
და მოინდომე,

საკუთარ თავზე გამოგეცადა
შიშველილი სიზმრის გმირის
უცნობი ბედი.
წყალს გაუშვილე ტკივილის და
დარდის მიზეზი,
ისიც, რომ უკვე ჩაგესმოდა
გაღმა ნაპირზე მყოფ აჩრდილთა
ხმით ნატირალი.
მეყვარებო უსასრულოდ, —
ტალღამ ტალღასვე უკარნახა შენი ფიქრიდან
და დიდი ცრემლის ყრუ მორევში
დაისადგურა.
ნასულს თვალი ვერ მიანვდინე
და დაიძინე —
იქნებ ხილვიდან აყოლილი ავი ჟრჟოლა
ნაელო ზვირთს და
შენც გშველებოდა.
იმან კი წაწლად მიგიჩნია და შეგიტყუა.
რატომ იჩქარე...

ყვითელი შიში

მე ვცხოვრობ კაცთან,
რომელსაც მხოლოდ ტანჯული და
დეპრესიული ვუყვარვარ.
არც მალავს ამას
და არცერთ შესაძლო მომენტს არ უშვებს ხელიდან,
ეს სიამოვნება გაიხანგრძლივოს.
გუშინ დღე მქონდა ბრონეულის გახლეჩვის მსგავსი.
ჰარაკირს ჰგავდა.
გამოფატრულ სულს შიგნიდან სცვიოდა ვერცხლი
და ვერ ვკვდებოდი.
ის კი ომიდან უჭრილობოდ გამოსული
მეომრის მზერით,
ქედმაღალი და კმაყოფილი
იჯდა ბალის ყვითელ სკამზე და
ყვითელი ფინჯნით ჩაის ხვრეპის
რიტუალში გადაშვებული
ბედნიერებით ივსებოდა,
დარწმუნებული იმაში, რომ
კიდეც ერთ ხიფათს აარიდა სწული ეგო —
თავზე იოლად ცურავდა ხელი
ყველა შესაძლო მიმართულებით.

თქვენ გრძნობთ სიხარულს?
ფერებს არჩევთ?
ხმებს? სურნელს? ავს? კარგს?
შიშს დაუზავდით, თუ ამ დრომდე
ცას თავზე გამხობთ?
თქვენს პალიტრაზეც ყველა ფერი უკვალოდ გაქრა?
ვინმე თუ შეგრჩათ თანამგრძნობად,
ან შორიასლო
გაისმის რამე საიმედო? მეც ასე ვგონებ,
სადაც ბელტებქვეშ გასუსულებს ძილმაც გვიყვლა
და წელიწადის ანჯამებზე — ჟანგიც და ქონიც
თანაბრად პოხავს გაუმხელელ ხალხურ სიხელეს.
უდელობა თუ გზაფრავთ ჩემებრ?
ბნელი ქვაბულის
რომელ ბინადარს გაუხელეთ სისხლში კაენი?
ხომ მოითმინეთ ამ ყავლგასულ, ბრმა გაზაფხულზე
ცხედრების მზეზე გამოფენა —
ჩვენის და
თქვენის?
საზღვარი არ ჩანს.
ომია და მტრის ურდოც არ ჩანს.
ცელიანი კი
ძვლებით სავსეს,
უზარმაზარს მოათრევს ჩამჩას.

მრთხანს დარწმუნებული არ იყო, მისი ქმარი იყო თუ არა მისი ქმარი, როგორც ძილ-ბურანში არ იცის ადამიანმა, ფიქრობს თუ ესიზმრება, კვლავ მიუძღვის ფიქრების ნაკადს თუ დალილს სიზმარ-ცხადი აერია. ხან სჯეროდა, რომ — კი, ხან — არა, ხანაც გადანყევდა, არაფერი დაეჯერებინა და ცხოვრება გაეგრძელებინა მასთან ან იმ კაცთან ერთად, რომელიც ძალიან ჰგავდა მის ქმარს, მაგრამ მასზე უფროსი იყო. ამასობაში თვითონაც გაიზარდა მის არყოფნაში — ძალიან ახალგაზრდა იყო, ცოლად რომ გაჰყვა.

ეს საუკეთესო დროება იყო, ყველაზე ნყნარი, სასიამოვნო და შვებისმომგვრელი, მაგრამ დიდხანს არასოდეს გრძელდებოდა, უბრალო ამბავი არ არის ამგვარი საკითხის, ამგვარი ეჭვის უგულბელყოფა. შეეძლო, კვირების განმავლობაში ყველაფერი გვერდზე გადაედო და ანგარიშიუცემლად მიჰყოლოდა ყოველდღიურობას დედამიწის მკვიდრთა უმრავლესობის მსგავსად, რომლებიც მარტოდენ უცქერენ, როგორ ისახება ახალი დღე ცის კაბადონზე, ინრიტება და ქრება. ასეთ დროს ადამიანებს ჰგონიათ, რომ არსებობს დასასრული, პაუზა, გამყოფი თუ მიჯნა, რომელიც სამანს დებს ძილში, მაგრამ სინამდვილეში არ არსებობს; დრო კვლავ მიედინება და ნაკვალევს ტოვებს არა მხოლოდ ჩვენს სხეულზე, არამედ ცნობიერებაზეც; დრო არად აგდებს, ღრმა ძილით გვიძინავს თუ ფხიზლად ვართ, ძილგამკრთალები და-ვბორობალებით თუ თვალბეზრებით ახალწვეული ღამის გუშავივით, რომლის ყარაულობასაც — არავინ იცის, რატომ — „წარმოსახვით“ უწოდებენ, იქნებ, იმიტომ, რომ ისე გამოჩნდეს, თითქოს არც ყოფილა ღამის მთვეელი, როცა სამყაროს ეძინა (თუკი თავი ფხიზლად ეჭირა და არ დაატყვევს ან ომიანობაში ტყვია არ დაახალეს). ერთი უნებური ჩათვლემაც საკმარისია, რომ მისი მიზეზით ვინმე სიკვდილს გადაეყაროს. რამდენი ხიფათია ყოველ ნაბიჯზე.

მაშინ, როცა სჯეროდა, რომ მისი ქმარი ნამდვილად მისი იყო, სულის სიმშვიდეს მაინც ვერ პოულობდა, დიდად არც ლოგინიდან წამოდგომა და ახალი დღის დაწყება ახალისებდა, განვლილი ხანგრძლივი ლოდინის ტყვეობაში იმყოფებოდა. ლოდინს შეჩვეული ადამიანი ვერასოდეს ეგუება მის საბოლოო დასასრულს, თითქოს ჰყერი არ ჰყოფნის. როცა ფიქრობდა, რომ მისი ქმარი მისი არ იყო, ღამეს შფოთსა და სინდისის ქენჯნაში ატარებდა, გაღვიძება აღარ უნდოდა, თვალს რომ არ გაესწორებინა საყვარელი ადამიანის მიმართ აღძრული ეჭვებისა და იმ საყვედურებისთვის, რომლებითაც თავს იტანჯავდა. საკუთარი თავი სძულდა ამ სიჯიუტის გამო. სამაგიეროდ, იმ პერიოდებში, როცა გადანყევდა არაფერი დაეჯერებინა, ფარული ეჭვი თუ ბუნდოვანი იმედი ასულდგმულბოდა, რომ, ადრე თუ გვიან, ის დაუბრუნდებოდა. აღმოჩნდა, რომ აბსოლუტურ გარკვეულობაში ცხოვრება მოსაბეზრებელია, რადგან ადამიანი მხოლოდ ერთი არსებობისთვის არის განწირული, ანუ ერთი და იგივეა რეალური და წარმოსახვითი სამყარო, ამ უკანასკნელს კი ყოველთვის ვერავინ გაექცევა. თავის მხრივ, მუდმივი ეჭვი შეუწყნარებელია, რადგან დაძლიებული ნიადაგ საკუთარ თავსა და სხვებზე დაკვირვება, განსაკუთრებით, ყველაზე ახლობელ ადამიანზე და შედარება მოგონებებთან, რომლებიც სანდო არასოდეს არის. ვერავინ ხედავს მკაცრი, რაც მის თვალში არაა, თუნდაც ახალმომხდარი იყოს და ჯერაც გრძობდეს ოთახში სურნელებას ან მწუხარებას კაცისა, რომელსაც ახლახან დაემშვიდობე. საკმარისია, ადამიანი კარიდან გავიდეს, რომ მისი სახე განქარდეს; საკმარისია, აღარ შესცქეროდეს და მკაფიოდ ვეღარ დაინახოს ან საერთოდ ვერ დაინახოს; იგივე ითქმის ხმაზე და აღარაფერს ვამბობ შეხებაზე. როგორ შეიძლება, ვინმემ ზუსტად და თანმიმდევრობით გაიხსენოს დიდი ხნის წინ მომხდარი ამბავი? როგორ აღიდგინოს შეუბღალავად წარმოსახვაში ქმარი, რომელიც თხუთმეტი თუ ოცი წლის წინ ლოგინში უწებობდა, როცა კარგა ხნის ჩაძინებული იყო და მძინარეს ეუფლებოდა? ესეც მკრთალდება და ჯარისკაცის წარმოსახვასავით იმღვრება. იქნებ, სწორედ ეს გამჭრქალდება ყველაზე სწრაფად.

ყოველთვის გულჯავრიანი არ ყოფილა მისი ქმარი, ერთდროულად ესპანელი და



ინგლისელიც, რომელსაც ტომი თუ ტომას ნევისონი ერქვა. არც იმ ყოვლისმომცველ ბრახსა თუ ღრმა ნაღველს ასხივებდა, რომელსაც ახლა მთელ სახლში დაატარებდა. თითქოს ემანაციათა დაჰყვებოდა თან სასტუმრო ოთახში, საძინებელსა და სამზარეულოში და სახედროდ შეყრილი ღრუბლებით იშვიათად განერიდებოდა. ეს უბიძგებდა, სიტყვაძუნნი ყოფილიყო და იშვიათად ებასუბა კითხვებზე, ცხადია, საჩოთირო და, ასევე, უცნებელ კითხვებზე. პირველზე ამბობდა, საიდუმლოს გამხელის უფლება არა მაქვსო და იქვე შეახსენებდა ცოლს, ბერტა ისლას, არც არასოდეს მექნება, ათწლეულებიც რომ გავიდეს და სიკვდილის პირზე ვიყო. ვერასოდეს შეძლებდა, ეთქვა, სად დადიოდა, რას საქმიანობდა ან რა მისიას ასრულებდა, როგორი იყო მისი ცხოვრება ბერტას გარეშე. ბერტა პასუხს უნდა დასჯერებოდა და სჯერდებოდა კიდევ: მის ქმარს ჰქონდა სივრცე თუ განზომილება, რომელიც მუდამ მისი თვალსაწიერისა და სმენის მიღმა, ბნელში რჩებოდა — უარყოფილი ამბავი, მონკურული თვალბეზრები, ახლომხედველი მზე-რა ან უფრო ზუსტად, სიბრძნე. ქალს შეეძლო, მხოლოდ ევარაუდა ან წარმოედგინა.

— გარდა ამისა, სჯობს, არ იცოდეს, — უთხრა ქმარმა ერთხელ. სავალდებულო გულჩათხრობილობა ხელს არ უშლიდა, ხანდახან ხანგრძლივად და აბსტრაქტულად ესაუბრა — ადგილებზე და პიროვნებების დასახელებების გარეშე — ხშირად ეს ძალიან არასასიამოვნო, სამწუხარო ამბები, რომლებიც უბედური დასასრული-სთვისაა განწირული ხან ერთისთვის და ხანაც მეორისთვის. ზოგჯერ რაღაც სახალისოც შეიძლება შეგმთხვევს, მაგრამ თითქმის ყოველთვის საზიზღარი და დამთრგუნველია. სინდისი ხშირად მექენჯნის, მაგრამ, საბედნიეროდ, სწრაფად გამდის, გარდამავალი მოვლენაა. ჩადენილ ქმედებას მალე ვივიწყებ, განსახიერებულ ეპიზოდებს ერთი სიკეთე ახლავს: თითქოს მენ არ გეხება, მსახიობივით ხარ. ფილმში ან თეატრში შესრულებული როლის შემდეგ მსახიობი თავის ქმეშარტს მეობას უბრუნდება და შესრულებულ როლს ივიწყებს. დროთა განმავლობაში მხოლოდ ბუნდოვანი მოგონება რჩება, როგორც სიზმარი ან დაუჯერებელი ამბავი, მუდამ სათუთო, საორჭოფო და თითქმის ყოველთვის — პირო-

ვნულად მიუღებელი, ადამიანი საკუთარ თავს არწმუნებს: „არა, მე ასე ვერ მოვიქცეოდი, მეხსიერება მალაატობს, ის სხვა პიროვნება იყო, ეს შეცდომაა“. მთავრეულივით მოქმედებ, საკუთარ ქცევასა და ნაბიჯებს ანგარიშს ვერ უწევ.

ბერტა ისლამ იცოდა, რომ, გარკვეულწინადად, უცნობ ადამიანთან ცხოვრობდა. ადამიანს, რომელსაც აკრძალული აქვს, გაამხილოს, თუ როგორ ცხოვრობს თვეების განმავლობაში, ბოლოს და ბოლოს, უჩნდება განცდა, რომ შეუძლია, საერთოდ არაფერი თქვას. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ტომი ბერტას მთელი ცხოვრება იყო — ჰაერით საჭირო და აუცილებელი. ადამიანი ხომ ჰაერს არასოდეს აკვირდება.

ერთმანეთს ღამის ბავშვობიდან იცნობდნენ, მაშინ ტომას ნევისონი ხალისიანი, თავკარიანი და უღრუბლო ახალგაზრდა იყო. სოროლიას მუზეუმთან ახლოს, მარტინეს კამპოს ქუჩაზე მდებარე ბრიტანულ ინსტიტუტს, რომელშიც ტომი თავიდანვე სწავლობდა, ყმანვილები ცამეტი-თოთხმეტი წლის ასაკში ამთავრებდნენ. იმ ეპოქაში სწავლის ამ ეტაპს მეოთხე ბაკალავრიატს უწოდებდნენ. მეხუთე, მეექვსე და წინასაუნივერსიტეტო კურსი სხვა სასწავლებელში უნდა გაეგრძელებინათ. ბევრნი ბერტას კოლეჯში, ესტუდიოში, აგრძელებდნენ სწავლას, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ შეეუფლი და ლაიცისტური სასწავლებელი იყო, რაც ფრანკოს ეპოქის ესპანეთში აკრძალული იყო და, ამასთანავე, სხვა უბანში წასვლა არ უწევდათ. ესტუდიო ახლოს, მიგელ ანხელესის ქუჩაზე, მდებარეობდა.

სასწავლებელში ახალმოსული მოსწავლე განსაკუთრებით შეუხედავი ან ულაზართო თუ არ იყო, დიდი წარმატებით სარგებლობდა სანინალმდეგო სქესის წარმომადგენლებში სწორედ თავისი „სიახლის“ გამო და ბერტასაც ძალიან მალე, პრიმიტიულად და ბრმად შეუყვარდა ახალგაზრდა ნევისონი. ეს სიყვარული, დიდწილად, პრიმიტიული და უსაფუძვლო, ესთეტიკური და ამპარტანული გადანყვეტილების ნაყოფი გახლდათ (მავანი გარშემო მიმოიხედავს და საკუთარ თავს ეტყვის: ამას ვუხედავ). ჩვეულებრივ, ასეთი სიყვარული მონინებით, დახრილი მზერით, ღმილითა და ზედაპირული საუბრებით იწყება, ვნე-

ბას საგულდაგულოდ მალავს და, ამის მიუხედავად, მაშინვე ფესვს იდგამს და სიცოცხლის ბოლო წუთამდე მტკიცეა. ცხადია, ეს ვნებაც თეორიულია და სრულებით არ ექვემდებარება განსჯას, რომანებიდან და ფილმებიდან არის ნასწავლი, წარმოსახული პროექცია და მასში ესთეტიკური ხატები ჭარბობს: ქალი თავს რჩეული ვაჟის ცოლად წარმოიდგენს, ვაჟი კი — ქალის ქმრად, როგორც ნახატში, რომელშიც არც განვითარება, არც ცვლილება და ისტორია. მათი შორსმჭვრეტელობა იქ სრულდება, არც ერთს შესწევს უნარი, შორს გაიხედოს და საკუთარი თავი წარმოიდგინოს სხვა ასაკში, შორეულ დროში, რომელიც მათ არ ეკუთვნით და მიუწვდომელი ეჩვენებათ; მხოლოდ მწვერვალზე შეუძლიათ საკუთარი თავის ხილვა, იმის იქით ბუნდოვანება და დასასრული; შესაძლოა, ამ მიზანს მხოლოდ ყველაზე ჯიუტები და გამჭრიახები აღწევენ. იმ დროს ჯერ კიდევ მოდური იყო, რომ გათხოვილ ქალებს საკუთარი გვარისათვის მეუღლის გვარი დაემატებინათ, ბერტას თავისი მომავალი გვარის ვიზუალური და აკუსტიკური მხარეც ხილავდა: ერთი და იგივე არ იყო ბერტა ისლა-ნევისონი, რაც თავგადასავალსა და ეგზოტიკურ ნყვილზე მიანიშნებდა (ერთ მშვენიერ დღეს სავიზიტო ბარათიც ექნებოდა, რომელზეც გვარს სწორედ ასე დაწერდა და კიდევ რას, ამას მერე მოიფიქრებდა) და ბერტა ისლა-სუარესი — იმ ახალგაზრდა ყმანვილის გვარი ახსენდებოდა, რომელიც ტომის კოლეჯში გამოჩენამდე მოსწონდა.

ბერტა ერთადერთი გოგონა არ ყოფილა კლასში, ვინც ტომ ნევისონს მგზნებარედ და ჯიქურად დაადგა თვალი და პრეტენზია გაუჩნდა. სინამდვილეში, ტომის მოსვლამ კოლეჯის მიკროკოსმოსში დიდი შოთი მოიტანა, რომელიც ორი ტრიმესტრი გაგრძელდა, სანამ მას თვალსაჩინო პატრონი არ გამოუჩნდა. ტომას ნევისონი საკმაოდ კარგი შესახედავი გახლდათ, სხვებზე ოდნავ ტანმაღალი, ოქროსფერი თმა ძველმოდურად გადაეარცხნა უკან (ორმოციანი წლების მფრინავსა თუ მატარებლის მემანქანეს ჰგავდა, როცა თმას მოკლედ შეიკრეჭდა; ხანაც — მუსიკოსს, თუ თმას ოდნავ მოიზრდიდა, გაბატონებული ტენდენციის სანინალმდეგოდ; ზოგჯერ მეორეხარისხოვანი როლებში შემსრულებელ მსახიობ დენ დიუარისაც მოგაგონებდა ან მთავარი როლების შემსრულებელ ჟერარ ფილიპსს, როდესაც მისი თმის სიგრძე მაქსიმუმს აღწევდა — ეს მათთვის, ვისაც ვიზუალური ცნობისმოყვარეობა ან მესხიერება აქვს). ტომ ნევისონი იმ ადამიანის შეუვალობას ასხივებდა, ვინც მოდასა და, შესაბამისად, ცვლილებებს არ ემორჩილება, რასაც თხუთმეტი წლის ასაკში ვერავინ გაურბის. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს საკუთარ ეპოქაზე არ იყო მიჯაჭვული, ან თავზე გადაუფრინა და მნიშვნელობა არ მიუნიჭებია იმ საბედისწერო გარემოებისთვის, რომელიც მუდამ ის დღე ან თუნდაც ის საუკუნე გახლავთ, როცა ადამიანი იბადება. დახვეწილი სახის ნაკვეთების მიუხედავად, ვერ იტყობი, ახალგაზრდული მშვენიერების ნიშნულია, ღაზათი თუ მარტილი აკლდა, რაც ათწლეულების შემდეგ შეიძინა. ხორციანი და კარვად გამოყვანილი ტუჩები ჰქონდა (რაც თითის გადასმის სურვილს უფრო აღძრავდა, ვიდრე კოცნისას). თვალის ფერი ამინდის მიხედვით ეცვლებოდა, მონმენდლოზე მქრქალი ნაცრისფერი უხებობდა, მოახლოებულ ჭექა-ქუხილზე თითქოს სიბლანტეს იმედდა და მღვრიედ უელავდა; მისი გამჭოლი, დაუდგარი და ფართო თვალბეზრები არასოდეს ისვენებდა და კონტრასტს ქმნიდა პატრონის უშფოთველობასთან. ამ თვალბეზრებიდან რაღაც ანომალია გამოსჭვოდა ან მომავალ ანომალიას იუწყებოდა, რომელიც ჯერ ჩასაფრებული იყო და უთვალთვალბოდა, თითქოს მისი გამოღვიძების დრო არ დამდგარიყო, უნდა დაღვინებულიყო ან გამოჩვეულიყო, რომ სრული ძალმოსილება მოეკრიბა. ცხვირი — არაფერი გამოჩვეული, განიერი და თითქოს დაუსრულებელი, გამოკვეთილი ნვერის გარეშე; ნიკაპი — მკაცრი, კვადრატული, ოდნავ გამოწეული და მტკიცე. ყველაფერი ერთად მიმზიდველობას თუ მომზიდველობას სძენდა, მაგრამ გარეგნობაზე მნიშვნელოვანი მისი ირონიული და მჩატიე ხასიათი იყო, მსუფუქად და უდარდელად ხუმრობა ყველაფერზე, რაც

ირგვლივ ხდებოდა და ქარაფშუტა თავში მოუვლიდა, რაც ადვილი მისახვედრი არ იყო არათუ ახლობლებისათვის, არამედ თავად მისთვისაც. ნევისონი თვითდაკვირვებას გაუბრუნდა, საკუთარ თავსა და შეხედულებებზე იშვიათად საუბრობდა, თითქოს ეს საქმე ბავშვურ თამაშად და დროის ფლანგვად მიაჩნდა. არ ჰგავდა იმ მოზარდს, საკუთარ თავს რომ აღმოაჩენს და აკვირდება, ჩხრეკს, ამოხსნას ცდილობს და ერთი სული აქვს, გაერკვეს, ინდივიდების რომელ კლასს მიეკუთვნება; იმას კი ვერ ხვდება, რომ ამოდ ირჯება, რადგან პიროვნულად სრულად არ ჩამოყალიბებულია და ამას მანამდე ვერ მიხვდება — რომც მიხვდეს, ეს მოცემულობა მუდმივად ცვალებადი და უკუგდებელია — ვიდრე მძიმე გადაწყვეტილებებს არ მიიღებს, არ იმოქმედებს და, როცა ეს ხდება, გამოსწორება და სხვა ადამიანად გარდაქმნა დაგვიანებულია. ნებისმიერ შემთხვევაში, ტომას ნევისონს დიდად არ აინტერესებდა, ვინმეს გაეცნო ან თავად გაეცნო საკუთარი თავი, ან მეორე პროცესი უკვე გავლილი ჰქონდა და პირველ ნარცისულად უდგებოდა. იქნებ, მისი ნახევრად ინგლისური ნარმოშობა იყო ამის მიზეზი, მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო — ბოლომდე არავინ იცოდა, როგორი იყო სინამდვილეში. მოჩვენებითი გულგანთობის, მეგობრული ხასიათის, კეთილგანწყობის საფარველქვეშ ბუნდოვანება და თავდაჭერა იმალებოდა. ყველაზე დიდი ბუნდოვანება კი ის იყო, რომ სხვები ამას ვერ აცნობიერებდნენ, მხოლოდ ოდნავ შეიგრძნობდნენ ამ გაუმტარ შრეს.

ტომ ნევისონი ორენოვანი იყო, ინგლისურად მამასავით საუბრობდა და ესპანურად — დედასავით. იმ ასაკიდან, სანამ ენას აიდგამდა, ძირითადად მადრიდში ცხოვრობდა, რასაც არაფერი დაუკლია მისი ინგლისური ენამწვერობისათვის: ბავშვობიდან ინგლისურად აღზარდეს, სახლში მთავარი ენა იყო და, რაც თავი ახსოვდა, ყოველ ზაფხულს ინგლისში ატარებდა. ამას ემატებოდა მესამე და მეოთხე ენების შესწავლის საკვირველი უნარი და სხვათა საუბრის, დიქციისა თუ კილოს იმიტაციის განსაცვიფრებელი ნიჭი. საკმარისი იყო, ერთხელ დაეგდო ყური ვინმესთვის და მეცადინეობისა და ძალისხმევის გარეშე სრულყოფილად მიეზამა, რითაც თანაკლასელებში მზიარულებასა და კეთილგანწყობას ინვევდა, გამუდმებით მიდიოდნენ და ახალ-ახალ ინტერპრეტაციებს სთხოვდნენ. ნარმატებით ბაძავდა კოლეჯის ნარმოშობადგენლებსა და სატელევიზიო პერსონაჟებს, სახელგანთქმულ ფრანკოსა და მინისტრებს, რომლებიც საინფორმაციო საშუალებებში ხშირად ჩნდებოდნენ. მამის ენაზე შესასრულებელ პაროდებს ლონდონისა და ოქსფორდისათვის ინახავდა, თავისი იქაური მეგობრებისა და ნათესავებისათვის (ოქსფორდი სენიორ ნევისონის მეორე მშობლიური ქალაქი იყო); ჩამბერის უბანში ვერავინ გაუგებდა და შეაქებდა, თითო-ოროლა ყოფილი თანაკლასელის გარდა, რომლებიც ბრიტანულ ინსტიტუტში მასავით ორენოვანები იყვნენ. არც ერთ ენაზე საუბრისას უცხოელობის იოტისოდენა კვალი არ ეტყობოდა, ორივე ენა მშობლიურივით უღერდა და არასოდეს ჰქონია პრობლემა, რომ, გვარის მიუხედავად, მადრიდში თავისიანად მიელოთ. იცოდა ყველა გამოთქმა, ჟარგონი და, თუ მოისურვებდა, შეეძლო, ყველაზე ენაბილნი ბიჭი ყოფილიყო მთელ დედაქალაქში, ქალაქის გარეუბნებს თუ არ ჩავთვლით. დიდწილად, ერთი ჩვეულებრივი ესპანელი ბიჭი უფრო იყო, ვიდრე ინგლისელი. არ გამოირცხავდა, რომ საუნივერსიტეტო განათლებას მამის ქალაქში დაუფლებოდა, რისკენაც ეს უკანასკნელი უბიძგებდა, მაგრამ თავისი ცხოვრება ყოველთვის მადრიდში, ბერტასთან ერთად წარმოედგინა. ოქსფორდში თუ მიიღებდნენ, შესაძლოა, გამგზავრებულიყო კიდევ, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ სწავლის დასრულებისთანავე მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდებოდა.

ტომის მამა, ჯეკ ნევისონი, მრავალი წლის წინ დამკვიდრებულიყო მადრიდში, თავიდან — შემთხვევითობის წყალობით და შემდეგ — ქალაქის მგზნებარე სიყვარულისა და ქორწინების გამო. ტომს სხვა ადგილზე ცხოვრება არ ახსოვდა, მხოლოდ გადმოცემით იცოდა ამის შესახებ. შვილებმა ხშირად არაფერი იციან მათ დაბა-

დებამდე მშობლების განვლილ ცხოვრებაზე, თითქოს მათ არ ეხებათ. მხოლოდ ზრდასრულ ასაკში უჩნდებათ კითხვები, რაც ხანდახან ძალიან დაგვიანებულია. სენიორ ნევისონი ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლობას უთავსებდა British Council-ში საქმიანობას, სადაც თხუთმეტი წლის წინ მისულიყო ირლანდიელ უოლტერ სტარკთან ერთად, რომელიც ბრიტანული ინსტიტუტის დამაარსებელი (1940 წელი) და მისივე დირექტორი იყო დიდი ხნის განმავლობაში. სტარკი შთაგონებული ესპანისტი და მოგზაური გახლდათ, მასვე ეკუთვნოდა რამდენიმე წიგნი ბოშების შესახებ, ერთს ოდნავ სასაცილო სათაური ჰქონდა — დონ ჯიბსი. ჯეკ ნევისონს გვარიანად გაუჭირდა მეუღლის ენის შესწავლა და, თუმცა, საბოლოოდ საფუძვლიანად დაეუფლა სინტაქსს, გრამატიკას და საკმარის ვრცელი, კარგად აქცენტირებული და მნიშვნელოვანი ენაც შეითვისა, ვერასოდეს მოიპოვა ძლიერი ინგლისური აქცენტი, რის გამოც შვილები, გარკვეულწილად,

მეუღლის ენის კარგი მცოდნე გახლდათ და გაცილებით თავისუფლად ფლობდა, ვიდრე მეუღლე — მისას, თუმცა მის საუბარშიც იგრძნობოდა ესპანური აქცენტი. მხოლოდ ოთხი შვილი — ტომი, მისი ძმა და ორი და — მეტყველებდა ორივე ენაზე უაქცენტოდ.

ბერტა ისლა ნაღდი მადრიდელი იყო (მეოთხე თუ მეხუთე თაობისა, რაც იმ დროს ფრიად იშვიათი მოვლენა გახლდათ), შავ-გვრემანი, თავდაჭერილი, რბილი და არასრულყოფილი. სახის ცალკეულ ნაკვეთებს თუ დააკვირდებოდი, დამაბრმავებელი სილამაზისად არ მოგეჩვენებოდა, მაგრამ მთლიანობაში მისი სახე და სხეული იმ ამაღლებულ, გაუსაძლის მიმზიდველობას ფლობდა, რომელიც ხალისიან, ღიმილიან და კისკისა ქალებს ახასიათებთ. ყოველთვის კმაყოფილი ჩანდა, თითქოს მცირედიც ჰყოფნიდა სამხიარულოდ ან ძალისხმევას არ იმურობდა, რომ ექმარა, რაც ბევრი მამაკაცისთვის სასურველი ქალის აუცილებელ თვისებას წარმოადგენს: თითქოს ამ

ზანმიმართულად, მოხერხებულად, მომთხონად და სრულიად დამაჯერებლად, თითქოს ვერ ხვდებოდა, რატომ უნდა დაშალო სურვილები, თუკი მათში საძრახი და უკეთური არაფერია. ბერტას შეეძლო, საკუთარი წარმოდგენები მოეხვია თავს ნაცნობებისთვის, მეგობრებისა და თავყვანისმცემლებისათვის, რამდენადაც შესაძლებელია თავყვანისმცემლები ენოდოს იმ ბიჭებს, რომელთაც თავად ირჩევდა ახალ-გაზრდობაში: შეეძლო, დაერწმუნებინა, რომ ყველაზე უარესი, რაც შეეძლება, მოსწონდათ, ის იყო, რომ ბერტას კეთილგანწყობა ან მისი ხალისიანი საზოგადოება დაეკარგათ; ამავე ფორმით არწმუნებდა გარშემო მყოფებს, რომ არ არსებობდა უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე მისი სიახლოვე, მასთან ერთად გაკვეთილის, თამაშის, პროექტის, გართობის, საუბრის ან, ზოგადად, არსებობის გაზიარება. განა გაიძვერა ან სასწაულმოქმედი იყო, ვინც მართავს, თვალთმაქცობს და ატყუებს განუწყვეტლივ ყურში ჩურჩულით ან რამე სხვა ხრიკით.



ოჯახში შემოჭრილ უცხო ადამიანად აღიქვამდნენ და თავმუშუავებელი სიცილისა და უხერხულობის თავიდან ასარიდებლად ყოველთვის ინგლისურად ესაუბრებოდნენ. შინ ესპანელი სტუმრები თუ ენგოდნენ, სხვა გზა აღარ რჩებოდათ და მამას კასტილიურად მიმართავდნენ; მისი პირით წარმოთქმული ესპანური ანეკდოტით ჩაესმოდათ ყურში, თითქოს ლორეის ან ჰარდის გახმოვანებული პერსონაჟები — მსუქანი და ხმელი — განასახიერებდნენ ესპანურად თავიანთ ძველ ფილმებს (ბოლოს და ბოლოს, სტენ ლორელი ინგლისელი იყო და არა ამერიკელი, ისინი კი სრულიად განსხვავებული აქცენტებით მეტყველებენ უცხო ენაზე). იქნებ, სწორედ მამის მიერ მეორე სამშობლოს ენის არადამაჯერებელი ცოდნა ინვევდა ტომში მამაშვილობისათვის შეუფერებელ გრძნობებს, თითქოს მისთვის მომადლებული ენების შესწავლისა და იმიტაციის დიდი ნიჭი აფიქრებინებდა, რომ მამაზე იოლად შეეძლო სამყაროში გზა გაეკვლია, მორგებოდა ან სარგებელი მიეღო, რასაც ვერასოდეს შეძლებდა ჯეკ ნევისონი, ოჯახში არცთუ ავტორიტეტული და გამბედავი კაცი და ტომის წარმოდგენით, ოჯახს გარეთ — კიდევ უფრო უსუსური. ამ ნაადრევ ქედმაღლობას ვერ შეჰკადრებდა დედამ, მერსედესს, მოსიყვარულე, მაგრამ მტკიცე ხასიათის ქალს, რომელსაც პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა არა მხოლოდ როგორც მშობელს, არამედ ბრიტანული სკოლის მასწავლებელსა და სასწავლო საბჭოს წევრს. „მის მერსედესს“ ეძახდნენ მოსწავლეები,

სიცილის დაპატრონების სურვილი უჩნდებოდა — ან მისი განადგურების, თუ ცუდი ინსტინქტი მძლავრობს — ნეტა, ვის ეკუთვნის ეს სიცილი? ვინ გამოიწვია? ვერ ხვდებიან, რომ ეს ქათქათა კბილები, სახეს რომ ასხივოსნებს და მათ მხილველს ინვევს, ნებისმიერ შემთხვევაში, უმიზეზოდაც იარსებებს, როგორც სახის სხვა ნაკვეთები — ცხვირი, შუბლი ან ყურები. ბერტა ლალი და გულითად ადამიანი გახლდათ, თუმცა, ცოტა მაცდური: მისი სიხარული ბუნებრივი, მსუბუქი და მყისიერი იყო, მაგრამ მიზეზს თუ ვერ იპოვდა, ტყუილად არ გაიჩხვებოდა, არც სათვალთმაცოდ შეინუხებდა თავს; მართალია, სამხიარულოდ ათას მიზეზს პოულობდა, მაგრამ, თუ მიზეზი არ იყო, მამიწვე მოიწყენდა, დანაღვლიანდებოდა ან გაფხუკიანდებოდა. მოწყენილი დიდხანს არ ჩერდებოდა. მალე ბერტადებოდა ეს პირქუში და უსიხარულო მდგომარეობა სულისა, თითქოს სარგებელს ან განვითარებას ვერ პოულობდა ამ მდგომარეობაში, ფიქრობდა, რომ მისი განხარკობა ერთფეროვნებისაკენ უბიძგებდა და არაფერს ასწავლიდა, როგორც წყლის ნეეთის განუწყვეტელი დინება, რომელიც წყლის დონეს ზრდის, მაგრამ არ გარდასახავს, თუმცა, არც უგუნურად გაუბრუნდა, როცა ეუფლებოდა. თანაგრძობისა თუ მოჩვენებითი კეთილშობილების საფარველქვეშ მკაფიო აზრების მქონე ჯიუტი გოგონა იდგა. რამეს თვალს თუ დაადგამდა, მისკენ გაემართებოდა — არა ჯიუტად, ვინმესთვის შიში რომ ჩაენერგა ან ძალდატანებით მოეხვია თავს, არამედ მი-

როგორც ჩანს, თავად სჯეროდა ბუნებრივად და ამპარტავნულად და ამ რწმენას ასხივებდა, შუბლზე ეწერა, ღიმილსა და აჭარხლებულ ლოყებზე ემწეოდა და ყველას ანგარიშმოუცემლად ასწავლებდა. მხოლოდ ბიჭებში კი არა, გოგონებშიც წარმატებით სარგებლობდა. ბერტასთან მეგობრობა, მისი ორბიტის გარშემო ყოფნა გამარჯვების მწვერვალი იყო; საკვირველი ის იყო, რომ შურსა და ეჭვებს არ აღძრავდა, თითქოს თავისი წრფელი კეთილგანწყობა იცავდა ამ ასაკისათვის ნიშანდობლივი ცვალებადი და განმსჯელი სიძულვილისაგან და ავის მსურველებისაგან. ბერტამაც, ტომის მსგავსად, ახალგაზრდული ასაკიდან იცოდა, ადამიანების რომელ კლასს განეკუთვნებოდა, როგორი ქალი დადგებოდა მომავალში, თითქოს არასოდეს დაეჭვებულა, რომ მთავარი და არა მეორეხარისხოვანი როლის შესრულება მოუწევდა, სულ მცირე, თავის ცხოვრებაში მაინც. არიან ადამიანები, რომლებსაც ჩრდილში ყოფნა აშინებთ, თითქოს გაჩენის დღიდანვე იციან, რომ, როგორი უნიკალურებიც არ უნდა იყვნენ, მათი ცხოვრება არასოდეს გახდება თხრობის ღირსი — მხოლოდ მოსახსენებლად თუ გამოდგება სხვა, უფრო იღბლიანი და თვალისმომჭრელი ისტორიის საამბობლად — არც სუფრაზე ხანგრძლივი საუბრებისას დროის გასაყვანად და არც ცეცხლისპირად — უძილო ღამეების გასათენებლად.

* ბრიტანეთის საბჭო.

თავი 10

მისტერ ოლგორთის გულითადი მასპინძლობა; ასევე პატარა სკეტიჩი ორ ძმაზე, ექიმზე და კაპიტანზე, რომელთაც ამ ჯენტლმენმა უმასპინძლა

მისტერ ოლგორთის სახლის კარიც და გულიც ნებისმიერისთვის ღია იყო, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ კარს აქ ღირსეულ ადამიანებს უღებდნენ. სიმართლე რომ ითქვას, ეს სახლი ერთადერთი იყო მთელ საგრაფოში, სადაც დანამდვილებით იცოდა, რომ უსათუოდ სადილით გაგიმასპინძლებდნენ, თუ რა თქმა უნდა, ამას იმსახურებდით.

ოლგორთი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ და სწავლულ ადამიანებს სხვებზე მეტად სწყალობდა, ოღონდ მათ შორისაც ჰყავდა რჩეულები. მართალია, თავად ვერ გამოიყენა შესაძლებლობა, სრულყოფილი განათლება მიეღო, მაგრამ ბუნებით ნიჭიერი, ცოტა დაგვიანებით და დიდი მონდომებით რომ გაეცნო ლიტერატურას და გამოჩენილ ხალხთანაც ხშირად საუბრობდა, ძალიან კომპეტენტური მსაჯული გახდა ამ სფეროში.

გასაკვირი არ არის, რომ ჩვენს საუკუნეში, როცა ეს ღირსეულები დიდად არც მოდაშია და არც მაინცდამაინც დაფასებული, ნიჭით შემკული ადამიანები სიხარულით იყრიდნენ თავს ისეთ ადგილას, სადაც მათ თავაზიანად იღებდნენ, სადაც სიამოვნებით და ლამის მასპინძლივით თავისუფლად სარგებლობდნენ მდიდრების უპირატესობებით; ეს იმიტომ, რომ მისტერ ოლგორთი არ მიეკუთვნებოდა იმ გულუხვ მასპინძელთა რიცხვს, რომელთაც არც სასმელ-საჭმელი ენახებოდათ ნიჭიერი და განათლებული ადამიანებისთვის და არც საცხოვრებელი, ოღონდ სანაცვლოდ მათგან გართობას, დამოძღვრას, პირმოთხოვბას და მორჩილებას მოელიან, ერთი სიტყვით, მსახურივით არ უნდა ემოსოთ და გასამრჯელო არ ეძლეოდეთ, თორემ სხვა მისგან არაფერი განასხვავებდეთ.

ის კი არა, მისტერ ოლგორთის სახლში ყველა საკუთარი დროის ბატონ-პატრონი ხდებოდა და კანონის, ზნეობის და რელიგიის ფარგლებში ნებისმიერ სურვილს დაიკმაყოფილებდა. თუ ამას ჯანმრთელობა მოითხოვდა, ან ზომიერების მომხრე გახლდათ ბუნებით, ანდა სრული თავშეკავების სურვილი ჰქონდა, შეეძლო, არ დასწრებოდა სადილს, თუ არადა როცა მოესურვებოდა, მაშინ ამდგარიყო სუფრიდან, რადგან დარჩიო, არავინ დაუფინებდა; ოჯახის უფროსის დაჟინებულ თხოვნას ხომ ერთგვარი ბრძანების ელფერი დაჰკრავს. იქნებ ისმეიერს თავაზიანად ექცეოდნენ, არა მარტო მდიდრებს, ყველგან სასურველი სტუმრები რომ არიან, არამედ ხელმოკლეთაც, ვისთვისაც ამგვარი წყალობა პირდაპირ მისწრება და ვისაც დიდი კაცების სუფრაზე იშვიათად ეპატიჟებიან ხოლმე.

სხვა დანარჩენთა შორის, ერთ-ერთი ასეთი კაცი გახლდათ ექიმი ბლაიფილი, რომელმაც მამამისის სიჯიუტის გამო სამწუხაროდ თავისი ნიჭი ვერ გამოიყენა და მისთვის არასასურველი პროფესია აირჩია. ექიმი მამის შეუპოვრობას ვერ გაუძლიანდა და სიჭაბუკეში მედიცინას დაეუფლა, არადა სინამდვილეში სამედიცინო ლიტერატურა იყო ერთადერთი, რაც მას არ წაუკითხავს და იმ მეცნიერების გარდა, რომელსაც მისთვის ლუკმაპური უნდა ექმია, თითქმის ყველა სხვა მეცნიერება შეისწავლა. შესაბამისად, ორმოცი წლის ასაკში ექიმი უსახსროდ დარჩა.

რალა თქმა უნდა, ასეთ პიროვნებას გულთბილად მიიღებდნენ მისტერ ოლგორთის სახლში, სადაც უიღბლობა ლამის რეკომენდაციას ნიშნავდა, მით უმეტეს თუ უიღბლობის მიზეზი სხვისი უგუნურობა ან უნამუსობა იყო და არა თავად უიღბლობა. უარყოფითი ღირსებების გარდა, ექიმს ერთი ძლიერი მხარე ჰქონდა — მორწმუნე ადამიანს ჰგავდა. მართლაც მორწმუნე იყო თუ მხოლოდ ერთი შეხედვით ტოვებდა ასეთ შთაბეჭდილებას, ვერაფერს გეტყვით, რადგანაც ამ საკითხში ტყუილმართლის განმსჯელად ვერ გამოვდგები.

თუ მისი ეს მხარე მისტერ ოლგორთის ხიბლავდა, მის ბრიჯის პირდაპირ ალაფრთოვანებდა. ხშირად გამოიხვევდა ხოლმე სხვადასხვა რელიგიურ კამათში; ასეთ



ჰენრი ფილდინგი

ტომ ჯონსის, ნაპოვარას ამბავი

ფრაგმენტები რომანიდან

დროს დიდად კმაყოფილი უქებდა ექიმს განათლებას და თავადაც ხშირად სიამოვნებით იღებდა მისგან ქათინაურს. რაც მართალია, მართალია, მის ბრიჯიტს ინგლისური ლეთისმეტყველება კარგად ჰქონდა შესწავლილი და ერთი-ორჯერ მეზობელი მღვდლის თანაშემწე ჩიშიცი მოიშყვდია. ისეთი უმანკო საუბარი და მხერა ჰქონდა და თავი ისე გოროზად და ღირსეულად ექირა, ნამდვილად იმსახურებდა თავისი სეხნია წმინდანის ან კათოლიკურ კალენდარზე გამოსახული სხვა რომელიმე მოღვაწის სახელს.

ყველანაირი სიმპათია შეიძლება სიყვარულში გადაიზარდოს, მაგრამ გამოცდილება გვასწავლის, რომ ეს ტენდენცია უფრო იმ განსხვავებული სქესის წარმომადგენლებში შეინიშნება, რომელთა რელიგიური მოსაზრებებიც ერთმანეთს ემთხვევა. ექიმი ისეთ კეთილგანწყობას გრძნობდა მის ბრიჯიტისგან, რომ ძალიან წუხდა ათი წლის წინ ჩადენილი შეცდომის გამო; კერძოდ, სხვა ქალთან ქორწინების გამო, რომელიც არათუ ცოცხალი გახლდათ, კიდევ უფრო უარესი — მას მისტერ ოლგორთიც იცნობდა. ეს გამოუსწორებელი შეცდომა ექიმის ბედნიერებას წინ ეღობებოდა, არადა დარწმუნებული იყო, სხვა არაფერი უშიდა ხელს, ახალგაზრდა ლედისთან ბედნიერებას რომ ზიარებოდა. რაც შეეხება მრუშობას, რა თქმა უნდა, თავიც არ გაუფრიალა. სავერაუდოდ, უფრო რელიგიური მრწამსი აბრკოლებდა ან ის სუფთა გრძნობები, ქალის მიმართ რომ ჰქონდა და ყოველთვის კანონიერ შეუღლებას უკავშირდებდა და არა დანაშაულებრივ ურთიერთობებს.

ექიმს დიდხანს არ დასცალდა ამ საკითხზე ფიქრი, თავისი ძმა მოაგონდა, რომელსაც მისგან განსხვავებით უსიამოვნო და ბრკოლებები არ ბოჭავდა. დარწმუნებული იყო, ძმა უქველად მიიღებდა წარმატებას, ვინაიდან, როგორც ატყობდა, ლედი ერთობ მონადირეობის გაცხადდა, ოჯახი შეექმნა. იმედია, მკითხველი არ გაკიცხავს ექიმს, როდესაც მისი ძმის თვისებების შესახებ შეიტყობს.

ის ჯენტლმენი ოცდათხუთმეტი წლის, საშუალო სიმაღლის და, როგორც იტყვიან, კარგად აღნაგობი იყო. შუბლზე იარა ეტყობოდა, მის სილამაზეს რომ ვერაფერს აკლებდა და პირიქით, უფრო გაუკაცურ იერს სძენდა (ის ხომ სათადარიგო ოფიცერი გახლდათ). მშვენიერი კბილების პატრონი გაღიმებისას, თუ ისურვებდა, კეთილგანწყობილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა; მართალია, გამომეტყველება, ისევე, როგორც ხმა და შესახედობა, ზოგადად უხე-

ში ჰქონდა, მაგრამ ნებისმიერ დროს შეეძლო ამის დამალვა და თავს მხიარულ და სანდომიან ადამიანად წარმოაჩენდა. გაუზრდელს ვერ დაარქმევდი, ვერც მთლად უტყვისო, ახალგაზრდობაში კი თურმე მეტისმეტად ცქციტი ყოფილა და თუმცა ბოლო ხანს ცოტა დასერიოზულდა, რამე რომ ყოფილიყო, სიტყვიტეს ახლაც სიამოვნებით გამოაფენდა.

ექიმივით, მასაც აკადემიური განათლება ჰქონდა მიღებული, ვინაიდან მამის დადგენილებით და მის მიერ მშობლის ძალაუფლების გამოყენებით, რაზედაც ადრე უკვე მოგახსენეთ, სასულიერო პირი უნდა გამხდარიყო; მაგრამ ვიდრე მღვდლად აკურთხებდნენ, მოხუცი ჯენტლმენი გარდაიცვალა და მანაც ეკლესიას არმია ამჯობინა, ეპისკოპოსის მსახურებას კი მფიცის მსახურებას.

ლიტენანტის ნოდება იყიდა და მერე კაპიტანი გახდა; მაგრამ პოლკოვნიკთან შეკამათების შემდეგ იძულებული გახდა, თანამდებობა გაეყიდა. იმ დღიდან სოფელში გადასახლდა, წმინდა ნერილის სწავლა დაიწყო და ვიღაც-ვიღაცებს საფუძვლიანი ეჭვი გაუჩინა, მეთოდისზმისკენ გადაიხარაო.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ექიმის ძმა ღვთისმოსავი ლედის გულს მოინადირებდა, მით უმეტეს, რომ ლედის დაოჯახება ენადა, ოღონდ ის კი ძნელი ასახსნელია, რატომ უპასუხა ექიმმა ასე ბოროტად მისტერ ოლგორთის სტუმარმასპინძლობას ძმის გამო, რომელთანაც არცთუ მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

იქნებ ზოგიერთები ისეთსავე სიამოვნებას იღებენ ბოროტებისგან, როგორსაც სხვები სათნოებისგან? ან იქნებ ქურდის თანამზრახველობა გვანიჭებს სიამოვნებას, როცა თავად არ შეგვიძლია დანაშაულის ჩადენა? თუ ეგებ (გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ეს შესაძლებელია) ჩვენი ოჯახის წევრის განდიდება გვაგრძობინებს კმაყოფილებას, გინდაც მის მიმართ არც სიყვარული გაგვარჩნდეს და არც იოტისოდენი პატივისცემა?

რა მოტივი ამოძრავებდა ექიმს, ჩვენთვის მარად უცნობი დარჩება, ოღონდ ყველაფერი მართლაც ასე ხდებოდა. ძმა გამოიძახა და არც მისი წარდგენა გასჭირვებია მისტერ ოლგორთის სახლში, ასე მოახსენა, მცირე ხნით გესტუმრათო.

ერთი კვირაც არ გასულა კაპიტნის ჩამობრძანებიდან, რომ ექიმი თავის თავს შორსმჭვრეტელობას უქებდა. კაპიტანი მართლაც ისე კარგად ფლობდა სიყვარულის ხელოვნებას, როგორც ალბათ ძველ-

ად ოვიდიუსი. ამას გარდა, ძმისგანაც სასარგებლო დარიგებები მიიღო და ჩინებულადაც გამოიყენა.

თავი 11

მოიცავს მრავალ წესს და რამდენიმე მაგალითს თავის შეყვარების შესახებ; სილამაზის და დაქორწინების კეთილგონივრული მოტივების აღწერა

ვინ იყვნენ ისინი, აღარ მახსოვს, მაგრამ ბრძენ კაცებსა და ქალებს შეუნიშნავთ, რომ ყველა ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც მისჯილი აქვს სიყვარული. თუ არ ვცდები, განსაკუთრებული პერიოდი ამისთვის არავის დაუწესებია, მაგრამ ასაკი, რომელსაც მის ბრიჯიტი უახლოვდებოდა, სხვა დანარჩენისა არ იყო, მშვენივრადაც მიესადაგებოდა. რა თქმა უნდა, უფრო ხშირად ეს გაცილებით ადრე ხდებოდა, მაგრამ თუ მანამდე არ მომხდარა, ჩემი დაკვირვებით, ამ ასაკში გარდაუვალია. მეტსაც გეტყვით, ამ პერიოდში გრძნობები კიდევ უფრო სერიოზული და მყარია, ვიდრე ახალგაზრდობაში. გოგონების სიყვარული წარმავალი, ჭირვეული და ქარაფშუტაა, ყოველთვის ვერც მიხვდები, ახალგაზრდა ლედის თავში რა უდევს; ვეჭვობ, ხშირად თავადაც არ იცნა.

სამაგიეროდ, არ გავგიძეოდებ, გამოვიცნოთ, რა სურს ორმოცი წლის ქალს; ვინაიდან ასეთი სერიოზული, დარბაისელი და გამოცდილი ლედი კარგად არის გარკვეული თავის ზრახვებში, მათი გამოცნობა ყველაზე გაუმჭირაბ კაცსაც კი არ გაუჭირდება.

მის ბრიჯიტი ყველა ამ დაკვირვების მაგალითად გამოდგება. სულ რამდენჯერმე აღმოჩნდა კაპიტნის საზოგადოებაში და უკვე სიყვარულის მწველმა სურვილმა შეიპყრო. განამებული და სახემომანჭული კი არ დაიარებოდა სახლში ვიღაც პატარა სულელი გოგონასვით, რომ ვერ გაუგია, რა ემართება; ყველაფერს მშვენივრად ხვდებოდა და იცოდა, რომ ეს სასიამოვნო შეგრძნება არა მხოლოდ უმანკო იყო, არამედ ქების ღირსიც და მისი არც ეშინოდა და არც რცხვენოდა.

სიმართლე რომ ითქვას, ამ ასაკის ქალის კეთილგონივრული ლტოლვა კაცისადმი დიდად განსხვავდება პატარა გოგონებისთვის დამახასიათებელი ფუჭი და ბავშვური გატაცებისგან, რომელსაც ხშირად მხოლოდ გარეგნობა და უმნიშვნელო წარმავალი რამეები ანიჭებს, ვთქვით, ვარდისფერი ლოყები, პანანინა ქათქათა თითები, მაცვალივით შავი თვალები, დატალღული კულულები, ფაფუკი ნიკაპი, გრაციოზულობა, ხანდახან კი გაცილებით უზადრუკი სამშვენისებიც, როგორც, მაგალითად, ადამიანის გარეგნული მორთულობა, რომელსაც ის თერძს, მექუდებს, მოდური ტანსაცმლის მწარმოებლებს უნდა უმადლოდეს და არა ბუნებას. ასეთი გრძნობები გოგონებისთვის შეიძლება სასიამოვნო იყოს და ზოგადად არის კიდევაც, ამიტომ არც საკუთარ თავს უტყდებიან და არც სხვას.

მის ბრიჯიტს კი სხვანაირად შეუყვარდა. კაპიტანი ვერც კოპნიაობით დაიქადავნიდა და არც სილამაზით დაეჯილდოებინა ბუნებას. სადმე სალონში, კეთილმოხილ ქალთა საზოგადოებაში გამოჩენილი, საიმოსითაც და შესახედაობითაც მხოლოდ დაცინვას და ზიზღს თუ დამინახებდა. სამოსი მართალია სუფთა, მაგრამ უზრავლო, მოუხეშავი, ულაზათო და მოდიდან გასული ეცვა. შესახედაობას რაც შეეხება, ზემოთ უკვე ამომწურავად მოგახსენეთ. ლოყებზე არათუ ვარდისფერი არ დაჰკრავდა, რა ფერი ედო, ვერც იტყობდი, რადგან შავი წვერი ლამის თვალებამდე ამოზრდოდა. თუმცა კი პროპორციული, მაგრამ გლეხკაცურად ზორბა ტანი და ხელ-ფეხი, დაუჯერებლად განიერი მხრები და პორტმეზის მზიდავივით მსხვილი, კუნთებადერილი წვივები ჰქონდა. მოკლე, მთელ მის გარეგნობას აკლდა ის ელევანტურობა და მომხიბველობა, რომელიც ჩვენს დახვეწილ ჯენტლმენებს გამოარჩევთ და რასაც ნაწილობრივ წინაპრების კეთილშობილ, ნატიფად შეკმაზული სოუსებით და რჩეული ღვინით შეზავებულ სისხლს უნდა უმადლოდენ, ნაწილობრივ კი ადრეულ ქალაქურ აღზრდას.

მართალია, მის ბრიჯიტს დახვეწილი გემოვნება ჰქონდა, კაპიტანთან საუბრებში ისე მოხიბლა, მზად იყო, თვალი დაეხუჭა მის გარეგნულ ნაკლებზე. გადამწყვეტი, და ალბათ გონივრულადაც, რომ მასთან ურთიერთობა მეტ სიამოვნებას ჰპირდებოდა, ვიდრე ვინმე უფრო მომხიბვლელთან, და თვალთ ტკობას გაცილებით სრულყოფილი კმაყოფილება ანაცვალა.

როგორც კი კაპიტანმა მის ბრიჯიტს მისდამი ლტოლვა შეამჩნია, რაშიც ჩინებულ სიმკვრივეს გამოავლინა, იმავე გრძობით უპასუხა ლედის. სილაშხაზე, თავისი თავყვანისმცემლის არ იყო, არც მის ბრიჯიტს გამოიჩინა. შევეცდებოდი მისი პორტრეტის აღწერას, მაგრამ ჩემამდე და ჩემზე უკეთ ეს შესანიშნავმა მხატვარმა, თავად მისტერ ჰოგარტმა გააკეთა. ამ ჯენტლმენმა მის ბრიჯიტის პორტრეტი რამდენიმე წლით ადრე დახატა და ახლახან წარუდგინა საზოგადოებას გრავიურა „ზამთრის დილა“, სადაც მის ბრიჯიტს, რომელიც ქოვენ-გარდენის ეკლესიისკენ მიემართებოდა, უკან კი შიმშილისგან გალღული პატი მისცემოდა, ლოცვანით ხელში, არცთუ ურიგო ემბლემად გამოიყურებოდა.

კაპიტანმა, ასევე გონივრულად, წარმავალ სიამტკობობას უფრო მნიშვნელოვანი თავშესაქცევი ამჯობინა, რასაც, სავარაუდოდ, ამ ქალბატონთან ურთიერთობა უქადდა. იმ ბრძენკაცთან აღმოჩნდა, ვისთვისაც ქალის სილამაზე სრულიად უფასური და ფუჭი თვისებაა; ან, უფრო მართლმეტყველებით რომ ვიყოთ, არჩია, მახინჯ ქალთან დამტკბარიყო ყველა ცხოვრებისეული სიამით, ვიდრე ლამაზი ქალისგან არავითარი გამოჩენა არ ჰქონოდა. და ვინაიდან მადას არ უჩიოდა და არც მაინცდამაინც მომთხოვნი იყო, წარმოიდგინა, რომ საკუთარ როლს ქორწილში მომხიბვლელი გარეგნობის გარეშეც კარგად გაართმევდა თავს.

მკითხველთან პირმართალი რომ ვიყო, გეტყვით, კაპიტანი ჩამოსვლისთანავე, ყოველ შემთხვევაში, იმ წუთიდან, როცა ძმამ ცოლის შერთვა შესთავაზა და კარგა ხნით ადრე, ვიდრე მის ბრიჯიტის ქცევაში არსებობის სიმპტომებს შენიშნავდა, უკვე თავდავიწყებით იყო შეყვარებული — მისტერ ოლვორთის სახლზე და ბაღზე, მის მამულზე, იჯარით აღებულ ფერმაზე და სამემკვიდრეოზე გახლდათ შეყვარებული; და ეს ყველაფერი ისეთი მწველი სიყვარულით შეიყვარა კაპიტანმა, რომ ალბათ ცოლადაც მოიყვანდა, გინდაც ამისთვის ენდორელ ჯადოქარს შეჰკვროდა.

ერთხელ მისტერ ოლვორთიმ ექიმს განუცხადა, რომ მეორედ დაქორწინებას არ აპირებდა, და ვინაიდან მის ბრიჯიტს მისი ყველაზე ახლო ნათესავი იყო და, როგორც ექიმმა დამატებით გამოსტყუა, მთელ თავის სამკვიდრებულს დისწულს უანდერძებდა, რაც მის გარეშეც, კანონიერადაც ასე მოხდებოდა, ექიმმა და მისმა ძმამ მიიჩნიეს, რომ ამ ბავშვის ქვეყნად მოვლინება დიდი მადლი იქნებოდა — ის ხომ ყველა მინიერი სიკეთით იქნებოდა უზრუნველყოფილი, რაც კი ადამიანს ბედნიერებისთვის ესაჭიროება. აქედან გამომდინარე, ძმებს თავსატეხი გაუჩნდათ, როგორ მოენადირებინათ მეგობრულად განწყობილი ქალის გული.

მაგრამ ილბალმა, მზრუნველმა მფარველმა, ხშირად თავის რჩეულს იმაზე მეტს რომ აძლევს, ვიდრე იმსახურებს ანდა სურს, ძალიან გამოიღო თავი კაპიტანთან და ვიდრე ის მიზნის მისაღწევად ათასგვარ სქემას თხზავდა, ქალბატონსაც იგივე საზრუნავი მოახვია თავს. ფიქრობდა, როგორ ნაეხალისებინა კაპიტანი, ოღონდ ისე, რომ სულსწრაფობა არ შესტყობოდა, ის ხომ ეტიკეტის კანონებს მკაცრად იცავდა. იოლადაც გამოსდიოდა, რადგან კაპიტანი მუდამ გაფაცვიცებული იყო, რათა არც ერთი მზერა, უესტი და სიტყვა არ გამოჰპარვოდა.


მის ბრიჯიტთან ურთიერთობით კმაყოფილებას კაპიტანს მხოლოდ მისტერ ოლვორთის მიმართ ავი წინათგრძობა უქარწყლებდა; შიშობდა, რომ მიუხედავად უანგარო ბუნებისა, როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, მისტერ ოლვორთი, ყველა სხვა დანარჩენით, უარს იტყოდა, თავისი და ასე უხეიროდ გაეთხოვებინა. რომელმა ორაკულმა უქარნახა ეს გადამწყვეტილება კაპიტანს, ამის განსჯას მკითხველს მივანდობ, მაგრამ ვისაც არ უნდა შთაეგონებინა, ის აშკარად ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა — სუ-

რდა, თავისი გრძობები ისე გაემხილა ლედისთვის, რომ მისი ძმა ვერაფერს მიმხვდარიყო. საბოლოოდ გადამწყვეტი, შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა და ქალს სიყვარულში გამოსტყდომოდა, ოღონდ მისტერ ოლვორთის თანდასწრებით უკიდურესი სიფრთხილე გამოეჩინა; და მის ამ გადამწყვეტილებას ძმა სავსებით ინონებდა.

მაღე მონახა კიდევაც გზა, როგორ გაემულავებინა სიყვარული ქალბატონისთვის ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე და პასუხიც შესაფერისი მიიღო, პასუხი, რომელიც საუკუნეების წინ გაიცა და მას შემდეგ ტრადიციულად დედიდან შვილს გადაეცემა. ლათინურად რომ გვეთარგმნა, მას ორ სიტყვაში მოვაქცევდი — Nolo Episcopari. ამ ფრაზას უხსოვარი დროიდან წარმოთქვამენ, ოღონდ სხვა შემთხვევაში.

ასე იყო თუ ისე, კაპიტანი მშვენივრად უგებდა ლედის და ძალიან მაღე, მეტი მონდომებით და სითბოთი, ხელახლა სცადა ბედი და კვლავ უარი მიიღო; მაგრამ რაც უფრო მოუთმენელი ხდებოდა კაპიტანი, ლედის უარის სიმძაფრეც უფრო და უფრო ცხრებოდა.

მკითხველი რომ არ დაილალოს არსებობის ყოველი სცენის აღწერით (რაც, ერთი დიდი მწერლის აზრით, მოქმედი გმირებ-



ის ცხოვრებაში ყველაზე სასიამოვნო ეპიზოდია, მაგრამ მაყურებლისთვის შეიძლება უარესად მოსაწყენი და დამღლეული იყოს), მოგახსენებთ, რომ კაპიტანმა იერიში მიიტანა ციტადელზე, რომელიც საბოლოოდ გამარჯვებულს დამორჩილდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, და ეს თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა, ძმის თანდასწრებით კაპიტანს ლედისთან თავი მოკრძალებით ეჭირა და რაც მეტ წარმატებას აღწევდა მასთან პირისპირა, მით მეტად თავშეკავებული გახლდათ საზოგადოებაში. რაც შეეხება ქალბატონს, საყვარელი იშოვა თუ არა, სხვების თანდასწრებით მას არაფრად ადგებდა; ასე რომ, მისტერ ოლვორთის მართლაც რომ ეშმაკის გამჭრიახობა (ან რამე კიდევ უფრო უარესი) უნდა ჰქონოდა, ოდნავი ეჭვიც რომ აღძროდა, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში.

თავი 12

მოიცავს იმას, რასაც ალბათ მკითხველი ელოდება

ყველა გარიგებას, შერკინება იქნება ეს თუ ქორწინება, წარმატებით დასაგვირგვინებლად პატარა წინასწარი ცერემონია სჭირდება, თუ ორივე მხარე გულწრფელად მზად არის ამისთვის. ამჯერადაც ასე მოხდა, ერთი თვეც არ გასულა და კაპიტანი და ლედი ცოლ-ქმარი გახდნენ.

ახლა მთავარი საზრუნავი იყო, როგორ გაემხილათ სიმართლე მისტერ ოლვორთისთვის და ეს საქმე ექიმმა ითავა.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა მისტერ ოლვორთი ბაღში სეირნობდა, ექიმი მიუახლოვდა, რაც შეეძლო შენუხებული და სერიოზული სახე მიიღო და უთხრა:

— სერ, გეახელით, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რამ გაუწყოთ, ოღონდ არც კი ვიცი, როგორ, თავგზა მაქვს არეული!

შემდეგ მოჰყვა ქალების და კაცების ლანძღვას, უკანასკნელთა ადანაშაულებდა, პირადი ინტერესების გარდა არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნიათო, ქალები კი ისე არიან მიდრეკილი გარყვნილებისკენ, ვერცერთი საპირისპირო სქესის წარმომადგენელი ბოლომდე ვერ ენდობათ.

— როგორ შემქმნო, სერ, — ასე თქვა, — ეჭვი შემპარვოდა, რომ ამისთანა კეთილგონიერი, საღად მოაზროვნე, განათლებული ქალი ურცხვ ვნებას დაემონებოდა! ან როგორ ვიფიქრებდი, რომ ჩემი ძმა... არც კი ვიცი, ასე რალატიმ ვუნდობ... მას ძმად ველარ მივიჩნევ...

— მაგრამ ის თქვენი ძმაა, — მიუგო ოლვორთიმ, — ისევე, როგორც ჩემი.

— დემტო ჩემო! — აღმოხდა ექიმს, — თქვენც გაიგეთ, რა შემზარავი რამ მოხდა?

— მისმინეთ, მისტერ ბლაიფილ, — დაინყო კეთილმა კაცმა, — მთელი ცხოვრე-

ვაპატიებ ძმას, ჩვენს მეგობრობას ჩირქი რომ მოსცხოო.

ოლვორთიმ ასე მიუგო: — თქვენი ძმის მიმართ რაიმე უსიამოვნო გრძობა რომც მქონოდა, უდანაშაულო კაცს მაინც არ ვაგრძობინებდი; მაგრამ გარწმუნებთ, მასზე ნაწყენი ნამდვილად არ ვარ. მე მას გონიერ და ღირსეულ კაცად მივიჩნევ. ჩემი დის არჩევანს არ ვინუნებ; ეჭვიც არ მაქვს, მისდამი გრძობები გულწრფელია. ყოველთვის მჯეროდა, რომ სიყვარულია ცოლქმრული ბედნიერების ერთადერთი საფუძველი, ვინაიდან მხოლოდ ის წარმოშობს იმ ამაღლებულ და ნაზ მეგობრულ ურთიერთობას, რომელმაც ცოლქმრის კავშირი უნდა გაამყაროს; და, ჩემი აზრით, თუ ქორწინებას სხვა მოტივი უდევს საფუძვლად, ის, უბრალოდ, დანაშაულებრივია; ასეთი ქორწინება შეურაცხყოფს წმინდა ცერემონიას და, როგორც წესი, განხეთქლებით და უბედურებით სრულდება; განა ქორწინების წმინდა ინსტიტუტის შეურაცხყოფა არ არის მისი აღრევა გარყვნილებაში ან ანგარებაში? სხვა რა შეიძლება, უნდოდო კაცის საქციელს, რომელსაც მხოლოდ გარეგნული სილამაზე ან ქონება აგულიანებს ცოლის მოყვანას?

ახლა პატივისცემით განვიხილოთ სიმდიდრე. გონიერება გვაძლავდებულებს, მას ანგარიში გაუწიოთ და მეც ერთი ხელის მოსმით მსჯავრს არ დავადებ. სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ოჯახზე და შთამომავლობაზე ზრუნვა მოითხოვს, მეტ-ნაკლებად გავითვალისწინოთ ფინანსური მდგომარეობა. არადა, მოთხოვნა მნიშვნელოვნად აღემატება რეალურ საჭიროებას, პატივმოყვარეობა და უფუნურობა, ბუნებისგან განსხვავებით, გაცილებით დიდ მოთხოვნებს აჩენს. ცოლის მორთვა-მოკაზმვა და შვილებისთვის ქონების დაგროვება, ჩვეულებრივ, აუცილებლობად მიიჩნევა და მათ უზრუნველყოფას ეწირება ყველაფერი, რაც კი მართლა მნიშვნელოვანი და საამური, ღვთიური და კეთილშობილია.

აქ სხვადასხვა ხარისხი არსებობს; უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი ძნელად თუ გაიჩნევა სიკეთისგან — იმ შემთხვევას ვგულისხმობ, როდესაც ძალიან შეძლებული ადამიანები ისეთებთან უღლებიან, რომ ეჯავრებათ და უნდა ეჯავრებოდეთ კიდევ — სულელებთან და ცბიერებთან — მხოლოდ იმიტომ, რომ მეტი სიმდიდრე მოიხვეჭონ ნებისმიერი ახირების დასაკმაყოფილებლად. რა თქმა უნდა, ასეთმა ადამიანებმა, თუ მართლა გიჟები არ არიან, უნდა აღიარონ, რომ ან ვერ ახერხებენ, დატკბნენ მეგობრობის სიამეებით, ან უდიდეს ბედნიერებას სიბრყვინის მიერ შობილ ამო, წარმავალ, უაზრო კანონებს და მდაბიო წარმოდგენებს სწირავენ მსხვერპლად.

ასე დაასრულა ოლვორთიმ ქადაგება, რომელსაც ბლაიფილი ყურადღებით უსმენდა, თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში რის ვაი-ვაგალახით ახერხებდა, სახის კუნთები არ შეკრთომოდა. ექიმმა იმ ახალგაზრდა სასულიერო პირის ალტაცებით შეაქო ქადაგების ყოველი სიტყვა, რომელიც ღირსად ჩათვალეს, ეპისკოპოსის ტრაპეზზე მიეწვიათ.

თავი 13

ამ თავით სრულდება პირველი წიგნი; გთავაზობთ უმადურობის მაგალითს, რომელიც, იმედია, მკითხველს არაბუნებრივი მოეჩვენება

მკითხველმა შეიძლება მონათხრობიდან გადამწყვეტი, თითქოს შეგუება (თუ ამას მართლა შეგუება შეიძლება, დავარქვათ) უბრალო ფორმალა იყო; ამიტომ ამ ამბებს გამოვტოვებთ და სასწრაფოდ უფრო მნიშვნელოვან ამბებზე გადავალთ. ექიმმა ძმას უამბო მისტერ ოლვორთისთან საუბრის შესახებ და ღიმილით დასძინა:

— ჩემგან დავალებული ხარ; ისე, ვეცადე, კეთილ ჯენტლმენს არ მიეტყუებინა შენთვის: მას შემდეგ, რაც კეთილგანწყობით მოგიხსენია, თამამად შეგებდე, მეთხოვა, ნუ აპატიებთ-მეთქი; ეს შენ გამო და საკუთარი თავის გამო გავაკეთე, ყველანაირი ეჭვი რომ გამეფანტა.

კრიტიკოსების უდიდესი ნაწილი ზურგს აქცევს ანმყოფ და მზერას წარსულისკენ მტკიცედ მიმართავს. უდავოდ ბრძნულია, ისინი არ განმარტავენ იმას, რაც რეალურად თანამედროვეობისთვის ინერტება. კრიტიკოსები ამ მოვალეობას მიმომხილველების რასას გადაულოცავენ; ადამიანებს, რომელთა სახელწოდებაც როგორც მათი, ასევე მათ მიერ განსახილველი ობიექტის წარმავლობაზე მეტყველებს. მაგრამ ზოგჯერ, შესაძლოა, თავისთავად გაჩნდეს კითხვა: ნუთუ კრიტიკოსის მოვალეობად მხოლოდ წარსულის კვლევა უნდა დარჩეს, ნუთუ მისი მზერა მხოლოდ ზურგსუკან იქნება მიმართული? განა არ შეუძლია, შემობრუნდეს და თვალები უკაცრიელ კუნძულზე მდგარი რობინზონ კრუზოსავით მოიხრდილოს, მომავალი განჭვრიტოს და მის ნისლში იმ მინის მქრქალი კონტური შემოხაზოს, რომელსაც ერთ დღეს მივალენო? ამგვარი ვარაუდების ჭეშმარიტება, რასაკვირველია, ვერასდროს დამტკიცდება, თუმცა ისეთ ეპოქაში, როგორც ია ცვცხოვრობთ, მათზე აყლის უდიდესი ცდუნება არსებობს. ცხადია, ესაა ეპოქა, რომელიც ერთ ადგილს მიჯაჭვულნი არ ვართ; ჩვენს ირგვლივ ყველაფერი მოძრაობს; ჩვენც ვმოძრაობთ; განა კრიტიკოსების მოვალეობა არაა, გვითხრან, ან სულ მცირე, მიხვდნენ მაინც — საით მივდივართ?

ასეთი მოთხოვნა, რასაკვირველია, მკაცრად უნდა დაეინეროვდეს, მაგრამ ალბათ შესაძლებელია, რომ ამ მცირე მოცულობის ესეიშიც კი ხელი მოვიდეთ ნაკლოვანებისა და დაბრკოლების ერთ მაგალითს, მისი კვლევისა და გადალახვის შემდეგ კი უკეთ მივხვდეთ, სულ რომელი მიმართულებით განვავადდით.

ნამდვილად არავის ძალუძს, იკითხოს თანამედროვე ლიტერატურა იმ დაბრკოლებებისა და სირთულეების ცოდნის გარეშე, რომლებიც გზად გვხვდებიან. მწერლები ყოველმხრივ ცდილობენ იმის მიღწევას, რაც არ შეუძლიათ; ფორმებში, რომლებსაც იყენებენ, ძალდატანებით ასხამენ შეუსაბამო მინარასს. შესაძლოა, ძალზე ბევრი მიზეზი დავასახელოთ, მაგრამ, მოდი, ერთადერთზე შევჯერდეთ და ვთქვათ, რომ ეს პოეზიის კრახია, რომელსაც არ ძალუძს, გვემსახუროს ისევე, როგორც ჩვენი მამების ძალზე ბევრ თაობას ემსახურებოდა. პოეზია ისეთივე თავისუფალ სამსახურს ვერ გვიწევს, როგორც წარსულში. გამოხატვის ეს დიადი გზა, რომელიც უსაზღვრო ენერჯისა და უსაზღვრო ნიჭს მოითხოვს, თავისთავად დაეინეროვდა ან განზე გადავა.

ეს ჭეშმარიტება, რასაკვირველია, კონკრეტულ ზღვრამდე ვრცელდება. ჩვენი ეპოქა მდიდარია ლირიკული პოეზიით; შესაძლოა, ნებისმიერ სხვა ეპოქაზე მეტადაც კი; მაგრამ ჩვენი თაობისთვის და მომავალი თაობებისთვის, სასონარკვეთილების, ალტკინების ლირიკული ქეთინი, რომელიც უკიდურესად მძაფრი, უკიდურესად პიროვნული და უკიდურესად ზღვარდადებულია, საკმარისი როდია. გონება სავსეა შემზარავი, არაერთგვაროვანი, უმართავი ემოციებით. დედამიწის ასაკი 3 000 000 000 წელს ითვისებს; ადამიანური ცხოვრება გრძელდება, მაგრამ წამიერად; მიუხედავად ამისა, მისი გონებრივი შესაძლებლობები ამოუწურავია; ცხოვრება უსაზღვროდ მშვენიერია და მაინც, შემზარავია; ადამიანური ქმნილებანი თვალწარმტაცნი არიან, მაგრამ აუტანლები; მეცნიერებასა და რელიგიას შორის რწმენა ინგრევა; ერთიანობის ყოველგვარი კავშირი დამსხვრეულია, მაგრამ მაინც, უნდა არსებობდეს რაღაც მმართველი ძალა — ესაა ეჭვებისა და წინააღმდეგობრიობის ის ატმოსფერო, რომლისგანაც მწერლები უნდა ჰქმნიდნენ, პოეზიის მშვენიერი ქსოვილი კი ამ წინაარსისთვის ისეთივე შეუსაბამოა, როგორც ვარდის ფურცელი კლდის დაკბილული ზედაპირის გასწორებისთვის.

მაგრამ თუ საკუთარ თავს დავეკითხებით, რა უწყობდა ხელს წარსულში ამგვარი დამოკიდებულების გამოხატვისა — დამოკიდებულებისა, რომელიც სავსე გახლდათ დაპირისპირებითა და წინააღმდეგობრიობით; დამოკიდებულებისა, რომელიც ერთი პერსონაჟის მეორესთან კონფლიქტს მოითხოვდა და, ამავდროულად, საყოველთაო, შინაგან ენერჯის საჭიროება, კონცეფციას, რომელიც მას ერთიან ჰარმონიასა და ძალმოსილებას მიაჩნებდა, პასუხი აუ-

ცილებლად ფორმა იქნება, მაგრამ არა ლირიკული პოეზიის ფორმა, არამედ ფორმა ელიზაბეთური ეპოქის პოეტური დრამისა. და ესაა ერთადერთი ფორმა, რომელიც, დღესდღეობით, მკვდრეთით აღდგენის ყოველგვარი შესაძლებლობის მიღმა დგას.

თუ პოეტური დრამის მდგომარეობას გადავხედავთ, მოგვიწევს ჩვენი იმედების დასამარება, რომ დედამიწაზე მისი აღდგენა რაიმე ძალას შეუძლია. მას ჯერ კიდევ იყენებენ და იყენებენ უდიდესი ნიჭისა და ამბიციის მწერლები. დრამის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, არცერთ დიდებულ პოეტს მიზანში არ უტყვორცნია. ურთხვორთი და კოლორიჯი, შელი და კიტსი, სუინბერნი და ბრაუნინგი (მხოლოდ გარდაცვლილებს თუ დავასახელებთ), ყველანი წერდნენ პოეტურ დრამებს, მაგრამ



ვირჯინია ვულფი

სელოვანების ბენვის სიდი

არა წარმატებით. ყველა პიესას შორის, რომელიც კი მათი ხელიდან გამოიშვა, სუინბერნის „ატალანტი“ და შელის „რომეთე“ ჯერ კიდევ კითხვადია, თუმცა ყველაზე ნაკლებ მათ სხვა ნაწარმოებებს შორის. სხვა დანარჩენი, ჩვენი წიგნის კარადაში უმაღლესი თაროსკენ მიცოცავს, თავს ფრთხილად გრავს და იძინებო.

შესაძლოა, ცდუნებამ, ცვალებად გარკვეული განმარტების პოვნა, ნათელი მოპინოს მომავალს, რომელზეც ვსაუბრობთ. მიზეზი, რის გამოც პოეტები პოეტურ დრამებს აღარ წერენ, შესაძლოა, ამ გზაზე იმალებოდეს.

არსებობს რაღაც, ძალიან ბუნდოვანი, იდუმალი, რასაც ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას ვუწოდებთ. ჩვენ ყველანი ვიცნობთ ადამიანებს — თუ ლიტერატურიდან ცხოვრებისკენ შემოვბრუნდებით — ადამიანებს, რომლებიც საკუთარ არსებობასთან კონფლიქტში მოდიან; უბედურ ქმნილებებს, რომლებიც ვერასდროს იღებენ იმას, რაც სურთ; თავგზააბნეულნი, უკმაყოფილონი დგანან სახიფათო კიდესთან და ყველაფერს ირიბად უყურებენ. აქ სხვებიც დგანან, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად კმაყოფილი ჩანან, ყოველგვარ კავშირს ჰკარგავენ რეალობასთან; ისინი თავიანთ სიყვარულს ფლანგავენ, პატარა ლეკვას თუ ძველ ჩინეთზე; მათ არაფერი აინტერესებთ, გარდა საკუთარი ჯანმრთელობის ცვლილებისა და სოციალური სნობიზმის ნაღმა-უკუღმართობისა. თუმცა, არსებობენ სხვებიც, რომლებიც იმდენად გვარხევენ, რომ რთულია დაზუსტებით ვთქვათ, თითქოს ადამიანები ბუნებით ან მდგომარეობით იმყოფებოდნენ ისეთ პირობებში, რომ საკუთარი ნიჭის უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისთვის გამოყენება არ შეეძლოთ. ასეთი ადამიანები ცალსახად არც ბედნიერები არიან და არც წარმატებულნი, მაგრამ მათ არსებობას თან ახლავს წყურვილი, რაღაცის შექმნის ინტერესი. თითქოს ყოველთვის მოქმედებენ. ეს შესაძლოა, ნაწილობრივ, გარემოებების შედეგი იყოს — ისინი შესაბამის გარემოში დაიბადნენ — მაგრამ უფრო მეტად ეს მათი თვისებების სრულყოფილი

შერწყმის შედეგია, რის გამოც სამყაროს მიუხედავად კუთხიდან ირიბად არ უყურებენ; არც ნისლში დაბრეცილს ხედავენ; არამედ პროპორციულს, კვადრატულს; რაღაცას მყარად ეჭიდებიან; და ქვას ტყხენ, როცა მოქმედებას იწყებენ.

მწერლებსაც მსგავსი დამოკიდებულება აქვთ ცხოვრების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ცხოვრება სხვათაგან განსხვავებულია. მათაც შეუძლიათ დგომა სახიფათო კიდესთან; ისინიც იბნევიან, იმედს ჰკარგავენ და ვერ აღწევენ იმას, რაც სურთ, როგორც ხელოვანებს; და ეს უდავოა, მაგალითად, ჯორჯ გისინგის რომანების შემთხვევაში. ამიტომ კვლავ განმარტობას ეძებენ და საკუთარ ინტერესს შინაურ ცხოველებსა და მანდილოსნებზე ფლანგავენ — ფლანგავენ მომზიბველობაზე, სენტიმენტალობაზე, სნობი-

ზმზე, და ასე ემართებათ ჩვენს ყველაზე წარმატებულ რომანისტებსაც კი. მაგრამ არსებობენ სხვებიც, რომლებიც ბუნებით ან მდგომარეობით არიან მოწოდებულნი იმგვარად, რომ საკუთარ ნიჭს თავისუფლად, გაცილებით მნიშვნელოვან საკითხებზე ხარჯავენ. ეს არ ხდება მიზეზით, რომ სწრაფად ან მარტივად შეუძლიათ წერა, წარმატებულნი არიან ან აღიარებული. უფრო მეტად, ესაა მცდელობა, გაანალიზონ უდიდესი ლიტერატურული ეპოქების განმასხვავებელი ნიშან-თვისებები, რომლითაც განსაკუთრებით გამოირჩეულია ელიზაბეთური ეპოქის დრამატურგების ნაწარმოებები. როგორც ჩანს, ცხოვრებისადმი მათი დამოკიდებულება ერთგვარი მდგომარეობაა, რომელიც ხელ-ფეხის თავისუფლად მოძრაობის საშუალებას აძლევს; ხედავს, მართალია, არაერთგვაროვნებით შექმნილი, მაგრამ მიზნისთვის ზუსტ პერსპექტივაში მოხვედრილი.

მიზეზი, ნაწილობრივ, რასაკვირველია, გარემოპირობები იყო. საზოგადოებრივი ინტერესი არა ნიგნების, არამედ სპექტაკლების მიმართ; ქალაქების სიმცირე; მანძილი, რომელიც ხალხს ერთმანეთისგან ჰყოფდა; გაუნათლებლობა, რომელიც იმდროინდელი განათლებულებიც კი ცხოვრობდნენ — ეს ყველაფერი ბუნებრივ პირობებს ჰქმნიდა ელიზაბეთური წარმოსახვისთვის, რომელიც ლომებითა და მარტორქებით, ჰერცოგებითა და ჰერცოგინიებით, ძალადობითა და საიდუმლოებებით ივსებოდა. ეს გამძაფრება იყო რაღაცით, რისი ახსნაც მარტივად არ შეგიძლია, მაგრამ დანამდვილებით ვგრძნობთ. მათ იმგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ ცხოვრების მიმართ, რაც საშუალებას აძლევდათ, საკუთარი თავი სრულად და თავისუფლად გამოეხატათ. შექსპირის პიესები თავგზააბნეული და იმედგადასურული გონების ნაყოფი როდია. ისინი იდეების სრულყოფილად დახვეწილი გარსია. დაბრკოლების გარეშე გადადის ფილოსოფიიდან ლოთების აყალმაყალზე; სიყვარულის საგალობლებიდან ჩხუბზე; უბრალო გასართობიდან ღრმა მსჯელობაზე; და მიუხედავად იმისა, რომ ელიზაბეთიანელებ-

ბი ზოგჯერ, შესაძლოა, თავს გვაბეზრებენ — და ნამდვილად გვაბეზრებენ კიდევ — არასდროს გვაგრძობინებენ, რომ ეშინიათ ან რცხენიანთ, ან არსებობს რაღაც ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი და მათი გონების სრული დინების შემაჩერებელი.

პირველი აზრი, რომელიც გონებაში თანამედროვე პოეტური დრამის გადაშლისას იბადება — და ეს ეხება უმეტესწილად თანამედროვე პოეზიასაც — ის არის, რომ მწერალს ბუნებრივობა აკლია. შეშინებულია, დაძაბულია, მორცხვობს. და რა მიზეზით?! შესაძლოა, ვიყვიროთ კიდევ, რომელ ჩვენგანს უჭირავს თავი სრულიად ბუნებრივად კაცთან, რომელსაც ტოვა აცვია და ქსენოკრატე ჰქვია, ან ქალთან, რომელიც ზენარშია გახვეული და ევდოქსიას ეძახიან? და მაინც, გარკვეული მიზეზებით, თანამედროვე პოეტური დრამა ყოველთვის ქსენოკრატეს შესახებაა და არა მისტერ რობინზონის; თესაღის შესახებაა და არა ჩეარინგ ქროს როუდის; როცა ელიზაბეთიანელებს პიესის სცენები შორულ მხარეში გადაჰქონდათ, ან გმირებისგან პრინციებსა და პრინციებს ჰქმნიდნენ, ისინი ერთ სცენას მეორეთი მხოლოდ თხელი ფარდის მეშვეობით ცვლიდნენ. ეს ბუნებრივი ხერხი იყო, რომელიც მათ ფიგურებს სილრმისა და შორეულობის განცდას ანიჭებდა. მაგრამ ქვეყანა ინგლისური იყო. ბოჰემიელი პრინცი ზუსტად ისეთივე ადამიანი გახლდათ, როგორც ინგლისელი დიდგვაროვანი. თანამედროვე პოეტური დრამის მწერლები კი, როგორც ჩანს, წარსულისა და მანძილის რიდეს განსხვავებული მიზნით იყენებენ. მათ სჭირდებათ არა რიდე, რომელიც უფრო მეტად გამოჰკვეთს, არამედ ფარდა, რომელიც დამალავს. პიესის სცენები წარსულში გადააქვთ, რადგან ანმყოფი ეშინიათ. იციან, რომ თუ იმ მოსაზრებების, ხედვების, სიმპათიებისა და ანტიპათიების გამოხატვას ეცდებიან, რომლებიც 1927 წლის ამ მომენტისთვის მათ გონებაში ფუთფუთებს და ტრიალებს, პოეტური ნესიერება ნაიბილდება. მათ მხოლოდ ენაბორძიკობა და ენაბრკოლობა ახასიათებთ და ამიტომ, ან უნდა დასხდნენ, ან ოთახი დატოვონ. ელიზაბეთიანელებს იმგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ ცხოვრებასთან, რაც მათ სრულ თავისუფლებას ანიჭებდათ. თანამედროვე დრამატურგს კი ან დამოკიდებულება არ გააჩნია საერთოდ, ან იმდენად დაძაბულია, რომ ხელ-ფეხი ებორკება და ხედავს უმახინჯდება. ამიტომ იძულებულია, ქსენოკრატეს შეაფაროს თავი, რომელიც ან არაფერს ამბობს, ან იტყვის იმას, რასაც თავისუფალი ლექსი თავშეკავებულიად გადაწყვეტს.

მაგრამ შეგიძლია, ოდნავ უფრო გარკვევით ავხსნათ საკუთარი თავი? რა შეიცვალა, რა მოხდა, რამ მიიყვანა დღეს მწერლები ისეთ კუთხესთან, რის გამოც ინგლისური პოეზიის ძველ წყაროში მათი აზროვნების დინება შეიზღუდა? თუ რომელიმე დიდი ქალაქის ქუჩებს დაუყვებობთ, შესაძლოა, გარკვეული პასუხები ვივარაუდოთ კიდევ. აგურის გრძელი გამზირი სკივრებადაა დანაწევრებული, თითოეულ მათგანში განსხვავებული ადამიანი სახლობს, რომელიც კარს ურდულით კეტავს, ფანჯარას — გისოსით და საკუთარ სიმარტოვეს უზრუნველყოფს, მიუხედავად ამისა, ის მავთულითა დაკავშირებული სხვებთან, რომელიც მათ თავზე მოთ გადაის; ბგერის ტალღებითაა დაკავშირებული, რომლებიც სახურავიდან ეშვებიან და ხმამაღლა ესაუბრებიან მსოფლიოს ომებსა და მკვლელობებზე და აჯანყებებსა და რევოლუციებზე. და თუ მასთან შევალთ და ვისაუბრებთ, აღმოვაჩინებთ, რომ ძალზე წინდახედული, გულწათხრობილი, საეჭვო ცხოველია, უაღრესად მორცხვი და უაღრესად ფრთხილი საკუთარი თავის გამოხატვის მიმართ. თანამედროვე ცხოვრებაში მისთვის არაფერია ისეთი, რაც ამის გაკეთებას აიძულებს. პირად ცხოვრებაში ძალადობა არ არსებობს; შეხვედრისას ძალზე თავაზიანნი, მომთმენნი და სასიამოვნონი ვართ. ომსაც კი საზოგადოებრივი და ვაერთიანებები აწარმოებენ და არა ინდივიდები. დღეული შეწყდა. საქორნილო კავშირი, შესაძლოა, განუსაზღვრელად გაგრძელდეს მსხვრევის გარეშე. და რიგითი ადამიანი დღეს უფრო მშვიდი, უფრო დამყოფი და გაცილებით თვითკმარია, ვიდრე წარსულში.

მაგრამ თუ ჩვენს მეგობართან ერთად სეირნობას განვაგრძობთ, აღმოვაჩინებთ,

რომ იგი უაღრესად ცოცხალია ყველაფრის მიმართ — სიმბინჯის, სინდისურის, მშვენიერებისა და სიამოვნების. ყველა ფიქრს წინდაუხედავად მიჰყვება, სადაც არ უნდა მიიყვანოს მან. ღიად განიხილავს იმ ყველაფერს, რაც ფარულადაც კი არასდროს უხსენებია. შესაძლოა, სწორედ ეს თავისუფლება და ცნობისმოყვარეობაა, მისი ყველაზე გამორჩეული თვისების მიზეზი — უცნაური მდგომარეობისა, რომელშიც საგნები, რომელთაც მკვეთრად გამოხატული კავშირი არ ახასიათებთ, ერთმანეთს მის გონებაში ასოციაციურად უკავშირდებიან. შეგრძნებები, რომლებიც ადრე განცალკევებული და დაუკავშირებლად მოდიოდნენ, ამგვარად აღარ მოდიან. მშვენიერება სიმბინჯის ნაწილია. სიამოვნება — ზიზღის. ემოციები, რომლებიც ოდესღაც გონებაში ერთიანად შემოდიოდნენ, ახლა კარის ზღურბლზე იმსხვერვიან.

მაგალითად: გაზაფხულის საღამოა, ცაზე მთვარე ბრწყინავს, ბუბუბული გალობს, ტირიფი მდინარესთან იდრეკება. დიახ, მაგრამ ამავდროულად ესაა საღამო მოხუცი დედაბრისა, რომელიც თავის გაქონილ ძონძებს რკინის შემზარავ სკამზე ჰკიდებს. ქალი და გაზაფხული ერთდროულად შემოდის ჩვენი მეგობრის გონებაში; ისინი ერთმანეთს ერწყმიან, მაგრამ არ ითქვიფებიან; ეს ორი ემოცია, უადგილოდ დაწყვილებული, ერთმანეთს შეთანხმებულად გლეჯს და ნიხლს ურტყამს. მაგრამ ემოცია, რომელსაც კიტსი გრძობს, როცა ბუბუბულის გალობა ესმის, ერთიანი და მთლიანია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ემოცია მშვენიერებით მოგვრილი სიხარულიდან ადამიანური ბედუქულობის ტკივილში გადადის. კიტსი დაპირისპირებას არ ჰქმნის. მასთან, ლექსში, ტკივილი მშვენიერების თანმხლები არჩეულია. თანამედროვეთა აზროვნებაში კი მშვენიერებას არამხოლოდ არჩეული, არამედ მისი საპირისპიროც თან ახლავს. თანამედროვე პოეტი საუბრობს ბუბუბულზე, რომელიც „წკრ, წკრ, გასაგონად ზუნზლიან ყურთა“ მღერის. ჩვენი თანამედროვე მშვენიერების მხარდამხარ დამცინავი სული დასეირნობს, რომელიც მშვენიერებას მხოლოდ მშვენიერებისთვის ამასხარავებს; სარკეს აბრუნებს და სახის მეორე მხარეს გვიჩვენებს, რომელიც დალაქული და დამახინჯებული აქვს. თანამედროვე აზროვნებამ, რომელსაც ყოველთვის საკუთარი ემოციების შემომნება სურს, დაკარგა ძალა ყველაფერი მარტივად, საკუთარი ბუნებით მიიღოს. უდავოა, რომ ამ სკეპტიკურმა და გამომცდელმა სულმა უდიდეს განახლებამდე და გამოღვიძებამდე უნდა მიგვიყვანოს. თანამედროვე მწერლობაში არსებობს გულწრფელობა, გულახდილობა, რომელიც სასარგებლოა, თუ უაღრესად სასიამოვნო არა. თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც ოდნავ ჩახუთული იყო და ოსკარ უაილდისა და უოლტერ პეიტერის სურნელი დაჰკარავდა, სამიერად აღსდგა მეტყველებით საუკუნის წესი (ცხოვრობიდან, მაშინ როცა სემუელ ბატლერმა და ბერნარდ შოუმ საკუთარი კალმები დანვეს და ლიტერატურას ცხვირში მარლი შეაყარეს. ლიტერატურამ გაიღვიძა; წამოჯდა; დააცემინა. ბუნებრივია, პოეტები შეშინებულნი გაიქცნენ.

რასაკვირველია, პოეზია ყოველთვის მტკიცედ დგას მშვენიერების მხარეს. ის გარკვეულ უფლებებს მოითხოვს რითმზე, მეტრსა და პოეტური ენაზე. ცხოვრებაში ყოფითი მიზნით არასდროს გამოუყენებიათ. პროზა კი მხრებით ყოველგვარ ბინძურ სამუშაოს იტვირთავს. წერილებს პასუხობს, გადასახადებს იხდის, სტატიებს წერს, მოხსენებებს ამზადებს; საქმისნების, მაღაზიის მფლობელების, ვექილების, ჯარისკაცებისა და გლეხების საქირებებს ემსახურება.

პოეზია კი მისი ქურუმებისგან განდგომილი რჩება. მან, შესაძლოა, ზღო კიდევ ამგვარი კარჩაკეტილობისთვის იმით, რომ უდრეკი გახდა. მისი სიხსლოვე, ყველა ინსტრუმენტის თანხლებით — რიდი, გირლანდიებით, მოგონებებით, ასოციაციებით — ზემოქმედებს ჩვენზე, როგორც კი საუბარს იწყებს. ამდენად, როცა პოეზიისგან მოვითხოვთ, გამოხატოს განხეთქილება, შეუსაბამობა, დაცინვა, წინააღმდეგობრიობა, ცნობისმოყვარეობა, უცაბედი, უჩვეულო ემოციები, რომლებიც პატარა კარჩაკეტილ ოთახებში მრავლდებიან, ვრცელი, საყოველთაო იდეები, რომლებსაც

ცივილიზაციები ქადაგებენ, მას არ შეუძლია ამის გაკეთება, რადგან მოძრაობისთვის საკმარისი სისწრაფე, უბრალოება და პირდაპირობა აკლია. მისი ხმა ძალზე გამორჩეულია; მეთოდი ძალზე ემოციური. სანაცვლოდ გრძობის მშვენიერ, ლირიკულ ამოძახილს გვთავაზობს. ხელის ჯადოსნური აქნევით ის წარსულისთვის თავის შეფარებისკენ გვიბიძგებს, მაგრამ გონებას ფენდაფენ არ მიჰყვება, საკუთარ თავს ხელს ფაქიზად, სწრაფად, მგზნებარედ ჰკრავს და მრავალგვარ ჭირსა და ლხინში აგდება. ბაირონი „ღონ ჟუანში“ ამგვარ გზას აღგას. იგი გვიჩვენებს, რამდენად დამყოლი შეიძლება იყოს პოეზიის ინსტრუმენტი, მაგრამ მის მაგალითს ვერავინ მიჰყვება ვერც მისი იარაღი გამოიყენეს უფრო დიდი წარმატებით. პოეტური დრამის გარეშე დავრჩით.



ამრიგად, უნდა ვაჩვენოთ, შეუძლია თუ არა პოეზიას იმ დავალების შესრულება, რომელსაც ვაკისრებთ. მასში, შესაძლოა, ემოციები იმდენად უხეში კონტურით იყოს მოხაზული, რომ თანამედროვე აზროვნება უფრო მეტად პროზის და არა პოეზიის მორჩილებაში ამხილოს. შესაძლოა, პროზა საკუთარ თავზე აპირებს იმ მოვალეობების აღებას — და უკვე აიღო კიდევ — რომლებიც პოეზიამ დათმო.

თუ გავბედავთ და სახიფათოდ გავრიცხავთ და ვეცდებით, განვჭვრიტოთ, რომელი გეზით ვაპირებთ სვლას, ჩვენ ვინც ასე მივისწრაფვით, მიგზვდებით, რომ გზას პროზის მიმართულებით ვაგრძელებთ; და პროზა ათ ან თხუთმეტ წელში იმ მიზნებით იქნება გამოყენებული, რომლითაც მანამდე არასდროს გამოუყენებიათ. რომანი, ეს კანბალი, რომელიც ხარბად ჭამს ხელოვნების სხვადასხვა ფორმას, შემდგომში კიდევ უფრო მეტს შთანთქავს. იძულებულნი გავხდებით, ახალი დასახელებები მოვიგონოთ წიგნებისთვის, რომლებიც ერთადერთი სათაური ინიღბებიან. შესაძლოა, რომ ამ ეგრეთ წოდებულ რომანებს შორის აღმოჩნდეს წიგნი, რომელსაც სახელით ვერც კი მოვინათლავთ; პროზად იყოს დაწერილი, მაგრამ იმგვარ პროზად, რომელიც პოეზიის ძალზე ბევრ მახასიათებელს ატარებს. შესაძლოა, მასში პოეზიის ამაღლებულად იგრძნობოდეს, მაგრამ უფრო მეტად პროზის ყოფითობა ახასიათებდეს. დრამატული იქნება, მაგრამ არ იქნება პიესა. საკითხავი იქნება და არა სცენაზე დასადგამი. თუმცა, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რა სახელს ვუნდებთ. ის, რაც მნიშვნელოვანია, თავად წიგნია, რომელიც პროზის გარეშე ჩანს და რომელიც, შესაძლოა, იმ შეგრძნების გამოხატავს ემსახურება, რასაც პოეზია, ამ დროისთვის, წმინდად და ცალსახად უარყოფს, დრამაც მსგავსადვე მათ მიმართ არასტუმართმოყვარეა. ამიტომ, მოდი, უფრო ახლოს მისვლა ვცაოთ და წარმოვიდგინოთ, როგორი შეიძლება იყოს მისი საზღვრები და ბუნება.

უპირველესად, შესაძლოა, იფიქროთ, რომ ის აუცილებლად განსხვავებული იქნება რომანისგან, რაკილა დანამდილებით ვიცით, რომ გაცილებით შორს დგას ცხოვრებისგან. პოეზიის მსგავსად, უფრო მეტად კონტურს გამოჰკვეთს და არა დეტა-

ლებს. ნაწილობრივ გამოიყენებს ფაქტების თხრობის იმ სასწაულებრივ ძალას, რაც ფიქციის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია. ძალზე ცოცხალ გვეტყვის სახლების, შემოსავლების, საქმიანობებისა და პერსონაჟების შესახებ. სუსტი კავშირი ექნება სოციალურ ან გარემომპირობებზე დაწერილ რომანთან. ამგვარ შეზღუდვებში ის ძალიან მკაფიოდ და ცხადად, თუმცა განსხვავებული კუთხით, გამოჰკვეთს თავისი პერსონაჟების გრძობებსა და იდეებს. ამ მხრივ, პოეზიას დაემსგავსება, რადგან არამხოლოდ ადამიანთა შორის ურთიერთობებსა და მათ მოქმედებებს დაგვანახებს, რასაც აქამდე რომანი აკეთებდა, არამედ გონების ზოგად იდეებთან კავშირს გამოხატავს და მის მარტოსულობაში წარმოქმულ მონოლოგს გვიჩვენებს. რომანის ბატონობის ქვეშ ჩვენ საგულდაგულოდ ვიკვ-



ლევთ გონების ერთ ნაწილს, მეორეს კი ხელუხლებლად ვტოვებთ. დაგვავინწყდა, რომ ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ იმ ემოციებისგან შედგება, რომლებიც ვარდკოკორისა და ბუბუბულის, აისისა და დაისის, სიცოცხლისა და სიკვდილის, ბედისწერის მიმართ გვიჩნდება; დავივინწყეთ, რომ დროს უმეტესწილად ძილში, ოცნებაში, ფიქრში, კითხვასა და მარტობაში ვატარებთ. ჩვენ მხოლოდ პირადი ურთიერთობებით არ ამოვიწურებთ. მთელი ჩვენი ენერჯია მარტოოდენ არსებობას არ ხმარდება. ფსიქოლოგიური რომანის ავტორები ზედმეტად მიდრეკილნი არიან, რომ ზოგადი ფსიქოლოგია პირადი ურთიერთობების ფსიქოლოგიამდე დაიყვანონ. ზოგჯერ ძალიან გვინდა, თავი დავწინაოთ შეყვარებულ და გადაყვარების უწყვეტ, შეუბრალებელ ანალიზს, იმას, თუ რას გრძობს ტომი ჯუდიტის მიმართ და რას გრძობს ან სრულიადაც ვერ გრძობს ჯუდიტი ტომის მიმართ. პიროვნულობისგან უფრო მეტად დაცლილ ურთიერთობებს ვნატვრთ. იდეებს, ოცნებებს, წარმოსახვას, პოეზიას ვესწრაფვით.

ელიზაბეთური ეპოქის დრამატურგები გვაძლევენ ამას და ეს მათი ერთ-ერთი ტრიუმფალური ნიშანია. პოეტს ყოველთვის შეუძლია, გადალახოს ჰამლეტის ოფელიასთან ურთიერთობის თავისებურება და კითხვის ნიშნის ქვეშ დავასტყვევოს არამხოლოდ ჰამლეტის პირადი სვედრი, არამედ მთელი ადამიანური ცხოვრების არსი და მდგომარეობა. პიესაში „სანყაო სანყაოსთვის“, მაგალითად, უაღრესად ფსიქოლოგიური სინატიფის მქონე პასაჟები ღრმა ფიქრებსა და დიად წარმოსახვასთანაა შერწყმული. ღირს აღნიშვნად, რომ თუ შექსპირი გვაძლევს ამგვარ სიღრმეს, ამგვარ ფსიქოლოგიას, იგივე შექსპირი ამავდროულად არ ცდილობს სხვა საკითხების ზუსტ განსაზღვრას. მისი პიესები სრულიად უსარგებლოა „გამოყენებითი სოციალ-ისთვის“. თუ ელიზაბეთური ეპოქის სოციალური და ეკონომიკური პირობების გასაგებად მათ დავეყრდნობით, უიმედოდ აღმოვჩნდებით გაშლილ ზღვაში.

ამ თვალსაზრისით, რომანი, ან რომანის ეს სახესხვაობა, რომელიც სამომავლედ დაიწერება, პოეზიის ზოგიერთ მახასიათებელს შეიძენს. ის ადამიანის ურთიერ-

ობას დაგვანახებს ბუნებასთან, ბედისწერასთან, მის წარმოსახვასთან, ოცნებებთან. მაგრამ, ამავდროულად, ცხოვრების დამცინავ ღიმილს, წინააღმდეგობრიობას, ეჭვებს, ჩაკეტილობას და სირთულეს გვიჩვენებს. ყალიბში ჩასვამს შეუსაბამო ნაერთის უცნაურ კონგლომერაციას — თანამედროვე აზროვნებას. მიუხედავად ამისა, გულში ჩაიკრავს პროზის დემოკრატიული ხელოვნების ძვირფას პრივილეგიებს; მის თავისუფლებას, შეუპოვრობას, მოქნილობას. პროზა იმდენად თავმდაბალია, რომ ყველგან შელწევა შეუძლია; მისთვის არცერთი კარია ზედმეტად დაბალი, ზედმეტად ბინძური, ან ზედმეტად ღარიბული. უსაზღვროდ მომთმენიცაა, თავმდაბლობას დანაფებული. შეუძლია, გრძელი, ნებოვანი ენით ალოკოს ყველაზე წვრილმანი ფაქტები და ფრაგმენტები, თავი ყველაზე დახვეწილ ლაბირინთებში მოუყაროს და ყური ჩუმად დაუფლოს კარს, საიდანაც მხოლოდ ჩურჩული და ბუბუბუტი ისმის. იარაღის სრული მოქნილობით, რომელსაც მუდმივად იყენებს, დაკლავნილ გზას მიჰყვებს და თანამედროვე აზროვნებისთვის დამახასიათებელი ყველა ცვლილება ასახვს. ამავდროვე კი, რაკილა პრუსტი და დოსტოევსკი ზურგს გვიმაგრებენ, აუცილებლად უნდა შევთანხმდეთ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პროზა სიმარტივესა და სირთულეს უმკლავდება, შესაძლოა, ვიკითხოთ — შეუძლია თუ არა მას გამოთქვას რაღაც, რაც მარტივია, მაგრამ ამავდროულად დიადი? გადმოგვცეს უცარი ემოცია, რომელიც მოულოდნელია? შეუძლია კი, იგალობოს ელეგია ან სიყვარულის ჰიმნი, იყვიროს შიშისგან, ადიდოს ვარდკოკორი, ბუბუბული ან ღიმილი მშვენიერება? შეუძლია, ერთი ნახტომით გადაეგოს მისი ობიექტის გულს, როგორც ამას პოეტი აკეთებს? ვფიქრობ, უძღურია. ეს სასჯელია, რომელსაც პროზა მაგისა და იდეალების, მეტრისა და რითმისთვის თავის არიდების გამო იხდის. უდავოა, რომ პროზაიკოსებს გამბედაობა არ აკლიათ. ისინი გამუდმებით აიძულებენ საკუთარ იარაღს, მცდელობა არ შეწყვიტონ. თუმცა, პროზაული ლექსი ანუ ძონის საკერებელი, ყოველთვის ბადებს დისკომფორტის განცდას. ძონის საკერებლის საწინააღმდეგო ის კი არ გვაქვს, რომ ძონია, არამედ ის რომ საკერებელია. გავიხსენოთ თუნდაც მერედუტის „სალამური თანართობა“ რიჩარდ ფევერალში. რა ულაზათოდ, რა ემოციურად იწყებს რომანისტი თხრობას დამსხვრეული პოეტური მეტრით: „მდელის ოქროსფერი ემოსა, ოქროსფერი ემოსა ნაკადულებსა, წითელი ოქროსფერი დაჰკრავდა ფიჭვის ნაკადს. მზე დედამიწაზე ჩამოდიდა და სეირნობდა და სეირნობდა ველებსა და მდინარეებზე“. ან გავიხსენოთ ქარიშხლის ცნობილი აღწერა შარლოტა ბრონტეს რომანში „ვილიეტა“. ეს პასაჟები ძალზე მეტყველი, ლირიკული და შთამბეჭდავია. ისინი შესანიშნავად იკითხებიან ამოგლეჯილად ან ანთოლოგიამში ჩარჭობილად. მაგრამ რომანის კონტექსტში უსიამოვნო განცდას აღძრავენ. მერედუტი და შარლოტა ბრონტე, ორივე, საკუთარ თავს რომანისტს უწოდებს. ისინი ძალზე ახლოს დგანან ცხოვრებასთან. რიტმის, ძიებისა და პოეტური პერსპექტივის მოლოდინს გველვიძებენ. და ჩვენც ნაწილობრივ გამოვდივართ ნებაყოფლობითი ტრანსიდან და ილუზიიდან, რომელშიც სრულიად დავემორჩილეთ მწერლის წარმოსახვის ძალას.

მაგრამ, მოდი, სხვა წიგნი განვიხილოთ, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ პროზაა და დაწერილი და რომანად იწოდება, დასაწყისიდანვე განსხვავებული დამოკიდებულებით, განსხვავებული რიტმით ხასიათდება, რომელიც ცხოვრებისგან მოშორებით დგას და განსაკუთრებული პერსპექტივის მოლოდინს გვიღვიძებს — ტრისტრამ შენდი. პოეზიით სავსე წიგნია, თუმცა ვერასდროს ვამჩნევთ ამას. ძონითაა შემოსილი, მაგრამ არასდროს ყოფილა დაბეჭდილი. მიუხედავად იმისა, რომ მისი ხასიათი ყოველთვის ცვალებადია, ამ ცვალებადობაში არ იგრძნობა ისეთი რყევები, რხევები, რომლებიც ერთსულოვნებისა და რწმენის სიღრმეებიდან ამოგვიყვანს. სტერნი ერთდროულად იცინის, დასცინის, უხამსად ხუმრობს და მსგავს პასაჟზე გადადის:



ვირჯინია ვულფი

ხელოვნების ბენვის ხიდი

დასასრული

„დრო სწრაფად გარბის: ყოველი ასო, მე რომ გამოვყავს, მატყობინებს, თუ რა გამაღებელი ადევნება ცხოვრება ჩემს კალამს; მისი დღეები და საათები უფრო ძვირადღირებულია, ჩემო მართლა ძვირფასო ჯენი, ვიდრე შენს ყელზე ჩამორიგებული ლაღი და ბადახში, ჩვენს თავზევით მიჰქრია, როგორც სიფრიფანა ღრუბლები ქარიან ამინდში, რათა აღარასოდეს მობრუნდნენ უკან — ყველაფერი ჩქარობს — ვიდრე მაგ კულულს დაიხვევ და შეხედავ და გაგჭაღარავებია კიდევ; და ყოველი ამბორი, რომელსაც შენს ხელზე ალვებუქდავ ხოლმე გამომშვიდობებისას, და მისი მომდევნო ყოველი განშორება, წინასიტყვა საშუალო განშორებისა, რაც სულ მალე არ აგვცდება.“

— ლმერთო, შენ შეგვენივე ორივეს!“

„ხოლო რა გუნებაზე დააყენებს საზოგადოებას ეს შეძახილი — სულ ფეხებზე მკიდა“.

და ამგვარად აგრძელებს თხრობას ძია ტობიზე, კაპრაზე, მისის შენდისა და დანარჩენებზე.

შენიშნავდით, რომ აქ პოეზია მარტივად და ბუნებრივად გადადის პროზაში, პროზა კი პოეტურობაში. ოდნავ მოშორებით მდგარი სტერნი ხელით მსუბუქად ეხება წარმოსახვას, მახვილგონიერებასა და ფანტაზიას. კენეროზე ასვლით, რომლის ტანტებშიც ისინი იზრდებიან, მწერალი ბუნებრივად და ნებაყოფლობით კარგავს უფლებას არსებით ბოსტნეულზე, რომელიც მინაზე ხარობს. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მასზე უარის თქმა გარდაუვალია. არავის ძალუბა ხელოვნების ბენვის ხიდზე გავლა მისი ყველა იარაღით დატვირთულს. ნაწილი ნაპირზე უნდა დატოვოთ, ზოგი შუა მდინარეში მოისროლოთ და, რაც ყველაზე უარესია, საკუთარი თავი დაახრჩოთ და გადახრთოთ.

ამდენად, რომანის ეს უსახელო სახესხვაობა ცხოვრებისგან მოშორებით მდგარი კაცის პერსპექტივიდან იქნება დანერგილი, რადგან ფართო ხედი შორი მანძილიდან მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი მახასიათებლის მიმნიჭებელი გახდება. პროზად იქნება დანერგილი, რადგან პროზას — თუ მას სასაპალნე ცხოველის სამუშაოსგან განვითარებისუფლებით, რომელსაც რომანისტთა უმრავლესობა უსათუოდ აკისრებს და დეტალებითა და ფაქტების სიმძიმით ტვირთავს — აქვს შესაძლებლობა, ამაღლდეს მინაზე არა ერთი გაცხორცნით, არამედ ძიებითა და თავმოყრით, მაგრამ ამავდროულად სიახლოვე შეინარჩუნოს ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების გასართობებისა და თავისებურებების მიმართ.

თუმცა, რჩება უფრო სიღრმისეული კითხვა — ძალუბს პროზას იყოს დრამატული? რასაკვირველია, ნათელია, რომ მოუმი და იხსენმა უდიდესი ნარამტებით გამოიყენეს პროზის დრამატულობა, მაგრამ ისინი დრამის ფორმის ერთგულნი დარჩნენ. ესაა ფორმა, რომელზეც, შესაძლოა, ვინანსწარმეტყველოთ, რომ მომავალში პოეტური დრამის მწერლები საკუთარი საჭიროებებისთვის შესაბამის ფორმად აღიარებენ. პროზაული პიესა, მისივე მიზნებისთვის, ძალზე ხისტი, ძალზე შეზღუდული და ძალზე ემოციურია. მწერალს ბადიდან უსხლტება იმის ნახევარი, რისი მოხელთებაც სურს. დიალოგები იმ დაკვირვებებს, განსჯასა და ნაყოფიერებას

ვერ იტევს, რომელთა გადმოცემასაც ავტორი ესწრაფვის. და მაინც, მწერალს დრამისთვის დამახასიათებელი ემოციური ეფექტის ამოფრქვევა სწადია. მას სურს, სისხლისგან დაცალოს მკითხველი და არა უბრალოდ, მის ინტელექტუალურ მგრძობელობას შემოჰკრას ან შეუღლიტინოს. ტრიუსტრამ შენდის განუსაზღვრელობა და თავისუფლება, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ძია ტობისა და კაპრალ ტრიმის მსგავსი პერსონაჟების ირგვლივ იყრის თავს, არასდროს ცდილობს მათ შორის დრამატული დაპირისპირების შექმნას. ამდენად, ამგვარი მომთხვენი ნიგნის ავტორისთვისაც კი აუცილებელია, რომ მან საკუთარი ამაღლვებული და წინააღმდეგობრივი ემოციები მკაცრი და მწყობრი წარმოსახვის განზოგადებული და გამარტივებული ძალის ქვეშ მოაქციოს. აურზაური საზიზღრობაა. უნესრიგობა საძულველია. ხელოვნების ნიმუშში ყველაფერი დახვეწილი და მწყობრი უნდა იყოს. მისმა ძალისხმევამ უნდა განაზოგადოს და დაანაწევროს. დეტალების აღრიცხვის ნაცვლად, ავტორის ყალიბი უნდა ჩამოახსას. და მაშინ მისი პერსონაჟები იმ დრამატულ ძალას შეიძენენ, რომელსაც თანამედროვე ფიქცია, ნამიერად გახსნილი პესონაჟების მეშვეობით, ფსიქოლოგიის ინტერესებს სწირავს. შემდეგ კი, მიუხედავად იმისა, რომ ძლივს ვხვდებით, შორიზონის ხაზზე გამოჩნდება ის, რაც აქამდე შორეული იყო — შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, რომ მწერალი იმდენად გააფართოვებს თავისი ინტერესის სფეროს, რომ დრამატულს გახდის იმ გავლენებს, რაც ესოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში, და რომელსაც ჯერ კიდევ გაურბის რომანისტი — მუსიკის ძალმოსილებას, ხედვის სტიმულს, ხეთა ფორმების შემოქმედებას, ფერების თამაშს; ემოციებს, რომლებსაც ბრბო გვიღვიძებს; გამოცნობ შიშსა და სიძულვილს, რომლებიც გაუაზრებლად მოდიან კონკრეტულ ადგილას კონკრეტული ადამიანებისგან; მოძრაობის სიაშოვნებას; ღვინით თრობას. თითოეული მათგანი ჯერ კიდევ უკვლევია, ათასობით განსხვავებული ალქმის შეხვედრის ადგილი და ცენტრია. ცხოვრება ყოველთვის და იმაზე გავლენილი უფრო მდიდარია, ვიდრე ჩვენ აღვხვართ.

თუმცა, წინასწარმეტყველების დიდი ნიჭი არ სჭირდება მიხვედრას, რომ მას, ვინც ყოველივე შემოაღნიშნულის გაკეთებას გადაწყვეტს, უდიდესი გამბედაობა დასჭირდება. პროზა არ გადადგამს პირველ ნაბიჯებს პირველსავე მომსვლელის ბრძანებით. თუ დროთა ნიშნები რამედ ღირს, დღეს გამოცოცხლება ნამდვილად იგრძნობა. ამკარაა, რომ ინგლისში, საფრანგეთსა და ამერიკაში მიმოფანტულნი არიან მწერლები, რომლებიც მუშაობენ საკუთარ თავზე და მომბეზრებულ უღელს უსხლტებიან; მწერლები, რომლებიც ცდილობენ, გადააფასონ თავიანთი დამოკიდებულებები იმგვარად, რომ ერთ დღეს ძალზე მარტივად და ბუნებრივად აღმოჩნდნენ მდგომარეობაში, რომელიც ნიჭის, მნიშვნელოვან საკითხებზე სრულად დახარჯვის თავისუფლებას მიანიჭებთ. შედეგად, ნიგნი სწორედ ამ დამოკიდებულებით შეგვარხვეს და არა მშვენიერებითა და ბრწყინვალეობით; დამოკიდებულებით, რომელიც თესლშივე ატარებს უკვდავების ნაყოფს.

თარგმანი ქეთევან ბახოკიამ



ჰენრი ფილდინგი

ტომ ჯონსის, ნაკოვარას ამბავი

ფრაგმენტები რომანიდან

დასასრული

კაპიტანმა ბლაფილმა მოისმინა ექიმის ნათქვამი და ყურით არ შეიბერტყა, ოღონდ მოგვიანებით მშვენივრად გამოიყენა.

ემშაკის ერთ-ერთი მცნება, რომელიც მან მინაზე უკანასკნელი მოვლენისას დაუტოვა თავის მონაფეხებს, ასეთია — თუ უკვე ფეხზე წამოდექი, სკამი ამოაყირავე. უბრალო ინგლისურით ასე ვიტყვი — მეგობრის მეშვეობით ბედს თუ ენი, რაც შეიძლება მალე მოიშორე ის თავიდან.

კაპიტანიც ამ მცნებით ხელმძღვანელობდა თუ არა, დაბეჯითებით ვერ გეტყვი: ერთადერთი ის შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მისი მოქმედება ემშაკის ხსენებულ პრინციპს მშვენივრად მიესადაგებოდა და რაიმე სხვა მოტივის მოძებნა ნამდვილად ძნელი იყო, ვინაიდან რაც მის ბრიჯიტი მოიპოვა და ოღვორით შეირიგა, დღითიდღე ძმის მიმართ სულ უფრო გულგრილი ხდებოდა, ბოლოს უკვე ყველას თანდასწრებით ეუხეშებოდა კიდევ.

ერთხელ ექიმმა დაიმარტოხელა ძმა და უსაყვებლად, მან კი პირში მიახალა:

— თუ რამე არ მოგწონთ ჩემი ცოლისძმის სახლში, აქ არავინ გაკავებთ.

კაპიტანის ამ უცნაურმა, სასტიკმა და სრულიად გაუგებარმა უმადურობამ ექიმს გული გაუტეხა; უმადურობა ხომ არასოდეს ისეთი მტკივნეული არ არის, როგორც მამინ, როდესაც ის ადამიანი განყენებით ვის გამოც შესცოდეთ. ფიქრი კეთილ საქმეებზე, როგორც არ უნდა მიიღოს ან დაგვიბრუნოს ადამიანმა, ვისი ხათრითაც სიკეთე გავეცით, ყოველთვის კმაყოფილებას გვანიჭებს; მაგრამ რა შეგება უნდა მოგვგვაროთ მეგობრის უმადურობამ, როცა ნატკენი სინდისი ამოასხამს და გასაყვედურობს, ამისთანა უვარგისს როგორ გაუწიე სამსახური!

მისტერ ოღვორთი თავადაც დაელაპარაკა კაპიტანს ექიმის თაობაზე, სურდა, გავგო, რა დაუშვა ძმამ ამისთანა. გულქვა არამზადა იმდენად სულმდაბალი აღმოჩნდა, ასე უთხრა, ვერასოდეს ვაპატიებ, თქვენს თვალში ჩემი დამცირება რომ სცადაო. თავად გამოვტეხე და ამგვარ სისასტიკეს ვერ ვაპატიებო.

ოღვორთიმ კაპიტანი გაკიცხა, ეს ხომ არაადამიანური საქციელიაო და ისეთი აღშფოთებით ელაპარაკა შეუნდობლობაზე, რომ საბოლოოდ კაპიტანი იძულებული გახდა, თავი მოეჩვენებინა, თითქოს შეისმინა მისი შეგონებები და დამორჩილდა.

რაც შეეხება პატარძალს, თავლობის თვეში ისე თავდავინყებით უყვარდა ახლად შექმნილი მეუღლე, ვერაფერში გაამ-

ტყუნებდა; და თუ კაპიტანს ვინმე არ მოსწონდა, მისთვის ეს საკმარისი მიზეზი იყო, თავადაც შესძულებოდა.

კაპიტანს, ოღვორთის დარიგების თანახმად, თავი ისე ეჭირა, თითქოს ძმას შეურიგდა; მაგრამ გულში ბოლმას მაინც ინახავდა და შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, ძმა რომ არ დაეგესლა. საბოლოოდ, ექიმისთვის აუტანელი გახდა ოღვორთის სახლში ცხოვრება; უკვე თანახმა იყო, ყველანაირი გაჭირვება აეტანა, ვიდრე ეთმინა შეურაცხყოფა გულქვა და უმადური ძმისგან, რომელსაც ამდენი სიკეთე გაუქვითა.

ერთხელ თითქოს გადწყვიტა, ოღვორთის გამოსტყდომოდა, მაგრამ ვერ აიძულა თავი, ელიარებინა ის, რის თანამონაწილაც თავად გახლდათ. თანაც, რაც მეტად გაამტყუნებდა ძმას, მისი დანაშაულიც მით მეტად ატკენდა გულს ოღვორთის და დარწმუნებული იყო, რისხვა არ ასცდებოდა.

ამიტომ გამგზავრების საბაბად რაღაც საქმე მოიგონა და მალევე დაბრუნებას შეჰპირდათ; თვალის ასახვევად ისე გულთბილად დაემშვიდობა ძმას და მანაც ისე მშვენივრად შეასრულა თავისი როლი, ოღვორთის ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ ძმები ნამდვილად შერიგდნენ.

ექიმი პირდაპირ ლონდონში გაემგზავრა, სადაც მალევე გულგატეხილი გარდაიცვალა იმ სენით, რომელიც გაცილებით მეტ ადამიანს კლავს, ვიდრე ჩვენს გვეგონია და რომელიც საპატიო ადგილს დაიკავებდა მომაკვდინებელ ავადმყოფობებს შორის, დანარჩენებისგან განსხვავებით, უკუწინებული რომ არ იყო.

მას შემდეგ, რაც გულისყურით გავეცანი ძმების ცხოვრებას, აღმოვაჩინე, რომ გარდა იმ უცხო ნახსენები ემშაკის წყეული მცნებისა, კაპიტანს სხვა მიზეზიც ჰქონდა, ასე მოქცეულიყო; ყველაფერთან ერთად, რაც მის შესახებ უკვე იცით, ის ძალიან ამბაყი და ფიცხი კაცი იყო და ძმას, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა მისგან და არც ერთი ეს თვისება არ გააჩნდა, ყოველთვის ზევიდან უყურებდა. ექიმი დიდად განსწავლული ადამიანი გახლდათ და, ბევრის აზრით, მეტად შეგნებულიც. ეს იცოდა კაპიტანმა და ვერაფრით ეგუებოდა; შური ძალიან მავნე გრძნობაა, მაგრამ კიდევ უფრო ადვილია, როცა მას ზიზღი ერთვის; და როდესაც ამ ორს დავალებულობის გრძნობაც ემატება, ვშიშობ, შესაქრებთა ჯამი მადლიერება კი არა, რისხვა აღმოჩნდება.

თარგმანი თაკო ჭილაქიამ

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურის, საორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საქართველოს მხარაღთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

